ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№305(12676) 27 დეკემბერი შაბათი 2008 ფასი 50 თეთრი

# 400 000 ლარი

## ქართულ საკლუბო ფეხბურთს

### საახალწლო საჩუქარი სახელმწიფოსგან

პროფლიგა » 3




კინის დუბლმა ლივერპულს პირველი წრე მოაგებინა

სამოგაო პრემიერლიგა » 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტურიც გავაცილოთ და წელიწადიც...



მთავარი მატჩი კვირას
ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია

» 2

დინამო ეროვნულზე ბრუნდება, გეგუჩაძე პირველ გამარჯვებას ელოდება

წლის ბოლო ტურის წინათქმა



ახალგაზრდულს ახლავე უნდა მწვრთნელი და არა ივნისიდან

ინტერვიუ კახა ცხადაძესთან » 3




» 12

თორნიკე შენგელია ბრილიანტის ჩემპიონია



ბენდელა ნაძალადევს

» 4

# საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

XVII ტურის წინასწარმეტყველება

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 27.12. რუსთავი. ფოლადი. 14:00 | 27.12. გორი. ქართლი. 14:00 | 27.12. თბილისი. ეროვნული. 14:00 | 28.12. ზესტაფონი. ცენტრალური. 14:00 | 28.12. თბილისი. მ. მესხი. 14:00 |
| ოლიმპი – მგლები (Live) | სპარტაკი – გაგრა | დინამო – მესხეთი | ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია (Live) | ლოკომოტივი – ბორჯომი |
| არბიტრი: მ. ურუშაძე | არბიტრი: ლ. სილაგავა | არბიტრი: მ. ბეჟქლიშვილი | არბიტრი: ა. კრიჭაშვილი | არბიტრი: გ. ვადაჭკორია |
| ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, ბ. ჭიჭინაძე; | ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, კ. ტეფნაძე; | ასისტენტები: ა. გუნთაძე, დ. კვეტენაძე; | ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, ა. კოკაია; | ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, კ. გულურაშვილი; |
| მეოთხე მსაჯი: ვ. გუმბერიძე | მეოთხე მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი | მეოთხე მსაჯი: კ. ჭაჭუა | მეოთხე მსაჯი: ლ. კვარაცხელია | მეოთხე მსაჯი: ი. ურუშაძე |
| დისკვალიფიცირებულნი: ლიპარტია (მგლები, მეორე მწვრთნელი) | დისკვალიფ: გიორგი გაბედავა, თამაზ ჩარგეიშვილი (გაგრა); ირაკლი კობახიძე (სპარტაკი) | დისკვალიფიცირებულნი: გიორგი მემარნიშვილი, დიმიტრი ლეკიშვილი (მესხეთი) | დისკვალიფიცირებულნი: გიგა ბეჟვაია (ვიტ ჯორჯია) | დისკვალიფიცირებულნი: გიორგი ბარბაქაძე (ლოკომოტივი) |

# ტურიც გავაცილოთ და წელიწადიც...

საიუბილეო ჩემპიონატი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყოველთვის გამორჩეულ ადგილს დაიკავებს. ეგ კი არა, მარადიული „რეკორდიც" დაფიქსირდა - 1990 წლიდან მოყოლებული პირველი შემთხვევაა, რომ ჩემპიონატი, ფაქტობრივად, ახალ წლამდე გრძელდება! ჰო, რაღა დარჩა - დღეს და ხვალ თამაშებია და 2009 წელიც მოვა! იმედია, დამდეგი წელიწადი ქართული ფეხბურთისთვისაც წარმატების მომტანი იქნება: სტადიონებზე ქომაგების რაოდენობა გაიზრდება, საკლუბო ფეხბურთის დონე აიწევს და ეროვნული თუ სხვა ასაკის ნაკრებებიც წარმატებებით გაგვახარებენ. მაგრამ ახალი წლის დადგომამდე ხომ ჯერ ძველი უნდა გავაცილოთ; ჰოდა, სწორედ XVII ტურით დავემშვიდობებით 2008 წლის საფეხბურთო სეზონს...

აბა, ისე როგორ იქნებოდა, ტურში ერთი ცენტრალური მატჩი რომ არ გვქონოდა; ჰოდა, ხვალ მართლაც საინტერესო პაექრობის მომსწრენი უნდა გავხდეთ: „ზესტაფონი" გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს „ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლებს! ამ შეხვედრას ორი ფაქტორი უფრო მეტ ინტრიგას სძენს: „ვიტ ჯორჯია" „ზამთრის ჩემპიონის"არაოფიციალური ტიტულით ჩადის იმერეთში; ამასთან, **გია გეგუჩაძისთვის** პირველი საშინაო მატჩია „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის რანგში. ტურის ცენტრალური შეხვედრა ბოლოსთვის შემოვინახოთ, მანამდე კი სხვა მატჩებზე ვისაუბროთ და ჯერ დღევანდელი პაექრობები ვახსენოთ.

არ გაგიკვირდეთ და, დღევანდელი მატჩებიდან ჯერ „სპარტაკი"-"გაგრას" დაპირისპირება უნდა გამოვყოთ. ჰო, აუტსაიდერთა ამ შეხვედრამ, ძალიან ბევრს თუ არა, გარკვეულ კითხვებს მაინც უნდა გასცეს პასუხი. წარმატების შემთხვევაში **სერგო გაბელაიას** გუნდი ქულათა მწირ მარაგსაც შეავსებს და „სარეკორდო სერიასაც" ხელს გამოჰკრავს. ანუ, ამ შემთხვევაში „სპარტაკის" ზედიზედ მეორე გამარჯვება იქნება. ისე, მასპინძლებს დღემდე მხოლოდ ორი მოგება აქვთ და აქედან ერთ გამარჯვებას სწორედ „გაგრასთან" მიაღწიეს, თანაც სტუმრად. შეგახსენებთ, რომ ეს იყო პირველი წარმატება ზედიზედ ოთხი წაგების მერე; ამასთან, „გაგრასთან" შეხვედრაში „სპარტაკი" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა - სერგო გაბელაიამ გამოიყვანა. აქვე, ამ წყვილთან დაკავშირებით ერთი არცთუ უმნიშვნელო ნიუანსიც უნდა ვახსენოთ - ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიდან „გაგრა" ერთადერთია, სტუმრად ქულა რომ არ მოუპოვებია. ამიტომაც **ვლადიმერ ხაჩიძის** ახალგაზრდული გუნდი, ალბათ, დღესვე შეეცდება ამ უსიამოვნო სერიის შეწყვეტას. თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ეს, ალბათ, ძალიან გაუჭირდებათ - დისკვალიფიკაციის გამო სტუმრები წამყვან ნახევარმცველს **თამაზ ჩარგეიშვილსა** და გუნდის საუკეთესო ბომბარდირს **გიორგი გაბედავას** მოისაკლისებენ.



2008 წლის 19 ოქტომბერი. მესხეთი-დინამოს მატჩი სამჯერ შეწყდა

არანაკლებ საინტერესო მატჩი უნდა ჩატარდეს რუსთავშიც, სადაც ტემპ აკრეფილი „ოლიმპი" ზუგდიდის „მგლებს" უმასპინძლებს. როდის წააგო ბოლოს „ოლიმპმა"? როდის და 19 ოქტომბერს და მას მერე რუსთაველი კლუბი გზიდან ყველას იშორებს; ისიც საინტერესოა, რომ ის უკანასკნელი მარცხი... სწორედ ზუგდიდში განიცადა „ოლიმპმა" (1:3). თანაც, ამ წაგების მერე „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელის პოსტი **ხვიჩა ქასრაშვილს** დაატოვებინეს და მის ნაცვლად დანიშნულ **ვარლამ კილასონიას** ხელმძღვანელობით რუსთაველებმა მართლაც შთამბეჭდავი (ორთვიანი!) სერია შემოგვთავაზეს. რაღა თქმა უნდა, დღევანდელ შეხვედრაში ფავორიტებად მასპინძლები ითვლებიან; მით უმეტეს, რომ სერიოზული სტიმულიც აქვთ: წარმატების შემთხვევაში მეოთხე ადგილზე გადაინაცვლებენ და ლიდერთა სამეულსაც „ხელის გაწვდენაზე" მიუახლოვდებიან. ეგეც რომ არ იყოს, „სიონსაც" ხომ უკან ჩამოიტოვებენ - ბოლოს და ბოლოს, ერთი რეგიონის გუნდებს შორის ყოველთვის არის დასწრებული თუ დაუსწრებელი სპორტული ქიშპობა. თუმცა, „მგლებთან" წინასწარ სამი ქულის დაგეგმვა ფუჭი პროგნოზია - **ბესიკ შეროზიას** გუნდმა ამ ჩემპიონატში არაერთხელ დაამტკიცა, რომ ავტორიტეტებსაც არ ერიდება და ალალად იმსახურებს უმაღლესში თამაშს. და კიდევ ამ წყვილზეც: პირველ წრეში ამ გუნდების შეხვედრის მერე „მგლები" 12 ქულით მეორე (!) ადგილზე იმყოფებოდა, ხოლო „ოლიმპი" 3 ქულით - უკანასკნელზე! შეხედეთ დღევანდელ სატურნირო მდგომარეობას და დასკვნები თავად გამოიტანეთ...

ზემოთ პროგნოზებისგან თავის შეკავება ვახსენეთ, თუმცა, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება, რომ „დინამო"-"მესხეთის" წყვილში ფავორიტის გამოცნობა ადვილი საქმე იქნება. ახალციხური გუნდის მიმართ დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვეჭვობთ, რომ „მესხეთმა" დღეს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს მოქმედ ჩემპიონს. **კობა თედიაშვილის** გუნდის ფინანსურ გაჭირვებაზე არაერთხელ ვთქვით და, ისე, მართლაც, რა უნდა მოვთხოვოთ „მესხეთს", როცა, ფაქტობრივად, დიდი ხნის განმავლობაში მოშლილია საწვრთნელი პროცესი. თანაც, „მესხეთს" სოლიდური საკადრო პრობლემაც აქვს: ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმირებულა, გუნდის ერთ-ერთ ლიდერს **შოთა გრიგალაშვილს** „დინამოსთან" თამაშის უფლება არ აქვს (აქედან არის განათხოვრებული), უცნობია, იასპარეზებს თუ არა კოლეგებში ერთ-ერთი გამორჩეული, გუნდის მეკარე **გიორგი სომხიშვილი**; თანაც ეს კიდევ არასრული სიაა - კობა თედიაშვილი დისკვალიფიკაციის გამო ორ წამყვან მცველსაც (**გიორგი მემარნიშვილი, დიმიტრი ლეკიშვილი**) მოისაკლისებს. მოკლედ, **რაინერ ცობელის** გუნდს, წესითა და რიგით, დაგეგმილი სამი ქულის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს. ამასთან, მართლაც კოშმარული გრაფიკის მერე „დინამოს", ალბათ, სულზე მიუსწრო წინა ტურის მატჩის გადადებამ. ახლა კი, ორკვირიანი დასვენების შემდეგ „დინამო" მოზღვავებული ენერგიითა და ალბათ, ძალების მინიმალური დახარჯვით შეეცდება საახალწლო არდადეგებზე გასვლას. ისე, ჩვენც არ გვინდა წინასადღესასწაულო განწყობის გაფუჭება და აღარ დავუბრუნდებით დღევანდელ მეტოქეთა პირველი წრის შეხვედრას. მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ის მატჩი სამჯერ შეჩერდა - მასპინძელთა კლუბის ხელმძღვანელთა და ქომაგთა აზრით, „მესხეთის" კარში პენალტიც არ უნდა დანიშნულიყო და მეორე გოლიც არ უნდა ჩათვლილიყო...

..."ოლიმპის" წაუგებელი სერია ვახსენეთ და „ათვლის წერტილიც"; საპირისპირო სურათია „ლოკომოტივთან" მიმართებაში - სექტემბერ-ოქტომბერში **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** გუნდი ჩემპიონატს დამაჯერებლად ლიდერობდა. აი, ნოემბრიდან კი „ლოკომოტივი" ტრავმების ეპიდემიამ მოიცვა და ამას მოჰყვა კიდეც, მართლაც, კოშმარული სერია - ზედიზედ ექვსი წაგება და ერთი ფრე! სამწუხაროდ, ბოლო დროს წარმატებებით ვერც „ლოკომოტივის" მეტოქე დაიკვეხნის - „ბორჯომმა" უკანასკნელად 4 ოქტომბერს გაიმარჯვა. ამასთან, „მესხეთის"მსგავსად, ფინანსური პრობლემები **გიორგი სუხიაშვილის** გუნდსაც ლამის ჩემპიონატის სტარტიდან მოსდევს...

ახლა კი ტურის ცენტრალურ მატჩზეც; როგორი შედეგითაც არ უნდა დასრულდეს მატჩი, „ვიტ ჯორჯია" შესვენებაზე ერთპიროვნული ლიდერის რანგში გავა. ბევრი მტკიცება ამას არ სჭირდება - **რამაზ მუმლაძის** გუნდმა ეს პატივი ალალად დაიმსახურა! თუმცა ყოველივე იმას არ ნიშნავს, რომ „ვიტ ჯორჯია" წლის უკანასკნელ შეხვედრას არასერიოზულად მიუდგება. პირიქით - მეტოქედ ხომ ერთ-ერთი პოტენციური კონკურენტი ჰყავს. თანაც, კიდევ გავიმეორებთ, რომ „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის, გია გეგუჩაძისთვის ამ შეხვედრას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. ჰო, სატურნირო თვალსაზრისითაც და იმითაც, რომ პირველად მოუწევს მომთხოვნი ზესტაფონელი ქომაგების წინაშე წარდგენა. ხვალინდელ მეტოქეთა პირველი შეხვედრაც უნდა გავიხსენოთ; მით უფრო, რომ მართლაც საინტერესო და დაძაბული მატჩი გამოდგა: პირველ ტაიმში „ზესტაფონი" დაწინაურდა, როცა **ნიკა გელაშვილმა** ყოფილი თანაგუნდელების კარში გოლი გაიტანა; აი, შესვენების მერე კი „ვიტ ჯორჯიამ" თამაშში გარდატეხის შეტანა შეძლო და **გიორგი მელქაძის** ზლაპრული გოლით ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი შეცვლაზე შემოსულმა **ვახტანგ კვარაცხელიამ** სულაც გამარჯვების მომტანი ბურთი შეაგდო!..

დაბოლოს, წელიწადის უკანასკნელი ტურის უმთავრეს მოვლენაზეც: დღევანდელი შეხვედრა „დინამოსთვის" მეექვსასე იქნება საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში! აქვე, ბარემ, იმასაც შეგახსენებთ, რომ თბილისის „დინამო" ერთადერთი გუნდია, ვინც პირველი ჩემპიონატიდან დღემდე ასპარეზობს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში!..

**გია ტუხაშვილი**

| | სულ | | | | | | შინ | | | | | სტუმრად | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. ვიტ ჯორჯია | 15 | 10 | 4 | 1 | 27-9 | 34 | 5 | 1 | 1 | 15-5 | 16 | 5 | 3 | 0 | 12-4 | 18 |
| 2. დინამო | 14 | 9 | 1 | 4 | 28-12 | 28 | 5 | 1 | 0 | 18-5 | 16 | 4 | 0 | 4 | 10-7 | 12 |
| 3. ზესტაფონი | 13 | 7 | 3 | 3 | 14-7 | 24 | 5 | 0 | 2 | 9-3 | 15 | 2 | 3 | 1 | 5-4 | 9 |
| 4. სიონი | 15 | 6 | 6 | 3 | 17-10 | 24 | 2 | 3 | 2 | 9-8 | 9 | 4 | 3 | 1 | 8-2 | 15 |
| 5. ოლიმპი | 14 | 5 | 7 | 2 | 14-8 | 22 | 3 | 4 | 0 | 7-1 | 13 | 2 | 3 | 2 | 7-7 | 9 |
| 6. ლოკომოტივი | 14 | 6 | 1 | 7 | 16-15 | 19 | 3 | 0 | 4 | 5-5 | 9 | 3 | 1 | 3 | 11-10 | 10 |
| 7. მგლები | 15 | 5 | 3 | 7 | 15-20 | 18 | 4 | 1 | 3 | 10-6 | 13 | 1 | 2 | 4 | 5-14 | 5 |
| 8. მესხეთი | 14 | 4 | 4 | 6 | 12-19 | 16 | 2 | 3 | 3 | 8-10 | 9 | 2 | 1 | 3 | 4-9 | 7 |
| 9. გაგრა | 15 | 4 | 2 | 9 | 12-25 | 14 | 4 | 2 | 2 | 10-9 | 14 | 0 | 0 | 7 | 2-16 | 0 |
| 10. ბორჯომი | 14 | 2 | 5 | 7 | 14-29 | 11 | 1 | 3 | 2 | 6-8 | 6 | 1 | 2 | 5 | 8-21 | 5 |
| 11. სპარტაკი | 13 | 2 | 0 | 11 | 10-25 | 6 | 1 | 0 | 6 | 7-15 | 3 | 1 | 0 | 5 | 3-10 | 3 |

## ბომბარდირები



| | |
|---|---|
| ვაწაძე (დინამო) | 8 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 7 |
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 6 |
| გაბედავა (გაგრა) | 6 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 6 |
| გ. თოდუა (მგლები) | 6 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 6 |
| კოშკაძე (სიონი) | 6 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 6 |
| მერებაშვილი (დინამო) | 5 |
| ოდიკაძე (დინამო) | 5 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 5 |

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტრაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

პროფლიგა — წლის შეჯამება

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო




პრიზი თემურ ლალანიძეს (მარცხნივ) ლევან ყენიას ამოცნობისთვის

# ჩემპიონატის საპრიზო ფონდი ორჯერ გაიზარდა

## სახელმწიფომ საახალწლოდ ფეხბურთი დაასაჩუქრა

პროფესიული ფეხბურთის ლიგამ შარშან ტრადიცია დანერგა - წლის ბოლოს საფეხბურთო საზოგადოებას, მედიასა და ჟურნალისტებს ხვდება და მონაგარს, ავ-კარგს აფასებს, თან დამდეგ შობა-ახალწელსაც ულოცავს. ასე მოხდა ამჯერადაც. 2008 წლის შესაჯამებლად ლიტერატურული კაფე „ქარავანი" შესაფერისი ადგილი გამოდგა.

„ლიგამ წლის შემაჯამებელი შეხვედრები ტრადიციად აქცია. 2008 წელი დასრულდა და გვსურს, გაგიზიაროთ ჩვენი ანგარიში, ჩვენი ხედვები, ამ ყველაფერს ასახავს დღეს წარმოდგენილი ყოველწლიური ჟურნალი „ლიგა", რომელიც მეხუთედ გამოიცა. თუმცა სანამ ამ ყოველივეზე ვისაუბრებდეთ, მანამდე ერთი კონკურსი მსურს წარმოგიდგინოთ," - ბრძანა პროფლიგის გენერალურმა მდივანმა **პაატა ბურჭალიანმა** და შეკრებილ საზოგადოებას საკონკურსო კითხვა გააცნო - ვისი ფოტო იყო გამოქვეყნებული ჟურნალ „ლიგის" პირველ გვერდზე?

სურათი სილუეტის სახით იყო დამუშავებული, თუმცა ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის წევრმა **თემურ ლალანიძემ** ყველას დაასწრო და ზუსტად ამოიცნო **ლევან ყენია**. ბატონმა ლალანიძემ პროფლიგის გენერალური სპონსორის, „ვითიბი ბანკი ჯორჯიისგან" სპეციალური პრიზი დაიმსახურა. ამით საღამო გახურდა და სხვა გამარჯვებულებიც დააჯილდოვეს - პროფლიგის ინტერნეტთამაშის, „ჩვენი ფეხბურთის" გამარჯვებულები. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა მედიამ ყველაფერი იცის, ისიც კი - ხვალ რა მოხდება. აღმოჩნდა, რომ ჩვენს ზოგიერთ კოლეგას საკუთარ საქმეზე არანაკლებ, მოვლენების პროგნოზირება ეხერხება. აგერ, ფაქტი: ლიგის გენერალურმა მდივანმა პირველ ეტაპზე გამარჯვებული 3 მონაწილე დაასახელა და ორი მათგანი ჟურნალისტი აღმოჩნდა - „პირველი არხის" სპორტული რეპორტიორი **ოთარ გიორგაძე** და გაზეთ „სარბიელის" კორესპონდენტი **ილია ნანობაშვილი**. მესამე გამარჯვებული კი გულშემატკივარი **ვახტანგ ჟუჟუნაძე** გახლავთ.

გუშინ ჟურნალ „ლიგის" საიუბილეო, მეხუთე გამოცემა წარმოადგინეს, რომლის რედაქტორიც ცნობილი ჟურნალისტი **გოგი ფრანგიშვილი** გახლავთ. გადაუჭარბებლად ვიტყვით, რომ „ლიგის" ისტორიაში საუკეთესო გამოცემა ვიხილეთ - დაიხვეწა და თემატიკითაც მრავალფეროვანი გახდა.

„ლიგაში" წლის ყველა საინტერესო და მნიშვნელოვანი საფეხბურთო მოვლენაა ასახული - საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, ლეგენდარული **დიეგო მარადონას** თბილისური ვიზიტი, **შოთა არველაძის** გაცილების მატჩი, საქართველოს ნაკრებში **ჰექტორ კუპერის** დანიშვნა და საქმიანობა, ჩანახატი ცნობილ ფოტოკორესპონდენტ **ბადრი კეთილაძეზე** და ასე შემდეგ.

*„უკვე მეორედ მომიხდა ამ ჟურნალზე მუშაობა. ზედმეტი სიტყვების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ძალიან საინტერესო და საპასუხისმგებლო სამუშაო, რადგან ყველაზე პოპულარულ სპორტის სახეობას, ფეხბურთს ეძღვნება. შევეცადეთ, რომ ეს არ ყოფილიყო მხოლოდ პროფესიული ფეხბურთის ლიგის საქმიანობისადმი მიძღვნილი საღამო, მთლიანად ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესები და მოვლენები, პროფლიგის მიერ განხორციელებული პროექტები შევაჯამეთ"* - ამგვარად ახსნა განსხვავებული ფორმატი „ლიგის" რედაქტორმა გოგი ფრანგიშვილმა.

დაარსების დღიდან „ლიგის" დიზაინერი **თამარ ფოცხიშვილი** გახლავთ. როგორც იქნა, ის კმაყოფილი ჩანდა: *„ვფიქრობ, საიუბილეო ნომერი საკმაოდ საინტერესოა. მიხარია, რომ ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციაში მცირე წვლილი შევიტანე".*

ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რევაზ არველაძემ** უმაღლესი ლიგის კლუბებისა და საერთოდ, საქართველოს ჩემპიონატის მომავლისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გააჟღერა.

*„ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციისა და პრესტიჟის ასამაღლებლად, საპრიზო ფონდის გაზრდა გადაწყვიტა. აქამდე, ჩვენი პირველობის საპრიზო ფონდი 200 ათასი ლარი იყო. ფეხბურთის სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტიდან ფედერაციამ დამატებით 200 ათასი ლარის გამოყოფა გადაწყვიტა. იმედი მაქვს, ეს ამ თემაზე გაკეთებულ ერთადერთ სასიამოვნო განცხადებად არ დარჩება. ჩვენი პრიორიტეტი არა მარტო ეროვნული ნაკრები, არამედ, ეროვნული ჩემპიონატიცაა და მას ყველანაირად მხარში დავუდგებით, თუ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისში ღრმად არ ჩაეფლო,"* - ხუმრობით დაასრულა სიტყვა არველაძემ.

ამ ინფორმაციამ გაურკვევლობა რომ არ გამოიწვიოს, გეტყვით, რომ ეს თანხა არ არის იმ 2 მილიონი ლარიდან, რომელიც სახელმწიფომ ეროვნული ჩემპიონატისთვის ზაფხულში გამოყო.

*„ეს არის დამატებითი თანხა, რომელიც წელს არც იყო დაგეგმილი. ამ 200 ათას ლარს არანაირი კავშირი არ აქვს იმ 2 მილიონთან, რომელიც მომავალი წლისთვისაა გათვალისწინებული. სახელმწიფო სტრუქტურებთან კონსულტაციებმა შედეგი გამოიღო, მათ ჩვენი კლუბების მძიმე ფინანსური მდგომარეობა გულთან ახლოს მიიტანეს და ჩემპიონატის მონაწილეთა მხარდაჭერა გადაწყვიტეს. ვფიქრობ, 400 ათასი ლარი უკვე სოლიდური საპრიზო თანხაა, მით უფრო, სადღეისოდ არსებულ ვითარებაში. გაზრდილი ფონდი კლუბებს მოხმარდება. რაც უფრო გაძლიერდებიან კლუბები, სპონსორების დაინტერესებისა და ფეხბურთში ფულის ჩადების მეტი შანსი გვექნება. ახლა ქვეყანასაც არ ულხინს და ასეთ კრიზისულ ვითარებაში სახელმწიფოს თანადგომა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. იმედია, საპრიზო ფონდის ბიუჯეტი სულ უფრო მზარდი იქნება"* - გვითხრა პაატა ბურჭალიანმა.

ლიგის პრეზიდენტმა **დიმიტრი რამიშვილმა** „ლელოსთან" საუბარში ბრძანა, რომ მომავალ წელს საპრიზო ფონდის კიდევ უფრო გაზრდა იგეგმება:

*„იყო დრო, როცა კლუბებს არანაირი მატერიალური სტიმული არ ჰქონდათ. მაშინ საპრიზო ფონდში 200 ათასი ლარი გავითვალისწინეთ. ახლა თანხა გაორმაგდა და უდიდესი სურვილი გვაქვს, ეს პროგრესი კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდეს და თითოეულმა კლუბმა მისი სიკეთე ყოველწლიურად იგრძნოს. რაც შეიძლება მალე უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ეროვნული პირველობა მართლაც ყველასთვის საინტერესო და პრესტიჟული ტურნირი გახდეს".*

ლიგის პრეზიდენტმა საღამო ჭიქით ხელში, დამდეგი ახალი წლის მილოცვით დაასრულა...

ინტერვიუ — კახა ცხადაძე

# სანამ აღმასკომი არ დამამტკიცებს, ახალგაზრდულში ვერ ვიმუშავებ

## შესაძლოა, ცხადაძე სტანდარდში ქართველმა შეცვალოს

როგორც გუშინ გაუწყეთ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმწვრთნელობის ერთადერთმა კანდიდატმა კახა ცხადაძემ ბაქოს „სტანდარდი" დატოვა. ერთწლიანი მუშაობის შემდეგ მან სამშობლოში დაბრუნება ამჯობინა. ცხადაძეს ჯერ ოფიციალური განცხადება არ დაუწერია, მაგრამ საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია.

იმ დღეს ბატონ კახასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. მას გუშინ გავესაუბრეთ და ბუნებრივია, პირველ რიგში, აზერბაიჯანიდან წამოსვლის მიზეზებზე ვკითხეთ...



- მოკლედ, „სტანდარდიდან" წამოხვედით...

- დიახ, ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა. გარკვევით მითხრეს, რომ ფინანსური კრიზისის გამო, გუნდის გასაძლიერებლად ახალ ფეხბურთელებს ველარ შეიძენდნენ და შესაბამისად, ამბიციურ გეგმებზეც უარს ამბობდნენ. მიმდინარე სეზონში იმდენი ქულა დავაგროვეთ, „სტანდარდს" უმაღლესი ლიგიდან გავარდნა აღარ ემუქრება. აქედან გამომდინარე, მეორე წრეში ეკონომიის გაკეთება მოინდომეს. მე კი უამბიციო კლუბში მუშაობა არ მინდა. „სტანდარდში" რომ მივედი, ახალი გუნდის მშენებლობა დავიწყე, მსიამოვნებდა იმაზე ფიქრი, რომ აუტსაიდერი, შეიძლებოდა, მალე ერთ-ერთი ლიდერი გამხდარიყო. ბოლოს იმას მივაღწიე, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონატში „სტანდარდი", საერთო აზრით, ყველაზე აზრიან და თანამედროვე ფეხბურთს თამაშობდა. იმედი მქონდა, რომ მეორე წრეში კიდევ უფრო წინ წავიწევდით, მაგრამ კლუბს გაუჭირდა, ამან კი გუნდშიც უარყოფითი რეაქცია გამოიწვია და წამოსვლა ვამჯობინე. შესაძლოა, ახალი სეზონიდან დაფინანსება ისევ გაზარდონ. თუმცა ეს მე უკვე აღარ მეხება.

**- თქვენი გადადგომა „სტანდარდის" ქართველების წამოსვლასაც ხომ არ ნიშნავს?**

- არა, რატომ? როგორც ვიცი, მთავარ მწვრთნელად დაინიშნება ბადრი კვარაცხელია, რომელიც ჩემი ასისტენტი იყო, დარჩებიან ქართველი ფეხბურთელებიც. მათ გუნდში კარგის მეტი არაფერი გაუკეთებიათ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამ ბიჭებს ისეთი ზღაპრული კონტრაქტებიც არ აქვთ, მათზე ეკონომია რომ გააკეთონ.

**- სხვათა შორის, დღეს აზერბაიჯანულმა ინტერნეტგამოცემა „აზერისპორტმა" დაწერა, ცხადაძე ქართველების მოყვანას აპირებსო. მართალია, წამოხვედით, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამდე მართლა ხომ არ გქონდათ ამგვარი სურვილი?**

- ქართველების მოყვანასო? არ ვიცი, საიდან მოიტანეს. ახლა „სტანდარდში" ვინ მივა და ვინ არა, ეს ჩემი საქმე აღარ არის. არც გუნდის სატრანსფერო გეგმები ვიცი.

**- „აზერისპორტისთვის" ამგვარი რამ უცხო არ არის. ეს გამოცემა ხშირად წერს ტყუილებს. მაგალითად, ამასწინათ დაწერეს, ცხადაძეს 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცესო, „დინამო" კი „სიმურგს" სამჯერ ისე „შეახვედრეს", თბილისური კლუბი გაოგნებული იყო...**

- რა გითხრათ... ერთხელ ისეთი ინტერვიუ დაიბეჭდა, ეტყობა, სხვა ცხადაძეს ელაპარაკნენ, არადა, მე იმ ჟურნალისტთან ნამდვილად არ მისაუბრია. ბოლო დროს მსგავსი სტატიები ძალიან გახშირდა.

**- არ დაინტერესდით, რატომ წერდნენ ასეთ ტყუილებს? „სტანდარდის" პრესატაშე ხომ პარალელურად „აზერისპორტშიც" მუშაობდა?**

- ფაქტია, რომ ის ვალდებული იყო, სიმართლე დაეწერა, მაგრამ ასე არ მოქცეულა. ისე, ნამდვილად მსურდა გარკვევა, რატომ წერდნენ ჩემზე ამდენ ტყუილს, მაგრამ ყველაფერზე თავი რომ აიტკიო, გაგიჟდები კაცი. ჯობია, ნაკლები ინერვიულო, წერონ და იკითხონ...

**- კონტრაქტი ორმხრივი სურვილის საფუძველზე გაწყდა?**

- დიახ, ასე იყო. ჩემი გადაწყვეტილება კლუბის ხელმძღვანელობას შევატყობინე. ამით კონტრაქტის დასრულებამდე ასაღებ ფულზეც უარი ვთქვი. ასე ჯობდა.

**- ალბათ, ჯობდა გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში შედარებით მშვიდად იმუშავებთ...**

- სანამ აღმასკომი არ დამამტკიცებს, ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობას ვერ დავიწყებ. თუმცა დასამალი აღარ არის, რომ ფეხბურთის ფედერაციამ ეს სამუშაო უკვე შემომთავაზა. მაშინ შევთანხმდით, რომ საქმეს 1 ივნისიდან შევუდგებოდი, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა, თუმცა მხოლოდ ფინანსური საკითხებია გასარკვევი. რაკი „სტანდარდიდან" უკვე წამოვედი, თავად ახალგაზრდული ნაკრებისთვისაც აჯობებს, რომ მუშაობა 1 იანვრიდან დავიწყო. მაგრამ ეს აღმასკომზეა დამოკიდებული. მთავარია, ფედერაციის ხელმძღვანელობას ამის სურვილი გააჩნია და რა დასამალია, გახარებული ვარ, რომ ნდობა გამომიცხადეს. ეს ჩემთვის დიდი სტიმულია.

**- არც ისე დიდი დროა გასული მას მერე, რაც აზერბაიჯანში წახვედით. ახალგაზრდულის შესაძლო კანდიდატებს, წესით, კარგად უნდა იცნობდეთ...**

- ვფიქრობ, ნორმალური თაობა წამოვიდა. უცებ რომ გადავხედოთ, მრავალფეროვანია შეტევი ხაზი. საინტერესო ფეხბურთელები არიან დაცვაშიც... თუმცა კიდევ ბევრი ფეხბურთელია სანახავი და ამიტომაც მიმაჩნია, რომ სელექცია დროულად უნდა დაიწყოს. საერთოდ, რა არის სანაკრებო სპეციფიკა? უპირველესად, სელექცია. ნაკრებში ფეხბურთელს ფიზიკურად და ტაქტიკურად ვერ მოამზადებ. იქ ამ ორი კომპონენტის მიხედვით საუკეთესოები უნდა შეკრიბო.

გვერდი მოამზადა

**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი



# ასათიანი ახალწვეულებში გამოარჩიეს

უკრაინულმა გამოცემა „ბლიკმა" ვიშალიგაში მოასპარეზე ახალწვეულები გამოარჩია და სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად, საკუთარი შეფასებაც შემოგვთავაზა. გამორჩეულთა შორის საქართველოს ნაკრების მცველი **მალხაზ ასათიანიცაა**, რომელმაც აგვისტოდან მოყოლებული, კიევის „დინამოში" არენდით ითამაშა. აი, „ბლიკის" შეფასებაც:

**მალხაზ ასათიანი**

**27 წლის, მცველი,**

**საქართველოს ნაკრები**

კიევის დინამო - 12 მატჩი

უკრაინის ჩემპიონატი - 5 მატჩი

უკრაინის თასი - 2 მატჩი, 1 გოლი

ევროტურნირები - 5 მატჩი

*„ქართველ ფეხბურთელს მოსკოვის „ლოკომოტივში", დაცვის გარდა, ნახევარდაცვაშიც ხშირად ათამაშებდნენ. რკინიგზელთა გუნდში, ტრავმის გამო, სასტარტოში ადგილი დაკარგა და იური სიომინმა გადაწყვიტა, გუნდი საქართველოს ნაკრების მცველით გაეძლიერებინა. „დინამოს" თავკაცი არ შემცდარა. მან ასათიანს დაცვის ცენტრში მისცა შანსი, როცა მიხალიკი და დიახატი დაშავდნენ. „ლოკომოტივმა" უკვე საჯაროდ განაცხადა, რომ მზადაა, ეს ფეხბურთელი კიევის „დინამოს" სიმბოლური თანხის სანაცვლოდ დაუთმოს. სხვათა შორის, სიომინსაც არ ეთმობა ასათიანი და უნდა ვივარაუდოთ, რომ კიეველები ქართველის ტრანსფერს გამოისყიდიან".*

ინტერვიუ

გიორგი ივანიშვილი

# მალე ციურიხის მთავარ გუნდში გადამიყვანენ

## მიხეილ ყაველაშვილის ვაჟი შეგრტზე, ტოპმიოლერზე, ცხადაძეზე...

**პარმა ხანია, მიხეილ ყაველაშვილის ვაჟი გიორგი „ციურიხის" დუბლებში სტაბილურად თამაშობს. ეს თავდამსხმელი ქართველ გულშემატკივარს შარშანწინ, თბილისშიც უნახავს, როცა 19-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფურ ტურნირს ვმასპინძლობდით, მაგრამ მაშინ ჰაინც ტოპმიოლერის ნაკრები ელიტრაუნდში ვერ გავიდა.**

**მას მერე ივანიშვილი წინ მიდის. როგორც გავიგეთ, მალე გიორგის, ალბათ, „ციურიხის" მთავარ გუნდში გადაიყვანენ. თბილისში მყოფ ფეხბურთელს გუშინ დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ.**



უტევს გიორგი ივანიშვილი

- „ციურიხის" 21-წლამდელთა გუნდში რეგულარულად ვთამაშობ, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი ვარ. სულ 17 მატჩი ჩავატარეთ და 13 შეხვედრაში ვითამაშე. თითო თამაში ნაკრებში გამოძახებისა და ტრავმის გამო გამოვტოვე, სხვა ორ მატჩში კი მწვრთნელმა ის ფეხბურთელები დააყენა ძირითადში, რომელთაც სათამაშო პრაქტიკა აკლდათ.

**- თავდამსხმელი ხარ და საინტერესოა, რამდენი გოლი გაიტანე?**

- 5 გოლი გავიტანე, აქედან ერთი - დუბლი იყო. ამას დავუმატოთ 7 საგოლე პასიც და მგონი, არ არის ურიგო შედეგი.

**- ყველაზე მეტად რომელი მატჩი დაგამახსოვრდა?**

- არის ასეთი გუნდი - „კიასო", რომელიც შვეიცარიისა და იტალიის საზღვართან მდებარე ქალაქს ეკუთვნის. მასთან შინ 0:3-ს ვაგებდით. მეორე ტაიმში მწვრთნელმა შეცვლაზე შემიყვანა, 2 გოლი გავიტანე და ერთიც საგოლე გადაცემა გავაკეთე. მოკლედ, ჯერ გავათანაბრეთ ანგარიში, ბოლოს კი მოვიგეთ კიდეც. მეოთხე გოლისას საჰაერო ორთაბრძოლა მოვიგე და თანაგუნდელს დავუგდე ბურთი, მან კი გვერდით დაუგორა მეორე თანაგუნდელს და ასე გავიმარჯვეთ. ამ შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს. მართლაც კარგად გამომივიდა ყველაფერი.

**- ესე იგი, პრესტიჟულ 11-ნომრიან მაისურას არ არცხვენ. როგორ მოგმართავენ თანაგუნდელები?**

- ხან გიოს მეძახიან, ხან ჯორჯს...

**- როგორც გავიგე, „ციურიხის" მთავარ გუნდში გადაყვანაზეა ლაპარაკი. ასეა?**

- კი, მართალია, ვისაუბრეთ ამ თემაზე... მაგრამ ეს საკითხი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. ისე, ჩემზეც ბევრი რამაა დამოკიდებული.

**- ანუ...**

- დუბლების მთავარი მწვრთნელი ურს ფიშერი მესაუბრა. თავის დროზე ის მამაჩემთან ერთად თამაშობდა „ციურიხში" და ჩემი შესაძლებლობებიც კარგად იცის. ფიშერმა მითხრა, ფრანგულ კლუბებს ჩვენი მთავარი გუნდის მეგოლეების - ალფონსისა და ჰასლის გადაბირება ამ ზამთარს უნდათ და თუ ისინი მართლა წავლენ, მაშინ ჩინებული შანსი გაგიჩნდება, რომ მთავარ გუნდში გადახვიდეო. მერე დაამატა, ასეთ შემთხვევაში ყველაფერი შენზე იქნება დამოკიდებულიო. ცხადია, ასეცაა - თუ მონდომებით არ ივარჯიშე, თავი ვერ გამოიჩინე, მთავარ გუნდში ვინ გადაგიყვანს?

**- და თუ ეს შანსი სეზონის განახლებამდე მოგეცა, დაამტკიცებ, რომ მთავარ გუნდში თამაშის ღირსი ხარ?**

- მჯერა, ამას შევძლებ. კარგად ვიცი საკუთარი პლუს-მინუსები, ვიცი, რა მაქვს დასახვეწი. მოსამზადებელ პერიოდში საკუთარ თავზე ვიმუშავებ და ვნახოთ... იმედია, მთავარ გუნდში თამაშს დავიმსახურებ.

**- „ციურიხის" ძირითად გუნდთან ერთად არ ვარჯიშობ ხოლმე?**

- ხანდახან. სხვათა შორის, ორ სათასო შეხვედრაში 18-კაციან განაცხადშიც შემიყვანეს, მაგრამ თამაშმა არ მომიწია. თასის მეოთხედფინალში „ციურიხი" „ბაზელს" ხვდება. ნახევარფინალისტის ვინაობას ერთი მატჩი გაარკვევს და ეს მატჩი შინ გვაქვს. შესაძლოა, ვითამაშო კიდეც.

**- „ციურიხი" შვეიცარიის მთავარ ლიგაში პირველია, დუბლებში როგორ მიდის საქმე?**

- აქაც ლიდერები ვართ. „რაპერსვილსა" და ჩვენ თანაბარი ქულები გვაქვს, მაგრამ ისინი პირველზე არიან, ჩვენ კი მეორეზე. შვეიცარიის რიგით მესამე ლიგაში გამოვდივართ, მაგრამ დუბლებს ზედა დივიზიონში გადასვლის უფლება არ აქვთ.

**- წელს 19-წლამდელთა ნაკრებში აღარ გიწევდა თამაში, მაგრამ ახალგაზრდულში კი გამოგიძახეს...**

- ასე იყო, მაგრამ სამწუხაროდ, ბელარუსში რუსებთან და პოლონელებთან ორივე მატჩი წავაგეთ. მინსკში განწირულებივით ვიყავით...

**- რატომ?**

- ცუდი საყოფაცხოვრებო და მოსამზადებელი პირობები გვქონდა. ელემენტარულად, ვიდეოდარბაზი არ დაგვითმეს სასტუმროში, რომ მწვრთნელს თეორიული ვარჯიში ჩაეტარებინა. გარდა ამისა, ფეხბურთელებიც არ იყვნენ კარგად შეთამაშებულნი. მე, მაგალითად, იმ შემადგენლობიდან მხოლოდ ოთხ ფეხბურთელს ვიცნობდი, ორი უკლუბოდ იყო, ორს ტრავმა აწუხებდა... სწორედ ამ და სხვა ფაქტორებით შეიძლება აიხსნას ის ორი მარცხი... აღარ მინდა იმ მატჩების გახსენება...

**- პეტარ შეგრტზე რა აზრის ხარ?**

- სხვათა შორის, მისი მიდგომა და ტაქტიკა-სტრატეგია მომწონდა, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენი გუნდისთვის მოკლე დროში ძნელი იყო იმის ათვისება, რასაც ხორვატი ითხოვდა. ლეგიონერებს კი გვესმოდა მისი, მაგრამ საქართველოში მოასპარეზე ფეხბურთელებს უჭირდათ ამ ყველაფრის გაგება. პრობლემა არ იყო, ჰკითხავდი და უკეთ აგიხსნიდა შეგრტი, მაგრამ სად იყო ამდენი დრო?

**- მაინც რას ითხოვდა ასეთს?**

- ევროპულ ფეხბურთს. მსგავსია შვეიცარიაშიც. არიგო საკის მსგავსი დაცვით თამაშსა და დუნგას კაპიტნობისას ბრაზილიის ნაკრების დარ შეტევას გვთხოვდა. მაგრამ დამეთანხმებით, იმ კონტინგენტით ამის ათვისება და რეალიზება არარეალური იყო...

**- შეგრტსა და ჰაინც ტოპმიოლერს ხომ არ შეადარებ ერთმანეთს?**

- შეგრტი ბევრად ჯობია, თუმცა შედეგი არც მას ჰქონდა.

**- ახლა, 21-წლამდელთა ნაკრებს კახა ცხადაძე ჩაიბარებს...**

- მეც ასე ვიცი. მას პირადად კარგად ვიცნობ, მაგრამ როგორც მწვრთნელთან, ცხადაძესთან არასოდეს მიმუშავია. თუმცა ბევრი კარგი რამ კი მსმენია მასზე. ბოლნისის „სიონი" ხომ სწორედ მან გახადა ჩემპიონი.

**- და ბოლოს, ისევ „ციურიხზე". როდის განაახლებთ მზადებას და როდის გადაწყდება, სად ითამაშებ - დუბლებში თუ მთავარ გუნდში?**

- შვეიცარიაში სეზონი თებერვლის ბოლოს განახლდება. 5 იანვრიდან მთავარი გუნდი და დუბლები ერთად მოვემზადებით, ესპანურ შეკრებაზეც ერთად წავალთ და მწვრთნელებიც უკეთ დამაკვირდებიან. თუ ალფონსი და ჰასლი ახლავე წავიდნენ, სხვა თავდამსხმელი არ ჰყავთ და მჯერა, მთავარ გუნდში მე ამიყვანენ.

ბენდელას თასი

ფინალი

# ...და ისევ ნაძალადევი

## ჩივაძე, ჯამარაული, ნემსაძე... საუკეთესოებში

გუშინ სპორტკომპლექს „ქარიშალაში" მინიფეხბურთის ტრადიციული ტურნირის „ბენდელას თასის" რიგით მე-17 გათამაშება დასრულდა. როგორც წინა ნომერში აღვნიშნეთ, „ნაძალადევი" და სეუ ერთმანეთს მესამედ შეხვდნენ ფინალში. მანამდე კი „ქარიშხალაში" სხვა თამაშებიც გაიმართა და ჯობს, თანმიმდევრობით მივყვეთ.

თავდაპირველად, 1997 წელს დაბადებულ ბავშვთა ტურნირის ფინალი ვიხილეთ, რომელშიც თბილისის „ოლიმპმა" (მწვრთნელები **ვლადიმერ მიკუჩაძე** და **ნოდარ ჭელიძე**) „საბურთალოს" 4:2 სძლია. მე-3 ადგილზე რუსთავის „შევარდენი" გავიდა.

ამის შემდეგ ორი შეხვედრა ჩატარდა. ჯერ ქალები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს - სეუ-მ „I არხი" 3:1 დაამარცხა, ხოლო შემდეგ „ვეტერანებმა" „ლიბერტას" 5:1 აჯობეს. თავის დროზე, „ლიბერტა" პატიმრებისგან შემდგარი კრებული იყო, მაგრამ დღეს ისინი პატიმრები აღარ არიან, თუმც გუნდი არ დაშალეს და ტურნირებში ასპარეზობენ. რაც შეეხებათ „ვეტერანებს", მათ შორის ცნობილმა სახეებმა ითამაშეს - **ოთარ კორღალიძემ, დავით კირკიტაძემ, დავით ნამგალაურმა, ნუგზარ ლობჟანიძემ**, მეკარე **გიორგი ბაბუაძემ** და... იმიტატორმა **ოთარ მამასახლისმა.**

ახლა კი მთავარ ტურნირზე. მე-3 ადგილისთვის მატჩში „საჯაროო რეესტრის" გუნდმა „დუშეთი" 3:2 დაამარცხა. გამარჯვებულთაგან **ჟღენტმა** დუბლი მიითვალა, მესამე გოლი კი **ჯანელიძემ** გაიტანა, დუშელთაგან ორივე ბურთი **მუჩაშვილის** ანგარიშზეა.

ფინალური მატჩი კი მართლაც რომ ტურნირის მშვენება იყო. შეხვედრას **ალექსანდრე ჩივაძე, ოთარ გაბელია** და ქართული საფეხბურთო სამყაროს სხვა ცნობილი პერსონებიც დაესწრნენ. დაძაბულ ბრძოლაში „ნაძალადევმა" სეუ მესამედაც დაამარცხა ფინალში და კიდევ ერთხელ დაეუფლა „ბენდელას თასს".




ნაძალადეველთაგან ანგარიში **მიხეილ მაზიაშვილმა** გახსნა, მერე **გოგი ფიფიამ** აღადგინა წონასწორობა და ტაიმიც ასე დასრულდა. შესვენების შემდეგ **გიორგი ჩივაძემ გიორგი ნემსაძის** გუნდი ეფექტური გოლით დააწინაურა. სეუ კვლავ შეეცადა გათანაბრებას, მაგრამ მაზიაშვილმა მეორეც გაიტანა და მატჩს საბოლოო წერტილიც დაუსვა - 3:1.

**ზურაბ ბათიაშვილი, გოჩა ჯამარაული, ზაქარია ბეგლარიშვილი, მიხეილ მაზიაშვილი, მიხეილ ბობოხიძე, გიორგი ჩივაძე, ლადო ბურდული, გიორგი მოდებაძე, გიორგი ნემსაძე** - ასეთი იყო ტურნირის გამარჯვებულ „ნაძალადევის" განაცხადი.

ფინალის შემდეგ დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. ტურნირის ორგანიზატორებმა საუკეთესოები დაასახელეს. აი, ისინიც:

მაყურებლის სიმპათია: **ზაქარია ბეგლარიშვილი (ნაძალადევი)**

საუკეთესო მწვრთნელი: **გიორგი ნემსაძე (ნაძალადევი)**

საუკეთესო მეკარე: **ზურაბ ბათიაშვილი (ნაძალადევი)**

საუკეთესო მცველი: **მიხეილ მაზიაშვილი (ნაძალადევი)**

საუკეთესო ნახევარმცველი: **ლაშა ნოზაძე (სეუ)**

საუკეთესო თავდამსხმელი: **ვლადიმერ დვალიშვილი (სეუ)**

ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი: **გოჩა ჯამარაული (ნაძალადევი)**

ბომბარდირი (8 გოლი): **ბაჩა ჯანელიძე (საჯარო რეესტრი)**

საუკეთესო ფეხბურთელი: **გიორგი ჩივაძე (ნაძალადევი)**

ტურნირის გამარჯვებული „ნაძალადევი" მთავარი პრიზით ალექსანდრე ჩივაძემ და დავით ნამგალაურმა დააჯილდოვეს.

გვერდი მოამზადა

**დავით ცაგაძემ**



*რომელი იყო ყველაზე ესთეტიკური მსოფლიოს ჩემპიონატი? ასეთი ვერ იქნებოდა 90-იან წლებში და ვერც 21-ე საუკუნეში, რადგან ვარსკვლავური ფეხბურთის დრო 80-იანი წლების მერე გაჩერდა.*

*ესთეტიკურობაზე კი კამათი შეიძლება. 1970 წლის ბრაზილია, 1974 წლის ჰოლანდია, 1978 წლის არგენტინა... ბევრი ლამაზი კადრი, თამაში და უამრავი ვარსკვლავი მოიკრიბება იმ წლებში, 1982 წელსაც ძალიან ბევრი იყო ლამაზი გუნდი და ვარსკვლავი. დავუშვათ პოსტულატი და შევთანხმდეთ, რომ 1982 წლის მუნდიალი ესთეტიკის მხრივ საუკეთესო იყო. პოსტულატიც ხომ იმისთვისაა, რომ თითქოს გამოუვალი სიტუაციიდან გამოსავალი მოიძებნოს...*

*1982 წელს, ესპანეთის მუნდიალზე, საბჭოთა კავშირის ნაკრებში ოთხი ქართველი იყო: ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია და რამაზ შენგელია. გუნდს ჩივაძე კაპიტნობდა, ნაკრების „ლიბერო", იმ დროისთვის ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო მცველი. მას შეეძლო შეტევაში წასვლა და გოლის გატანა, დაზღვევა და შეტევის ორგანიზება, საჯარიმო დარტყმისა თუ პენალტის უზადოდ შესრულება, მოწინააღმდეგის სვლების წაკითხვა... ჩივაძე თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა ნაკრების კაპიტანი იყო და მორჩა - ამითიც ბევრია ნათქვამი.*

*1982 წლის მერე ქართველ ფეხბურთელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე აღარ უთამაშია და, ალბათ, კიდევ კარგა ხანს ვერ ითამაშებს. ესპანეთი 82-ზე საბჭოთა კავშირს მართლაც კარგი გუნდი ჰყავდა, პირველი ეტაპი გადალახა და მეორედან ისე გავარდა, თამაში არ წაუგია - ორი მოგება, ორი ფრე და ერთი მარცხი - ასეთი გამოდგა ესპანური მონაგარი.*

*იმ მუნდიალზე სალაპარაკოს რა გამოლევს, თუმცა, ალბათ, აჯობებს, ესპანეთი 82-ის მონაწილეს, საბჭოთა ნაკრების კაპიტან ალექსანდრე ჩივაძეს მოვუსმინოთ...*

დავით თავართქილაძე

# სიჩუმე მე დავარღვიე...

## ალექსანდრე ჩივაძე: არ იყო სალი აზრი

1980 წლის ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის ნაკრები ფინალში ვერ გავიდა, ნახევარფინალში გდრ-სთან დავმარცხდით, 0:1. ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი მაშინ **კონსტანტინ ბესკოვი** იყო. შედეგი წარმატებულად ვერ ჩაითვლებოდა, ოლიმპიადა ხომ მოსკოვში ჩატარდა. ბესკოვს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და პოსტზე დატოვეს. ესპანეთი 82-სთვის მან ახალი გუნდის კეთება დაიწყო. ნაკრებში თამაშს თავი დაანება **ოლეგ რომანცევმა** და გუნდი კაპიტნის გარეშე დარჩა. როცა ახალი კაპიტანი გახდა ასარჩევი, ყველამ ერთხმად მე დამიჭირა მხარი. მანამდე ნაკრებში „კომსორგი" ვიყავი, ასე უწოდებდნენ მაშინ კომკავშირის მდივანს...

ბესკოვმა თავად მოითხოვა სამწვრთნელო შტაბში **ვალერი ლობანოვსკისა** და **ნოდარ ახალკაცის** შეყვანა. საბჭოთა კავშირის ნაკრებში ბევრი ფეხბურთელი იყო კიევისა და თბილისის „დინამოდან", შესაბამისად, ამ გუნდების მწვრთნელთა ნაკრებში მისვლაც ამიტომ მოითხოვა ბესკოვმა.

შესარჩევი ეტაპი ძალიან ძლიერად ჩავატარეთ, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ალმაფრენით ვთამაშობდით. ნაკრებში ძალიან კარგმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი, გუნდი ყველა რგოლში კარგად იყო დაბალანსებული, შესარჩევ ციკლში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი ვაჩვენეთ, მსოფლიოს წამყვან ნაკრებებს, ფაქტობრივად, არაფერში ჩამოვრჩებოდით.

დასრულდა თუ არა შესარჩევი ეტაპი, ბესკოვმა ლობანოვსკისა და ახალკაცის ნაკრებიდან გაშვება მოითხოვა, ალბათ ისევ მოსკოვის „სპარტაკის" მოდელზე სურდა ნაკრების ფორმირება. ბესკოვმა ამაზე თანხმობა ვერ მიიღო, საკავშირო სპორტკომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ვალენტინ სიჩმა** მას ამის ნება არ დართო და გადაწყდა, რომ გუნდს ესპანეთშიც ტრიუმვირატი უხელმძღვანელებდა - ბესკოვი, ლობანოვსკი და ახალკაცი, თუმც მთავარი მაინც ბესკოვი გახლდათ.

წილისყრამ ჯგუფში მეტოქეებად ბრაზილია, ახალი ზელანდია და შოტლანდია გვარგუნა. ბრაზილიასთან სევილიაში უნდა გვეთამაშა, ზელანდია-შოტლანდიასთან კი მალაგაში. ნაკრების ხელმძღვანელობამაც გუნდისთვის სასტუმრო მალაგისგან 30 კილომეტრში შეარჩია - ჩინებული ადგილი, რასაც კი ინატრებდი, ყველაფერი იქ იყო, მაგრამ... ეს სასტუმრო ნაკრებისთვის ზამთარში შეარჩიეს, ხოლო იქ ზაფხულში რომ ჩავედით, იქაურობა დამსვენებლებით იყო გადაჭედილი, ანუ არანაირი იზოლირებული გარემო და სიმყუდროვე გუნდისთვის, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშობდა.

კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი - ბესკოვი სხვა სტილისა და მეთოდების მიმდევარი იყო, განსხვავებით ლობანოვსკისგან. ლობანოვსკის არ უყვარდა დათმობა, ბესკოვიც რაღაცნაირი, თავისებური ხასიათის მწვრთნელი იყო. ორჯერადი წვრთნა რომ გვქონდა, ერთ ვარჯიშს ლობანოვსკი ატარებდა, მეორეს ბესკოვი. როცა ლობანოვსკის ხელმძღვანელობით ვვარჯიშობდით, ბესკოვი საერთოდ არ ესწრებოდა წვრთნას და როცა ის გვიტარებდა ვარჯიშს, ლობანოვსკი არსად ჩანდა. რაც შეეხება ახალკაცს, ის იშვიათად ატარებდა ვარჯიშს...

„სპარტაკი" და კიევის „დინამო", ბესკოვი და ლობანოვსკი - ორი მკვეთრად განსხვავებული სკოლა. ბესკოვი, შეიძლება ითქვას, რომანტიკოსი მწვრთნელიც კი იყო, შედეგზე არანაკლებ ითხოვდა ლამაზ თამაშს, ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სანახაობრივ მხარეს, ლობანოვსკისთვის კი უმთავრესი - შედეგი იყო.

1981 წელს არგენტინაში ამხანაგურად ვეთამაშეთ მასპინძელთა ნაკრებს, მატჩი 1:1 დასრულდა. სხვათა შორის, იმ შეხვედრაში **დიეგო მარადონას** მაისურა გავუცვალე, მერე ეს მაისურა კაფე „მსოფლიო სპორტს" ვათხოვე საექსპონატოდ. არგენტინასთან მატჩისთვის, ჩემ. გარდა, ნაკრებში ხუთი ქართველი იყო: **თენგიზ სულაქველიძე, რამაზ შენგელია, ნოდარ ხიზანიშვილი, ვიტალი დარასელია** და **დავით ყიფიანი**. ესპანეთში ამ ექვსეულიდან არ წაიყვანეს ხიზანიშვილი და ყიფიანი. დათოს მძიმე ტრავმა ჰქონდა გადატანილი და ერთ-ერთი საუბრისას მითხრა, ის ვეღარ ვარო... თუმც მაინც თამაშობდა და ესპანეთში რომ არ წაიყვანეს, ძალიან გულგატეხილი იყო... სხვათა შორის, მაშინ ტრავმირებული იყო **ლეონიდ ბურიაკიც**, მაგრამ ძველი დამსახურებების გამო ესპანეთში მაინც წამოიყვანეს.

მუნდიალის პირველი მატჩი 14 ივნისს, ბრაზილიასთან გვქონდა და ესპანეთში ჩავედით 13 ივნისს. არ ვიცი, ფულის დაზოგვის მიზნით თუ რატომ გადაწყვიტეს ასე, მაგრამ განა შეიძლება მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთი დღით ადრე ჩასვლა?! სხვა გუნდები ესპანეთში ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე იყვნენ ჩასულები.

ესპანეთში წასვლამდე ბოლო ამხანაგური მატჩი შვედეთთან გვქონდა. თამაშის წინ ვარჯიშზე კუნთი დამეჭიმა. საგანგებოდ მომიყვანეს ექიმი, რომელმაც ათდღიანი დასვენება გამომიწერა. ამ ექიმს კუნთის სტიმულატორი ჰქონდა, რომელიც თავად გამოიგონა და ყველას ამით მკურნალობდა. ბრაზილიასთან მატჩამდე ორი დღით ადრე ძუნძული კი დავიწყე, მაგრამ ბესკოვმა მაინც მათამაშა.

**ზიკო, ფალკაო, სოკრატესი, ჟუნიორი**... ბრაზილიას არაჩვეულებრივი გუნდი ჰყავდა, თუმცა უშანსოდ ნამდვილად არ ვყოფილვართ. **ანდრეი ბალმა** შორეული დარტყმით გაუტანა **ვალდირ პერესს** და პირველი ტაიმი 1:0 მოვიგეთ. მერე **რამაზ შენგელიას** ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს, შემდეგ საჯარიმოში წააქციეს და პენალტი არ დანიშნეს - რომ არა ყოველივე ეს, ამ თამაშის არწაგება ნაღდად შეიძლებოდა.

კარგი გუნდი კი გვყავდა, მაგრამ ბრაზილია კლასით მაინც ჩვენზე მაღლა იდგა. მატჩის მიწურულს ბურთს ველარ ვიჭერდით, ამის შემძლე ფეხბურთელები კი გვყავდა - **იური გავრილოვი, ვლადიმირ ბესონოვი, ანატოლი დემიანენკო**... მაგრამ დავიღალეთ და დაცვაში ჩავჯექით, ბოლო 15 წუთში ორი ბურთი გავუშვით - სოკრატესმა და **ედერმა** ლამაზი გოლები გაგვიტანეს.

მომდევნო შეხვედრაში ახალ ზელანდიას 3:0 მოვუგეთ გავრილოვის, **ოლეგ ბლოხინისა** და **სერგეი ბალტაჩას** გოლებით. ჯგუფში ბოლო შეხვედრა კი შოტლანდიასთან გვქონდა, მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ფრეც გვყოფნიდა.

ბრიტანელებთან შეხვედრის მე-15 წუთზე შეცდომა დავუშვი და გოლიც გაგვიტანეს - ბურთი უნდა მიმელო, მაგრამ ფეხი დამიცურდა, ამით კარგად ისარგებლა **ჯო ჯორდანმა** და შოტლანდია დააწინაურა. ტაიმიც ასე დასრულდა. შესვენებისას გასახდელში ხმას ვერავინ იღებდა, სიჩუმე მე დავარღვიე და თანაგუნდელებს ვუთხარი, ჩვენი საუკეთესო მეორე ტაიმი უნდა ვითამაშოთ, გოლი ჩემს შეცდომას მოჰყვა და თუ მომდევნო ეტაპზე ვერ გავალთ, ეს იქნება ჩემი ბოლო თამაში, ფეხბურთს თავს დავანებებ-მეთქი...

დავბრუნდით მოედანზე და ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ წარიმართა - ანგარიში ჩემი გოლით გავათანაბრეთ, მერე შენგელიამაც გაიტანა, მატჩის ბოლოს კი **გრემ საუნესმა** გაათანაბრა ანგარიში და თამაში 2:2 დასრულდა.

ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ოთხი სამგუნდიანი ჯგუფი შეიქმნა, საიდანაც გამარჯვებულები ნახევარფინალში გადიოდნენ. ჩვენს ჯგუფში ბელგია და პოლონეთი მოხვდნენ, მოკლედ, არც თუ ურიგო შანსი გვქონდა ნახევარფინალში გასასვლელად. შოტლანდიასთან შეხვედრიდან ბელგიასთან მატჩამდე მთელი ათდღიანი პაუზა იყო და საკავშირო სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით, ესპანეთში ჩვენი ფეხბურთელების მეუღლეები ორი დღით ჩამოიყვანეს, ასე იზრუნეს მოთამაშეთა განტვირთვაზე. ჩემი მეუღლე არ ჩამოსულა, ორი თვის ბავშვი გვყავდა და ეს შეუძლებელი იყო.

ბელგიას **ხორენ ოგანესიანის** მოხდენილი გოლით 1:0 მოვუგეთ, პოლონეთმა კი ბელგია **ზბიგნევ ბონეკის** ჰეთ-თრიკით 3:0 დაამარცხა. ერთი სიტყვით, პოლონეთთან მხოლოდ გამარჯვება გვაძლევდა ხელს და... ბესკოვმა, რატომღაც, დაცვითი ტაქტიკა აირჩია, ოთხ მცველს მეხუთე დაგვიმატა - **სერგეი ბოროვსკი**. ულიმღამო თამაში გამოვიდა, საგოლე მომენტიც ვერ შევქმენით და თამაში 0:0 მორჩა, ნახევარფინალში კი პოლონეთი გავიდა.

ჩვენს ნაკრებში არაერთი ფეხბურთელი იყო, ვისაც თამაშის საკუთარ თავზე აღება შეეძლო - **ბლოხინი, ბესონოვი, ოგანესიანი, გავრილოვი, დემიანენკო, დარასელია, შენგელია**... მაგრამ ისევ და ისევ არასათანადო მომზადებამ დაგვაღალატა - ამ საკითხში სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული. ყველაფერი ნაფიქრი და სწორად გათვლილი უნდა ყოფილიყო. სპორტკომიტეტს თავისი აზრი ჰქონდა, ერთ მწვრთნელს თავისი, მეორესაც საკუთარი და ამ აზრთა სხვადასხვაობაში სალ აზრამდე ვერ მივიდნენ. არადა, დასანანი იყო, მართლაც კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი გვყავდა, შემადგენლობით მნიშვნელოვნად უკეთესი - ოთხი წლის შემდეგ მექსიკა 86-ზე მოასპარეზე ნაკრებთან შედარებით...

ესპანეთი 82-ის საუკეთესო გუნდად ბრაზილია მიმაჩნია და მისი ქომაგიც გახლდით. დასანანი იყო ბრაზილიის მარცხი იტალიასთან (2:3). აპენინელებს ჰყავდათ **პაოლო როსი, დინო ძოფი, ბრუნო კონტი, ჯანკარლო ანტონიონი, გაეტანო შირეა, ფრანჩესკო გრაციანი**... მაგრამ ბრაზილია მაინც სულ სხვა იყო. მაგალითად, ფალკაოს ყველაფერი შეეძლო, ის უდავოდ გამორჩეული იყო ესპანეთი 82-ზე, მაგრამ მაშინ იმდენი ვარსკვლავი თამაშობდა, ძნელია, ვინმეზე თქვა, საუკეთესო იყოო. გახსოვთ, საფრანგეთთან მატჩში როგორ შევიდა მოედანზე **კარლ-ჰაინც რუმენიგე?** ან რა საოცარი იყო **მიშელ პლატინი**... ახლა კი ყველაფერი შედეგზე გადავიდა, სანახაობრივი მხარე დაიჩრდილა, ფეხბურთი ისე შეიცვალა, რომ მიმზიდველობა მოაკლდა, თუმც მაინც გამოჩნდებიან ხოლმე ნამდვილი ვარსკვლავები - **ზინედინ ზიდანს** ლამის დანებებული ჰქონდა თამაშისთვის თავი, მაგრამ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე მაინც ვარსკვლავურად ითამაშა ბრაზილიასთან...



მუნდიალი 82. ჩივაძე ზიკოს წინააღმდეგ

# უცხოური ფეხბურთი

ინგლისის პრემიერლიგა. XIX ტური




ასტონ ვილა-არსენალი. ზატ ნაიტს ლონდონელთა კარში მეორე გოლი გააქვს

# ლივერპული ისევ პირველია

„ლივერპულმა" "ბოლტონს" სამი უპასუხო გოლი გაუტანა და პირველი ადგილი შეინარჩუნა. **რობი კინმა** დუბლი მიითვალა. მას **ალბერტ რიერამაც** აუბა მხარი და დამაჯერებელი გამარჯვება გამოცხვა. მერსისაიდელებმა 2008 წელი ისე გალიეს, რომ შინ ერთი მატჩიც არ წაუგიათ.

**რაფა ბენიტესი** თამაშს დირექტორთა ლოჟიდან ადევნებდა თვალს. "არსენალთან" წინა ტურის შეხვედრისას ის სახლში იყო. ესპანელ სპეციალისტს თირკმლიდან კენჭები ამოაცალეს. ის გამოჯანმრთელების სტადიაშია და გუნდის გაძღოლა ასისტენტებისათვის აქვს მინდობილი.

**ალვარო არბელოამ** ტრავმის გამო ვერ ითამაშა. ამის გამო **ჯეიმი კარაგერმა** მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლა. დაცვის ცენტრში კი **სემი ჰიიპია** გაამწესეს. **ლუკას ლეივას** ნაცვლად ნახევარდაცვის ცენტრში **იოსი ბენაიუნი** ვიხილეთ. თადარიგში იმყოფებოდა ახლადგამოჯანმრთელებული **ხავიერ მასკერანო**, რომელსაც "არსენალთან" წინა ტურის შეხვედრა გაუცდა.

"ბოლტონს" ბოლო ხუთი მატჩიდან სამი ჰქონდა მოგებული. ის "ენფილდზე" დიდი რიხით ჩავიდა, მაგრამ მასპინძელმა უმალ მიუჩინა თავი ადგილი. **სტივ ჯერარდმა** უკან დახეული ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშა. მწვრთნელებმა ის უხეშად მოთამაშე **ფაბრის მუამბას** მოარიდეს. ამ გუნდების უკანასკნელის მატჩისას მუამბა ჯერარდს პერსონალურად მეურვეობდა და გვარიანად დაალურჯა...

"ჩელსიმ" "ვესტ ბრომვიჩს" სძლია. ერთი შეხედვით, დიდი ვერაფერი მიღწევაა, მაგრამ გავიხსენოთ, რომ "არისტოკრატებს" შინ ზედიზედ სამი თამაში არ ჰქონდათ მოგებული. მატჩი გახურებული არ იყო, რომ მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს. მესამე წუთზე **დიდიე დროგბამ** გაიტანა. საგოლე პასი **ჯო კოულის** ანგარიშზე ჩაიწერა. ეს ამ სეზონში კოტდივუარელი გოლეადორის მეორე ბურთი იყო.

"ჩელსიმ" მშვიდად განაგრძო მეტოქის შევიწროება. ტაიმის მიწურულს, **ფრენკ ლემპარდმა** მეორედ აილო მეტოქის კარი. **ჯონ ტერის** არყოფნაში ლემპარდს კაპიტნის სამკლაური ეკეთა. მოგეხსენებათ, "ევერტონთან" წინა ტურის მატჩისას მიღებული წითელი ბარათისათვის ტერის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

"მანჩესტერ იუნაიტედმა" სტოკიდან ძვირფასი სამი ქულა წამოიღო. **კარლოს ტევესმა** ერთადერთი გოლი თამაშის მიწურულს გაიტანა. მასპინძლებმა შეხვედრა 10 კაცის ამარა ჩაამთავრეს. **ენდი ვილკინსონი** 72-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათის გამო მინდვრიდან მიაბრძანეს.

"იუნაიტედმა" საკმაოდ უსახურად ითამაშა. როგორც ჩანს, ფეხბურთელებმა ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ძალების აღდგენა ვერ მოასწრეს. მატჩისწინა მოთელვაზე **რიო ფერდინანდმა** ზურგი იტკინა. სერ **ალექს ფერგიუსონმა** მისი ადგილი ახალგაზრდა **ჯონი ევანსს** ანდო.

რაც შეეხება საგოლე კომბინაციას: ის **გარი ნევილმა** წამოიწყო. "იუნაიტედის" მცველმა ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა. **დიმიტარ ბერბატოვმა** ის ოსტატურად გააჩერა და ტევესს დაუგორა. კარლოსმა ამ სეზონში მეორედ გამოიჩინა თავი.

"ასტონ ვილამ" "არსენალს" ძვირფასი ქულა გამოჰგლიჯა. ბირმინგემელთა მცველმა **ზატ ნაიტმა** მეორე გოლი მსაჯისაგან დამატებულ წუთებზე შეაგდო და ანგარიში გაათანაბრა. ამ გოლის წყალობით, "ვილამ" მეოთხე ადგილი შეინარჩუნა. "მეთოფეები" ჯერჯერობით ოთხეულს მიღმა არიან.

**მარტინ ონილის** გუნდისათვის ეს დამსახურებული ერთი ქულა იყო. არადა, შეხვედრა მათთვის უიღბლოდ დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ "ვილას" ინიციატივა ერთი წუთითაც არ დაუთმია, პირველი ტაიმის მიწურულს და მეორის დასაწყისში, მეტოქემ ორი გოლი გაუტანა. **დენილსონმა** და **აბუ დიაბიმ** მატჩის დარჩენილი დრო, ფაქტობრივად, ფორმალობად აქციეს. მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ მასპინძლები.

**გარეთ ბერიმ** ერთი ბურთი 11-მეტრიანით გაქვითა. **მარტინ ლაურსენის** არყოფნაში გუნდის კაპიტანი სწორედ ის იყო. ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა კაპიტნობას ჩინებულად გაართვა თავი. მან გოლს ერთი საგოლე გადაცემაც დაუმატა.

თამაშის მიწურულს, როდესაც ბირმინგემელები თავგამოდებით ცდილობდნენ მეორე გოლის გატანას, საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი ბერიმ მიიღო. მან ბურთის შეჩერება ვერ მოახერხა, თუმცა მისდა უნებურად, ხელსაყრელ პოზიციაზე მდგომ ნაიტს გაუკეთა გადაცემა. ნაიტმა აღარ დაახანა და ძლიერი დარტყმით შეაგდო.

"არსენალი" ამ შეხვედრას სერიოზული საკადრო პრობლემებით შეხვდა. **ფრანსესკ ფაბრეგასის** ტრავმით ამბავი ყველასათვის კარგადაა ცნობილი. ის ოთხი თვე დაისვენებს. **ემანუელ ადებაიორმა** დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა. ხოლო **იოჰან ჯურუ** მოთელვისას დაშავდა და **კოლო ტურეთი** შეცვალეს.

და კიდევ, "ვესტ ჰემმა" "პორტსმუთს" შთამბეჭდავად მოუგო. **ჯანფრანკო ძოლამ** შვებით ამოისუნთქა. მისმა შეგირდებმა სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარეს. მასპინძლებს არ გაუმართლათ: პირველი ტაიმის მიწურულს, **ჯერმეინ დეფომ** ყოფილი კლუბის კარში 11-მეტრიანი ვერ გაიტანა. ეს გოლი რომ გასულიყო, თამაში, შესაძლოა, სულ სხვა სცენარით წარმართულიყო. ლონდონელებმა ბოლო 13 შეხვედრაში მხოლოდ მეორედ მოიგეს. **ტონი ადამსის** "პორტსმუთს" კი ამასობაში ზედიზედ სამი წაგება დაუგროვდა. იმასაც გეტყვით, რომ "ვესტ ჰემმა" "პორტსმუთი" პრემიერლიგაში პირველად დაამარცხა.

დასასრულს შეგახსენებთ, რომ მომდევნო ტურამდე სულ რაღაც ერთი დღე მოგვიწევს ლოდინი. პრემიერლიგის XX ტურის უმეტესი მატჩები ხვალ გაიმართება.

**მომდევნო ტური**

**28 დეკემბერი. არსენალი-პორტსმუთი, ბლექბერნი-მანჩესტერ სიტი, ბოლტონი-ვიგანი, ევერტონი-სანდერლენდი, ფულჰემი-ჩელსი, ნიუკასლი-ლივერპული, ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი, ვესტ ჰემი-სტოკი; 29 დეკემბერი. მანჩესტერ იუნ-მიდლსბრო; 30 დეკემბერი. ჰალი-ასტონ ვილა**

**შალვა ბიბილაშვილი**

**სტოკ სიტი-მანჩესტერ იუნ. 0:1**

**სტოკი:** სორენსენი, ადბულა ფაიე, შოკროსი, ჰიგინბოთემი, ვილკინსონი, ამდი ფაიე (90. ოლოფინიანა), ველანი, პიუ, დელაპი (74. ენდრიუ დევისი), კრესველი (90. პერიკარი), ფულერი.

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ევანსი, ვიდიჩი, ოში (64. ბერბატოვი), გარი ნევილი, ფლეტჩერი, სქოულზი (90. ქერიკი), გიგზი, კრისტიანო რონალდო, რუნი, ტევესი.

**გოლები:** 0:1 ტევესი (83).

**გაძევება:** ვილკინსონი (72. სტოკ სიტი)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 8(2)-21(5); **ჯარიმა:** 15-9; **კუთხური:** 6-9; **ბურთის ფლობა:** 26%-75%.

**მაყურებელი:** 27 500

**ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი 2:0**

**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი, ალექსი, ეშლი კოული, ბოსინგვა (46. ბელეტი), ობი მიკელი, ლემპარდი, ბალაკი, ანელკა, დროგბა (67. მალუდა), ჯო კოული (79. დეკუ).

**ვესტ ბრომვიჩი:** კარსონი, ოლსონი, მეიტე (27. ბარნეტი), რობინსონი, ცუიევერლოონი, კიმი (69. ბედნარი), კორენი, გრინინგი, ბრანტი, მორისონი, ბიტი (60. მური).

**გოლები:** 1:0 დროგბა (3), 2:0 ლემპარდი (45).

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 25(12)-10(2); **ჯარიმა:** 6-8; **კუთხური:** 7-5; **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 43 417

**პორტსმუთი-ვესტ ჰემი 1:4**

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, დესტენი, სოლ კემპბელი, ბელჰაჯი, ვილსონი, რიჩარდ ჰიუზი, შონ დევისი, კრანჩარი, ლიტლი (71. ტრაორე), დეფო (73. კანუ), კრაუჩი.

**ვესტ ჰემი:** გრინი, აპსონი, დევენპორტი, ილუნგა, ნილი (46. ფობერი), პარკერი, ნობლი (73. ბოა მორტე), კოლისონი, ბეჰრამი, ბელამი, კარლტონ კოული (87. ტრისტანი).

**გოლები:** 1:0 ბელჰაჯი (8), 1:1 კოლისონი (20), 1:2 კარლტონ კოული (67), 1:3 ბელამი (70), 1:4 ბელამი (83).

*45-ე წუთზე დეფომ ვერ გაიტანა პენალტი*

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 23(7)-16(7); **ჯარიმა:** 14-10; **კუთხური:** 9-5; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 20 102

**ტოტენჰემი-ფულჰემი 0:0**

**ტოტენჰემი:** გომესი, კინგი, დოსონი, ასუ-ეკოტო, ჩორლუკა, ჰადლსტონი (20. ჯენასი), ზოკორა, მოდრიჩი, ბენტლი (59. ფრეიზერ კემპბელი), ლენონი, დარენ ბენტი (72. პავლიუჩენკო).

**ფულჰემი:** შვარცერი, ბეარდი, აარონ ჰიუზი, კონჩესკი, პანტსილი, ბულარდი (38. ეტუჰუ), დენი მერფი, საიმონ დევისი (90. ნევლანდი), დემპსი, ზამორა, ენდრიუ ჯონსონი.

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 14(4)-10(4); **ჯარიმა:** 8-13; **კუთხური:** 4-2; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 35 866

**ლივერპული-ბოლტონი 3:0**

**ლივერპული:** რეინა, აგერი, ჰიიპია, ინსუა, კარაგერი, ჩაბი ალონსო, ჯერარდი (73. ლუკას ლეივა), რიერა (69. ელ ზარი), ბენაიუნი, რობი კინი, კუიტი (77. ნგოგი).

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, ენდრიუ ობრაიენი, გარი კაჰილი, სამუელი (46. კევინ დევისი), სტეინსონი, მუამბა, მაკენი, ნოლანი, რიკარდო გარდნერი, მეტიუ ტეილორი (67. მუსტაფა), ელმანდერი (67. სმოლიარეკი).

**გოლები:** 1:0 რიერა (26), 2:0 რობი კინი (53), 3:0 რობი კინი (58).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 23(6)-2(1); **ჯარიმა:** 9-13; **კუთხური:** 16-3; **ბურთის ფლობა:** 74%-26%.

**მაყურებელი:** 43 548

**მანჩესტერ სიტი-ჰალ სიტი 5:1**

**მანჩესტერ სიტი:** ჰარტი, დანი, რიჩარდსი (46. ონუოჰა), ბოლი, საბალეტა, კომპანი, ირლანდი (85. უელსონი), ელანო, რობინიო, ფელიპე (46. ჟო), რაიტ-ფილიპსი.

**ჰალ სიტი:** მაიჰილი, ზაიათი, ტერნერი, მაკშეინი, მენდი, ეშბი, ჯორჯ ბოატენგი (34. დოილი), ჯოვანი (70. კუზენი), მარნი, მარლონ კინგი, ვინდესი (46. ფეგანი).

**გოლები:** 1:0 ფელიპე (15), 2:0 ფელიპე (27), 3:0 რობინიო (28), 4:0 რობინიო (36), 4:1 ფეგანი (80), 5:1 ირლანდი (82).

**გაფრთხილება:** 0-4; **დარტყმა:** 24(9)-18(7); **ჯარიმა:** 15-14; **კუთხური:** 8-10; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 45 196

**მიდლსბრო-ევერტონი 0:1**

**მიდლსბრო:** ტერნბული, პოგატეცი, რიგოტი, ენდრიუ ტეილორი, მაკმაჰონი, არკა, ონილი (85. ემნესი), დაუნინგი, ალიადიერი (70. ადამ ჯონსონი), მიდო, თუნჯაი (55. აფონსო ალვეში).

**ევერტონი:** ჰოვარდი, ლესკოტი, ჟაგიელკა, ბაინესი, ჰიბერტი, ფილ ნევილი, არტეტა, პიენაარი, გოსლინგი, ტიმ კაჰილი, ფელაინი.

**გოლები:** 0:1 ტიმ კაჰილი (50).

**გაფრთხილება:** 5-1; **დარტყმა:** 9(3)-14(3); **ჯარიმა:** 27-19; **კუთხური:** 5-8; **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 30 253

**სანდერლენდი-ბლექბერნი 0:0**

**სანდერლენდი:** ფულოპი, ანტონ ფერდინანდი, ნოსვორთი, კოლინზი, ბენდსლი, რიჩარდსონი (81. ლიდბიტერი), ტაინიო (62. უაითჰედი), რიდი, მალბრანკი, ჯოუნსი, ჯიბრილ სისე (81. დერილ მერფი).

**ბლექბერნი:** რობინსონი, ნელსენი (90. მოკოენა), სამბა, უორნოკი, ოოიერი, ენდრიუსი, დანი (62. თუგაი), პედერსენი, ემერტონი, მაკარტი (88. დერბიშირი), რობერტსი.

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 18(2)-9(2); **ჯარიმა:** 5-12; **კუთხური:** 5-2; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 44 680

**ვიგანი-ნიუკასლი 2:1**

**ვიგანი:** კერკლანდი, ბრემბლი, გარნერი, ფიგეროა, მელხიოტი, პალასიოსი (90. კილბეინი), კატერმოული, რაიან ტეილორი (71. ბრაუნი), ვალენსია, ზაქი, ჰესკი (86. კამარა).

**ნიუკასლი:** გივენი, ბასონგი, კოლოჩინი, ნზოგბია, ბეიე (38. სტივ ტეილორი), ბატი, გუტრი, დაფი, გუტიერესი, ოუენი (78. ედგარი), ვიდუკა (68. ქეროლი).

**გოლები:** 1:0 ტეილორი (29), 2:0 ზაქი (73-პენ), 2:1 გუტრი (88-პენ).

**გაძევება:** ბასონგი (73. ნიუკასლი)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 17(5)-8(2); **ჯარიმა:** 15-12; **კუთხური:** 7-4; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 20 266

**ასტონ ვილა-არსენალი 2:2**

**ვილა:** ფრიდელი, ნაიტი, კერტის დევისი, ლუკ იანგი, რეო-კოკერი, ბერი, სიდველი, სტილიან პეტროვი, ეშლი იანგი, მილნერი, აგბონლაორი.

**არსენალი:** ალმუნია, გალასი, კოლო ტურე, სილვესტრი, სანია, სონგი (44. რემსი), დენილსონი, დიაბი, ნასრი (82. კლიში), ებუე, ვან პერსი.

**გოლები:** 0:1 დენილსონი (40), 0:2 დიაბი (49), 1:2 ბერი (65-პენ), 2:2 ნაიტი (90).

**გაფრთხილება:** 4-4; **დარტყმა:** 17(6)-9(3); **ჯარიმა:** 11-10; **კუთხური:** 7-6; **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 42 585

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 19 | 12 | 6 | 1 | 30-12 | 42 |
| 2. ჩელსი | 19 | 12 | 5 | 2 | 38-7 | 41 |
| 3. მანჩესტერ იუნ. | 17 | 10 | 5 | 2 | 28-10 | 35 |
| 4. ასტონ ვილა | 19 | 10 | 5 | 4 | 32-22 | 35 |
| 5. არსენალი | 19 | 9 | 5 | 5 | 32-23 | 32 |
| 6. ევერტონი | 19 | 8 | 5 | 6 | 24-25 | 29 |
| 7. ჰალ სიტი | 19 | 7 | 6 | 6 | 28-36 | 27 |
| 8. ფულჰემი | 18 | 6 | 7 | 5 | 16-12 | 25 |
| 9. ვიგანი | 18 | 7 | 4 | 7 | 23-21 | 25 |
| 10. ბოლტონი | 19 | 7 | 2 | 10 | 22-27 | 23 |
| 11. პორტსმუთი | 19 | 6 | 5 | 8 | 21-32 | 23 |
| 12. ნიუკასლი | 19 | 5 | 7 | 7 | 25-27 | 22 |
| 13. ვესტ ჰემი | 19 | 6 | 4 | 9 | 22-27 | 22 |
| 14. სანდერლენდი | 19 | 6 | 4 | 9 | 21-26 | 22 |
| 15. მანჩესტერ სიტი | 19 | 6 | 3 | 10 | 36-28 | 21 |
| 16. ტოტენჰემი | 19 | 5 | 5 | 9 | 20-23 | 20 |
| 17. მიდლსბრო | 19 | 5 | 5 | 9 | 17-28 | 20 |
| 18. სტოკ სიტი | 19 | 5 | 5 | 9 | 17-31 | 20 |
| 19. ბლექბერნი | 19 | 4 | 5 | 10 | 20-34 | 17 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 19 | 4 | 3 | 12 | 14-35 | 15 |

**ბომბარდირები:** 14 - ანელკა (ჩელსი); 10 - რობინიო (მანჩესტერ სიტი); 9 - აგბონლაორი (ასტონ ვილა), ზაქი (ვიგანი); 8 - ვან პერსი (არსენალი), კრისტიანო რონალდო (მანჩესტერ იუნაიტედი), დეფო (პორტსმუთი), სისე (სანდერლენდი).

**ჩემპიონატი**

**XXV ტური**

**უოტფორდი-ბრისტოლი 2:4**

**გოლები:** 0:1 მეინარდი (1), 0:2 მეინარდი (29), 1:2 რასიაკი (49), 1:3 ელიოტი (52), 2:3 ელიოტი (65-საკ.კარში), 2:4 ადებოლა (90).

**ჩარლტონი-ქუინზ პარკი 2:2**

**გოლები:** 0:1 კუკი (18), 1:1 ბეილი (49), 1:2 ბლექსტოკი (68), 2:2 ბეილი (79).

**კრ.პალასი-ნორვიჩი 3:1**

**გოლები:** 1:0 ფონტე (6), 1:1 დოჰერტი (19), 2:1 ფონტე (31), 3:1 ბატერფილდი (90).

**ბარნლი-ბერნსლი 1:2**

**გოლები:** 0:1 კიურტონი (6), 1:1 მაკენი (38), 1:2 მაკენი (67-საკ.კარში).

**იფსვიჩი-ბირმინგემი 0:1**

**გოლი:** 0:1 მაკფადენი (39-პენ).

**ნოტინგემი-დონკასტერი 2:4**

**გოლები:** 0:1 ჰეფერნანი (12), 0:2 ვუდსი (33), 0:3 ველენსი (45), 0:4 ჰეფერნანი (65), 1:4 ჰერდი (69-საკ.კარში), 2:4 გარნერი (85).

**პლიმუთი-საუთჰემპტონი 2:0**

**გოლები:** 1:0 ფალონი (38), 2:0 სამერფილდი (52-პენ).

**პრესტონი-დერბი 2:0**

**გოლები:** 1:0 ლეჯერი (30), 2:0 პარკინი (68).

**რედინგი-კარდიფი 1:1**

**გოლები:** 0:1 ჩოპრა (89), 1:1 ფედერიჩი (90).

**შეფილდ უენ.-ბლექპული 1:1**

**გოლები:** 0:1 გოუ (48-პენ), 1:1 სლუსარსკი (55).

**სვონსი-ქოვენთრი 0:0**

**ვულვერჰემპტონი-შეფილდ იუნ. 1:1**

**გოლები:** 1:0 კოლინსი (19), 1:1 ბიტი (22).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვულვერჰემპტონი | 25 | 18 | 3 | 4 | 52-28 | 57 |
| 2. რედინგი | 25 | 15 | 5 | 5 | 52-23 | 50 |
| 3. ბირმინგემი | 25 | 15 | 5 | 5 | 34-23 | 50 |
| 4. ბარნლი | 25 | 12 | 7 | 6 | 39-33 | 43 |
| 5. კარდიფი | 25 | 10 | 11 | 4 | 35-25 | 41 |
| 6. კრ.პალასი | 25 | 11 | 7 | 7 | 38-27 | 40 |
| 7. პრესტონი | 25 | 12 | 4 | 9 | 35-31 | 40 |
| 8. შეფილდ იუნ. | 25 | 10 | 8 | 7 | 34-24 | 38 |
| 9. ქუინზ პარკი | 25 | 10 | 7 | 8 | 25-26 | 37 |
| 10. სვონსი | 25 | 7 | 13 | 5 | 33-30 | 34 |
| 11. შეფილდ უენ. | 25 | 9 | 7 | 9 | 25-35 | 34 |
| 12. პლიმუთი | 25 | 9 | 6 | 10 | 27-28 | 33 |
| 13. იფსვიჩი | 25 | 8 | 8 | 9 | 34-28 | 32 |
| 14. ბრისტოლი | 25 | 7 | 10 | 8 | 29-32 | 31 |
| 15. ბარნსლი | 25 | 9 | 4 | 12 | 27-31 | 31 |
| 16. ქოვენთრი | 25 | 7 | 9 | 9 | 27-31 | 30 |
| 17. ბლექპული | 25 | 7 | 9 | 9 | 24-31 | 30 |
| 18. დერბი | 25 | 7 | 8 | 10 | 28-36 | 29 |
| 19. უოტფორდი | 25 | 7 | 5 | 13 | 38-44 | 26 |
| 20. ნორვიჩი | 25 | 7 | 5 | 13 | 30-39 | 26 |
| 21. საუთჰემპტონი | 25 | 5 | 7 | 13 | 21-39 | 22 |
| 22. ნოტინგემი | 25 | 4 | 9 | 12 | 23-36 | 21 |
| 23. დონკასტერი | 25 | 5 | 6 | 14 | 15-30 | 21 |
| 24. ჩარლტონი | 25 | 4 | 7 | 14 | 27-42 | 19 |

**I ლიგა**

პიტერბორო-მილუოლი 1:0, ბრისტოლი-მილტონი 1:2, ბრაიტონი-კოლჩესტერი 1:2, კარლაისლი-ჰადერსფილდი 3:0, ქრუ-ოლდჰემი 0:3, ჰერეფორდი-ტრანმერი 2:2, ლიდსი-ლესტერი 1:1, ლეიტონი-სვინდონი 1:2, სკანთორპი 3:0, საუთენდი-ნორსჰემპტონი 1:0, უოლსოლი-სტოკპორტი 1:0, იოვილი-ჩელტენჰემი 1:1.

**II ლიგა**

ბარნეტი-ოლდერშოტი 0:3, ბრენტფორდი-ბორნმუთი 2:0, ბერი-დარლინგტონი 2:2, ჩესტერი-აქრინგტონი 2:0, ჩესტერფილდი-ლუტონი 2:2, დაგენჰემი-ჯილინგემი 2:0, გრიმსბი-ნოთს ქაუნთი 0:1, ლინკოლნი-ბრედფორდი 0:0, მორკომბი-მაკლსფილდი 4:1, როჩდეილი-შრუსბერი 2:1, როტერჰემი-პორტ ველი 1:0, ვიკომბი-ექსეტერი 1:1.

**კონფერენსი**

ნორთვიჩი-ოლტრინჩემი 0:1, კიდერმინსტერი-ფორესტ გრინი 1:1, ბეროუ-რექსჰემი 1:1, ბარტონი-იორკი 2:1, კემბრიჯი-ჰისტონი 2:2, ისტბორნი-ლიუისი 1:0, ებსფლიტი-გრეისი 0:1, კეტერინგი-მანსფილდი 1:3, სელისბერი-ოქსფორდი 2:1, სტივენიჯი-რაშდენი 3:1, ვიმუთი-ტორკი 0:1, ვოკინგი-ქროული 0:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ფრანსესკ ფაბრეგასი

# ევროპის ჩემპიონობა გასაოცარი, ტექნიკური თამაშის წყალობით მოვიპოვეთ

## ახალგაზრდა მეთოფემ სანტას სამი სურვილის ასრულება სთხოვა

2008 წლის მიწურულს სესკ ფაბრეგასს ძალიან დიდი უსიამოვნება შეხვდა. ახალგაზრდა ესპანელმა ნახევარმცველმა ჩაბი ალონსოსთან შეჯახებისას სერიოზული ტრავმა მიიღო. წინასწარი მონაცემებით, ვარჯიშის განახლებას ის ოთხი თვის შემდეგ შეძლებს. კურიოზულია, რომ ფაბრეგასი თანამემამულემ და რაც მთავარია თანაგუნდელმა დაამტვრია, მაგრამ ფეხბურთი ისეთი თამაშია, სადაც არავინ არაფრისგანაა დაზღვეული. ეს ავბედითი შემთხვევა რომ არა, გასული წელი სესკისთვის მხოლოდ და მხოლოდ ტკბილადმოსაგონარი იქნებოდა. 2008 წელს ხომ სესკმა ესპანეთის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.



ფრანსესკ ფაბრეგასი

- სესკ, არც კი ვიცი საუბარი როგორ დავიწყო, იმას რაც შენ შეგემთხვა, უილბლობაც არ ჰქვია...

- გეთანხმებით, ეს ფატალური უილბლობა იყო. დღემდე ვერ ვიჯერებ, რომ ასეთი უსიამოვნება შემემთხვა. ძალიან მწყდება გული, რომ ჩემი გუნდის საკვანძო თამაშებს დავაკლდები. ესპანეთის ნაკრებშიც ვერ ვიასპარეზებ. მესმის, რომ ფეხბურთში მართლა ყველაფერი ხდება, მაგრამ ძნელია იმასთან შეგუება, რომ ეს ყველაფერი მაინც და მაინც მე შემემთხვა.

**- თანაც, ტრავმა ჩაბი ალონსომ მოგაყენათ. ეს არის ყველაზე დიდი უილბლობა. ხშირად არ ხდება, როცა თანაგუნდელი თანაგუნდელთან შეჯახებისას ილებს სერიოზულ ტრავმას...**

- როცა გაირკვა, რომ სერიოზული ტრავმა მივილე და იძულებით შვებულებაში ხანგრძლივი ვადით გავედი, ჩაბის ვეხუმრე, რა იდიოტი ხარ, ეს რა გამიკეთე-მეთქი. ისეთ საშინელ დღეში ჩავარდა, პირიქით, მე დავიწყე ბოდიშის მოხდა. საბრალომ ძალიან განიცადა. ტირილი დაიწყო, ლამის დამიჩოქა. ალბათ, 1000-ჯერ მაინც მითხრა, რომ ძალით არ უნდოდა. განა ამას კითხვა და მტკიცება უნდა? რა გაეწყობა, სამწუხაროა, რომ არ გამიმართლა და ფეხბურთს დიდი ხნით ჩამოვშორდი.

**- სანამ ტრავმა მოგიშუშდებათ, რას გააკეთებთ?**

- ჯერჯერობით ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ შევეცდები ნაყოფიერად დავისვენო, შეიძლება ახალი წლის შემდეგ რომელიმე საზღვაო კურორტზე წავიდე. ზღვა და მზე მომენატრა. მიუხედავად იმისა, რომ ვარჯიშსა და თამაშს ვერ შევძლებ, სრული თავისუფლება მაინც არ მექნება. „არსენალის" ექიმებთან სიარული სისტემატურად მომიწევს. მოკლედ, არა მგონია, დრო ძალიან შინაარსობრივად გავატარო. უკვე დაზუსტებით ვიცი, რომ ფეხბურთის თამაში ძალიან მომენატრება.

**- გულწრფელად მითხარით, ჩაბი ალონსოზე არ გაბრაზებულხართ?**

- არა, რა თქმა უნდა. რატომ უნდა გავბრაზებულიყავი? ძალით ხომ არ გაუკეთებია? მე სრულიად სერიოზულად ვამბობ, რომ ჩაბიმ ჩემი ტრავმა ჩემზე მეტად განიცადა. სულაც არ მიკვირს, მის ადგილზე მეც საშინლად დავიტანჯებოდი. ალბათ, საშინელებაა იმაზე ფიქრი, რომ შენ გამო სხვა დიდი ხნით ვერ შეძლებს ფეხბურთის თამაშს... თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ფეხბურთში ყველაფერი ხდება. დაზღვეული არავინ არაფრისგანაა.

**- ხმები დადიოდა, რომ იანვარში „ბარსელონაში" უნდა გადასულიყავით...**

- „ბარსას" დაინტერესების შესახებ სისტემატურად წერდნენ. მაგრამ იანვარში ჩემი კატალონიაში გადასვლა გამორიცხული იყო. ტრავმა რომც არ მიმეღო, ეს ტრანსფერი მაინც არ შედგებოდა. ეს გამორიცხული გახლდათ. ზოგადად კი ვერაფერს გეტყვით. არავინ იცის, ერთი, ორი, ან სამი წლის შემდეგ რა მოხდება.

**- წლევანდელ „ბარსელონაზე" რას ფიქრობთ?**

- რა თქმა უნდა, მხოლოდ კარგს. წელს კატალონიელები ფანტასტიკურად გამოიყურებიან. ისინი დაუჯერებლად კარგად თამაშობენ. „ბარსასა" და „რეალის" დაპირისპირებას რომ ვუყურე, თვალებს ვერ ვუჯერებდი. „ბარსელონა" იმდენად დიდ უპირატესობას ფლობდა, დაჯერება მართლა ძალიან გამიჭირდა. გვარდიოლას ბიჭებმა საოცრად კარგად ითამაშეს. ერთი შეხედვით წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ სამეფო კლუბი საერთოდ ვერაფერს აკეთებდა, „ბარსა" კი დაუჯერებლად დიდ უპირატესობას ფლობდა. წლევანდელი გუნდის მთავარი ღირსება ის არის, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში სტაბილურად თამაშობს. სტაბილურობა წარმატებისკენ მიმავალი უმოკლესი გზაა.

**- საშობაო სურვილს ხომ არ გამიმხელთ?**

- რატომაც არა. არ მჯერა იმ ხალხის, ვინც ამბობს, სურვილს თუ გაამხელ, აღარ აგისრულდებაო. სანტას ვთხოვე, ტრავმა მალე მომიშუშოს, „არსენალს" ინგლისის ჩემპიონატში გაამარჯვებინოს და ესპანეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური საგზური მოაპოვებინოს. ცოტა არ იყოს, ხარბი ბავშვივით მოვიქეცი, მაგრამ ეს არის ის სამი სურვილი, რომლის ასრულებაც ყველაზე მეტად გამახარებდა. მე ხომ ნამდვილი პროფესიონალი ვარ, ამიტომ შობაზეც ფეხბურთზე ვფიქრობ ხოლმე.

**- როგორ ფიქრობთ, შეძლებს „არსენალი" პრემიერლიგაში გამარჯვებას?**

- რატომ ვერ უნდა შეძლოს? ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისთვის, რომ საჩემპიონო ტიტული დავიბრუნოთ. როცა შენი მწვრთნელი არსენ ვენგერია არაფრის შეგეშინდება და ყოველთვის ამბიციურ მიზნებს დაისახავ. ჩემი აზრით, ვენგერი ყველა დროის ერთი ყველაზე მცოდნე და კვალიფიციური სპეციალისტია. მას საოცარი იდეები აქვს. შესაძლოა, ბევრი ვერ ამჩნევს, მაგრამ ჩვენი მწვრთნელი ფეხბურთში უამრავ ნოვაციას ნერგავს. მოკლედ, მე მწამს, რომ არსენ ვენგერის „არსენალს" ყოველთვის ექნება პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების შანსი. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ქულებს ჩვენ, ფეხბურთელები ვკარგავთ ხოლმე, რადგან სენიორ არსენი პრაქტიკულად უშეცდომოდ მუშაობს.

**- მოდით, მიმავალი წელი გავიხსენოთ..**

- ტრავმაზე უკვე ვისაუბრეთ, ამიტომ წლის დანარჩენ მოვლენებზე ძალიან დიდი სიამოვნებით ვილაპარაკებ. ჩემი აზრით, 2008 წლით ყველა ესპანელი გულშემატკივარი კმაყოფილი და ბედნიერი უნდა იყოს. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვება გახლდათ. ჩვენმა თაობამ ესპანეთს მრავალწლოვანი ოცნება აუსრულა. ეს მართლაც უდიდესი გამარჯვება იყო. საქმე მხოლოდ პრესტიჟული თასის ალმართვას არ ეხება. ეს ეტაპობრივი, გარდამტეხი გამარჯვება იყო. მთელ მსოფლიოს დავუმტკიცეთ, რომ ესპანეთს, არა მხოლოდ სიმპათიური გუნდი, არამედ გამარჯვებული, ჩემპიონი ნაკრები ჰყავს. სელექსიონს აბსოლუტურად ყველა გუნდის დამარცხების უნარი შესწევს.

**- ევროპის ჩემპიონატზე რომელი მატჩი იყო გარდამტეხი?**

- ძნელი სათქმელია. არა მგონია, რომელიმე ერთი მატჩის მოგებას გარდატეხა შეეტანა. ჩემი აზრით, ყოველი ახალი შეხვედრა განსაკუთრებული და უნიკალური გახლდათ. თითოეული ორთაბრძოლა მოსაგები იყო. იმის გამო, რომ წინა თამაში მოგებული გქონდა, მორიგი მოწინააღმდეგე არაფერს დაგითმობდა. ძალიან რთული და უშელავათო ორთაბრძოლები გადავიტანეთ. ყოველ ჯერზე ყველაფერს თავიდან ვიწყებდით და ვცდილობდით, რომ შეცდომები არ დაგვეშვა და ლუის არაგონესის მითითებები პირნათლად შეგვესრულებინა.

**- ტურნირის დაწყებამდე გჯეროდათ, რომ ლუისი საჩემპიონო გუნდს მოამზადებდა?**

- რა თქმა უნდა. ამის რწმენა რომ არ გვქონოდა, ნაკრებში არავინ წავიდოდით. ლუისის თქვენ, ჟურნალისტებს არ გჯეროდათ. არადა, ყველა გეუბნებოდით, არაგონესს ტყუილად აგინებდით. გაიხსენეთ, რამდენ ინტერვიუში მითქვამს, ლუისი გენიალური სპეციალისტია და უდიდეს წარმატებას მოგვიტანს-მეთქი. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემი პროგნოზი გამართლდა და არა თქვენი (იცინის). ჯერ კიდევ გაზაფხულზე ნებისმიერი გაზეთი რომ გადაგეშალათ, არაგონესის გადაყენების მოთხოვნას წაიკითხავდით. ანხელ მარია ვილიარს მადლობა უნდა მოვახსენო, რომ თქვენს წნეხს არ აჰყვა და ჩემპიონი მწვრთნელი არ დაგვაკარგვინა.

**- საყოველთაო აღიარებით, ესპანეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე ყველაზე ლამაზი, გამართული და შემოქმედებითი ფეხბურთი ითამაშა. თქვენი აზრით, რის ხარჯზე შეძელით ეს? ხომ არ ფიქრობთ, რომ კონკურენტები ცუდ ფორმაში იყვნენ?**

- როგორ, ყველა გუნდი ცუდ ფორმაში იყო და მხოლოდ ჩვენ შევხვდით ევროპის ჩემპიონატს მაქსიმალურად მომზადებული? რა თქმა უნდა, არა! უბრალოდ, სელექსიონს ყველაზე ტექნიკური და ძლიერი ფეხბურთელები აღმოაჩნდა. დიახ, ჩვენ ამ დიდ წარმატებას გასაოცარი, ტექნიკური თამაშის წყალობით მივაღწიეთ.

**- ფინალს როგორ გაიხსენებთ? თქვენ ხომ საგოლე იერიშში მონაწილეობდით?**

- ფინალი ჩვენი დიდი შრომის გვირგვინი გახლდათ. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ რომელ იერიშში მიიღო მონაწილეობა? მთავარია, რომ გერმანიას პირწმინდად ვაჯობეთ და საერთო ძალისხმევით ისტორიულ გამარჯვებას მივაღწიეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თაობა კიდევ მრავალ სასიხარულო გამარჯვებას მიაღწევს. მორიგი დიადი მიზანი 2010 წლის მუნდიალია. ჩვენ ამას შევძლებთ.

ვილიარეალი

# პელეგრინი სენას კარგავს?

## მანჩესტერ სიტი ბრაზილიელში 28 მილიონს იხდისო

„ვილიარეალს" 1 იანვრიდან დიდი და უშელავათო ბრძოლის დაწყება მოუწევს. საქმე ის არის, რომ პრემიერლიგის რამდენიმე გუნდს ესპანური კლუბის წამყვანი ნახევარმცველის, **მარკოს სენას** გადაბირება მოუნდა. ამასწინათ მოგახსენეთ, რომ სენას „არსენალი" ეპატიჟება. **არსენ ვენგერი** იმედს გამოთქვამს, რომ „მეთოფეების" ხელმძღვანელები ყველაფერს გააკეთებენ და თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ საყრდენ ნახევარმცველს ლონდონში ჩაიყვანენ. გუშინ კი გაირკვა, რომ „ვილიარეალის" დასუსტება კიდევ ერთ ბრიტანულ გუნდს, „მანჩესტერ სიტის" მოუნდა. ყველამ კარგად იცის, რომ მანჩესტერელებს ფული თავზესაყრელად აქვთ და სატრანსფერო მოლაპარაკებების დაწყებისას ფეხს არასოდეს ითრევენ. „ვილიარეალის" ხელმძღვანელობას სწორედ ეს გარემოება აფიქრებს. ერთი მხრივ, ცუდი სულაც არ არის, როცა კლუბის ბიუჯეტის რამდენიმე ათეული მილიონი ევროთი შევსებას გთავაზობენ, მაგრამ მედალს ხომ ორი მხარე აქვს. მთავარი მწვრთნელი **მანუელ პელეგრინი** პრეზიდენტ **ფრანსისკო როიგს** სრული სერიოზულობით უცხადებს, თუ სენას გაყიდი, „ვილიარეალი" ისევე ჩამოიშლება, როგორც „რეალი" **კლოდ მაკელელეს** გასხვისების შემდეგ დაიქცა და განადგურდაო. სამეფო კლუბს სხვა მეგავარსკვლავებიც ჰყავდა და მაკელელეს წავლის შემდეგ ინიციატივა მათ აილეს ხელში. აი, „ვილიარეალისთვის" კი მარკოს სენა მართლაც შეუცვლელი ფიგურაა. ამ გუნდის ნახევარდაცვის სიმტკიცე სწორედ მარკოსის ფეხებზეა დამოკიდებული. მოკლედ, სენიორ პელეგრინის პოზიცია ცხადი და ნათელია, მაგრამ ფრანსისკო როიგს ცდუნების ჭია შეუძვრა. საქმე ის არის, რომ „მანჩესტერ სიტი" სენას სანაცვლოდ 28 მილიონი ევროს გადახდის მზადყოფნას გამოთქვამს. მარკოსი ძალიან ძლიერი ნახევარმცველია, მაგრამ მას ახალგაზრდა აღარ ეთქმის და ყველა ხვდება, რომ როიგი საყრდენ ნახევარმცველს ასე სარფიანად ველარ გაყიდის...

კლუბის პრეზიდენტს ისლა დარჩენია დაიანგარიშოს, სენას დარჩენისა და საკვანძო შეხვედრების მოგების შემთხვევაში უფრო დიდ მოგებას ნახავს, თუ მისი გაყიდვით და სატრანსფერო თანხის ბიუჯეტში გადარიცხვით. სანამ სენიორ პაკო გადაწყვეტილებას მიიღებს, სენა დროს არ კარგავს და ჟურნალისტებს საშობაო არდადეგებზეც კი ელაპარაკება. მან „დიარიო ასის" კორესპონდენტს ბრაზილიიდან ასეთი რამ განუცხადა: „გამოგიტყდებით, „მანჩესტერ სიტიმ" ძალიან საინტერესო წინადადება შემომთავაზა. პირობები იმდენად მაცდური და მიმზიდველია, ინგლისში გადასვლაზე სერიოზულად დავფიქრდი. ამ ეტაპზე სხვას ვერაფერს ვიტყვი. გიდასტურებთ, რომ ჩემმა მენეჯერმა ბრიტანელთა წინადადება მიიღო. „ვილიარეალის" ხელმძღვანელობაც საქმის კურსშია. ასე რომ დამალული არაფერია. ახლა ყელაფერი იმაზეა დამოკიდებული „ვილიარეალის" მესვეურები როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ. ვნახოთ... ძალიან გთხოვთ, წინასწარ ლაპარაკს ნუ მომთხოვთ. მით უმეტეს, ისეთ საკითხებზე, რომლის შესახებ საუბარიც ჩემს კომპეტენციას სცილდება."



მარკოს სენა

გვერდი მოამზადა
ილია ნიკოლაიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

რაფაელ რანგნიკი

# ეს ყველაფერი ძალიან ლამაზ ზღაპარს ჰგავს

## პროფესორ რალფის ფილოსოფია, ანუ როგორ უნდა ჩამოაყალიბო ისეთი გუნდი, როგორიც ჰოფენჰაიმია

როცა რალფ რანგნიკი „შალკეს“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს, გერმანიაში ბევრმა იფიქრა, რომ მისი, როგორც მწვრთნელის ვარსკვლავი ჩაქრა. თავი დავანებოთ იმას, რომ გელზენკირხენულ კლუბს მას მერე ისეთი შედეგები აღარ ჰქონია, როგორიც „პროფესორ რალფის“ ხელში ჰქონდა. მთავარი ის არის, რომ რანგნიკი დაბრუნდა და მერე როგორ! 50 წლის სპეციალისტი ყველასათვის უცნობ, რეგიონალლიგაში მოთამაშე გუნდს ჩაუდგა სათავეში. კლუბში დიდი ინვესტიცია ჩაიდო და სოლიდური გუნდის შენება დაიწყო. შენებაცაა და შენებაც - „ჰოფენჰაიმის“ პროგრესი ისეთი სისწრაფით განვითარდა, უკეთესს რომ ვერ ინატრებდა - სოფლის გუნდი პირველივე ცდაზე მეორე ბუნდესლიგაში ალზევდა, მერე, ასევე პირველივე ცდაზე, მთავარ ბუნდესლიგაში აღმოჩნდა და დღეს, პირველივე სეზონში, რომელსაც „ჰოფე“ ელიტაში ატარებს, პირველი წრის გამარჯვებულიც გახდა. 2008 წლის მიწურულს, „შპიგელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში რანგნიკი იმაზე საუბრობს, თუ როგორ იპოვა თავისი გუნდი...

**- ჰერ რანგნიკ, ბუნდესლიგის ისტორიაში მეორედ მოხდა ისე, რომ ქვედა ბუნდესლიგიდან ელიტაში გადმოსული გუნდი პირველსავე სეზონში შემოდგომის ჩემპიონი გახდა. ყველა გაოცებულია. თქვენ?**

- ეს მართლაც გასაოცარი ამბავია. ჩვენც ვცდილობთ, გავიგოთ, როგორ მოხდა ეს ყველაფერი და ცხადია, ამას თავისი ახსნაც აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს ყველაფერი მაინც ძალიან ლამაზ ზღაპარს ჰგავს.

**- რამდენად რეალურია ის, რომ თქვენი გუნდი მაისში გერმანიის ჩემპიონი გახდეს?**

- თეორიულად ეს რეალურია, მაგრამ პირდაპირ გეტყვით: ამას არავინ ელის. ჩვენთან არც იმას ამბობს ვინმე, რომ ვალდებულები ვართ, „ვერცხლის სინი“ დავისაკუთროთ. „ჰოფენჰაიმმა“ უკვე იმდენად დიდ წარმატებას მიაღწია, რომ სეზონის ბოლოს მეხუთე ადგილზეც რომ აღმოვჩნდეთ, თავში აზრადაც კი არ მოუვა ვინმეს იმის თქმა, რომ ქომაგებს იმედები გავუცრუეთ. 2007 წელს „შტუტგარტი“ იმიტომაც გახდა გერმანიის ჩემპიონი, რომ ამ გუნდის ფეხბურთელები ბოლო ტურამდე არ ფიქრობდნენ „ვერცხლის სინზე“ და გაიხსენეთ, მხოლოდ ბოლო ტურში აღმოჩნდნენ წნეხის ქვეშ, რომელსაც გაუძლეს კიდეც.

**- თქვენმა ფეხბურთელებმა დიდი პროგრესი განიცადეს და ბევრი რამ ისწავლეს, თუ ყოველი მათგანი, უბრალოდ, ძალიან ძლიერია?**

- ორივე შემთხვევაში მართალი ხართ. თავად განსაჯეთ - არც ერთ ფაზაში არ ყოფილა საქმე ისე, რომ გასავარდნ ზონაში ვყოფილიყავით. ეს კი უკვე დიდი მიღწევაა. თუმცა მიმაჩნია, რომ ახალგაზრდა გუნდისთვის ზოგჯერ მარცხი უკეთესიც კია, რადგან ბიჭებმა უნდა ისწავლონ, როგორ შეეგუონ იმედგაცრუებას, წარუმატებლობას...

**- გამოდის, რომ „ბაიერნთან“ წაგებაშიც პოზიტივი დაინახეთ...**

- იმ შეხვედრაში მარცხს არ ვიმსახურებდით და ძალიან არ გაგვიმართლა, მაგრამ საფინალო სასტვენის შემდეგ ბიჭებს ვუთხარი - ძალიან მაგრად ითამაშეთ-მეთქი. ასეც იყო, რადგან გადაჭედილ „ალიანს არენაზე“ ისეთი საფეხბურთო ატმოსფერო დაგვხვდა, როგორიც მადრიდის „რეალთან“ მატჩის დროსაა ხოლმე. ჩვენთან კი, კარლოს ედუარდოს გარდა, 70 000 მაყურებლის თვალწინ ჯერ არც ერთ ფეხბურთელს არ ჰქონდა ნათამაშები.

**- მატჩის შემდეგ ძალიან გაბრაზებული ჩანდით...**

- ზოგიერთი მწვრთნელი იტყვის ხოლმე - თუ გუნდი კარგად ითამაშებს და წავაგებთ, მაინც კმაყოფილი ვიქნებიო. მე არ შემიძლია „კარგად წაგება“! ბავშვობაში ბაბუას ჭადრაკს რომ ვეთამაშებოდი და ვაგებდი, მერე ფიგურებს ვესროდი. წაგებას ვერ ვიტან!

**- თამაშის შემდეგ ისე ჩანდა, თითქოს მარცხენა მცველ ანდრეას იბერტსბერგერს ეჩხუბეთ იმის გამო, რომ მიუნხენელთა მეორე გოლი მის შეცდომას მოჰყვა...**

- არა! მე არ ვარ ის მწვრთნელი, რომელიც მარცხის შემდეგ განტევების ვაცს ეძებს. ჰოფენჰაიმელებს ასეთი რამ არ გვახასიათებს. სიმართლე გითხრათ, გაცოფებული მხოლოდ ბრემენში განცდილი მარცხის (4:5) შემდეგ ვიყავი.

**- რატომ? თქვენმა გუნდმა „ვერდერთან“ ხომ შესანიშნავი ფეხბურთი აჩვენა, სამბურთიანი ჩამორჩენა „ამოქაჩა“ და იმდენად კარგად ითამაშა, რომ ბრემენელმა ფანებმაც კი „ჰოფე, ჰოფეს“ სკანდირება დაიწყეს...**

- ...და სწორედ ამის გამო ვიყავი გაბრაზებული! ფეხბურთელებს ბრემენელი ფანების ოვაციები ესიამოვნათ, ბედნიერები იყვნენ... არადა, ის თამაში ჩვენ წავაგეთ! საფინალო სასტვენის შემდეგ გასახდელში შევედი და 10 წუთის განმავლობაში იქ



მარტო ვიყავი! მერე შემოვიდა ერთი ფეხბურთელი დიეგოს მაისურით, მეორე ნალდოს ფორმით, მესამე პისაროს მაისურით და ასე შემდეგ. ძალიან გავბრაზდი. მერე ოთახში წყლიან ბოთლებს ვისროდი და ვღრიალებდი... მიუნხენში კი ასეთი განრისხების საფუძველი არ მქონია.

**- „ბაიერნთან“ მატჩის შემდეგ ბიჭებს სახეზე სიხარული აღარ ეტყობოდათ.**

- არა! ისე, მე არ მახსოვს მატჩი, რომელშიც ამაზე უფრო სწრაფი ტემპი იყო. საათს რომ დავხედავდი, მიკვირდა, ისე სწრაფად გადიოდა დრო. ახლა ვიტყვი, რომ მატჩის ინტენსიურობის გამო დროის შეგრძნება სრულიად დაკარგული მქონდა და ამის გამო შეცდომაც დავუშვი.

**- რა შეცდომა?**

- როცა დამატებული დროის ათვლა დაიწყო, ერთი ცვლილების განხორციელება მინდოდა, რომ ნახევარი წუთი მაინც მოგვეგო. მაგრამ მატჩი ისეთი დაძაბული და დრამატული იყო, ფეხბურთელი დროულად ვერ მოვამზადეთ შესაცვლელად. არადა, ეს შეცვლა რომ მომხდარიყო, დრო გავიდოდა და ბავარიელები გოლს ველარ გაგვიტანდნენ...

**- მოკლედ, თქვენც უშვებთ შეცდომებს და ამ შეცდომებზე სწავლობთ...**

- რა თქმა უნდა, ეს ხომ ლოგიკურია. ზოგადად, ჩვენ ყველანი ვსწავლობთ.

**- რამდენად ახლოსაა „ჰოფე“ საფეხბურთო კლუბის თქვენეულ იდეალთან?**

- ძალიან ახლოსაა! არა მხოლოდ იმ მხრივ, თუ როგორ ფეხბურთს თამაშობს გუნდი, არამედ იმითიც, თუ როგორ ექცევიან ფეხბურთელები ერთმანეთს... მაგრამ მოდით, ჯერ იმაზე დავფიქრდეთ, როგორ გვესმის სიტყვა - „იდეალური“. ფეხბურთი განვითარებაა, ფეხბურთი მომავალია. დააკვირდით - მართალია, ჩვენ პირველი წრე ლიდერების რანგში დავასრულეთ და შემოდგომის ჩემპიონები გავხდით, მაგრამ როგორც კი დასვენების შემდეგ შევიკრიბებით და ვარჯიშს დავიწყებთ, ყველას ერთი კითხვა გაუჩნდება: „რა იქნება მომავალში?“

**- რამდენად მომწიფებულია გუნდი იმისთვის, რომ ყველაფერი ისე გაგრძელდეს, როგორც აქამდე იყო?**

- ყველაზე დიდი საფრთხე ეიფორიაში ჩავარდნის შემთხვევაში გვემუქრება. ესეც არ იყოს, რაც არ უნდა ვამტკიცოთ, ვერ დავამტკიცებთ, რომ „ჰოფენჰაიმში“ ყველაფერი გენიალურადაა. ამის დამტკიცება არც არასოდეს გვიცდია, რადგან ეს სისულელე იქნებოდა. ჩვენთანაც ყველაფერი ჩვეულებრივადაა - ვილაცას ვილაცის შურს, ვილაცა ვილაცას ვერ იტანს და ასე შემდეგ. მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ „ჰოფე“ მაქსიმალურად ერთ მუშტადაა შეკრული. ამიტომაც ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ იდეალურთან მიახლოებული სიტუაცია არ შეიბლალოს.

**- მეორე წრისთვის ტიმო ჰილდებრანდი გადაიბირეთ...**

- ტიმომ პირველივე შეხვედრის დროს გვითხრა - „ჰოფენჰაიმში“ გადმოსვლა ძალიან მინდაო. მე კი ვუთხარი, ეს მოედანზე უნდა დაამტკიცო-მეთქი. ტიმოს იმხელა ხელფასი რომ მოეთხოვა, რამდენსაც „ვალენსია“ უხდიდა ან რამდენსაც კიდევ ორი სხვა გუნდი სთავაზობდა, ჩვენ მას არ ავიყვანდით. იმიტომ კი არა, რომ ფული არ გვაქვს, არამედ იმის გამო, რომ ჩვენ საქმეს სხვაგვარად ვუდგებით. ფეხბურთელებს ვარჩევთ არა სახელის, არამედ მოტივაციის მიხედვით.

**- „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰიონესმა თქვა, „ჰოფეს“ ფეხბურთელები გაცილებით მაღალ ხელფასებს იღებენ, ვიდრე ეს მათ დავთრებში წერიაო...**

- ...და უკვე ზუსტად ვიცი, რატომაც თქვა ეს...

**- რატომ?**

- ოქტომბერში სეიად სალიჰოვიჩს კონტრაქტის გაგრძელებაზე სიტყვიერად შევუთანხმდით. ამ დროს, ჰიონესმა მას დაურეკა და გაცილებით უკეთესი პირობები შესთავაზა. ფეხბურთელი საგონებელში ჩავარდა, რაც საკმაოდ ნორმალური მოვლენაა. მაგრამ ორი დღის შემდეგ დაგვირეკა და გვითხრა, სიტყვის გატეხას არ ვაპირებ, არც ვაჭრობას დავიწყებ, რაზეც შევთანხმდით, იმ პირობებზე თანახმა ვარ და „ჰოფენჰაიმთან“ კონტრაქტს გავაგრძელებო. რა გასაკვირია, რომ ჰიონესს ჰგონია - „ჰოფენჰაიმის“ ბოსებმა ჩვენზე მეტი შესთავაზეს და დაითანხმესო. არადა, ღმერთია მოწმე, არაფერი შეგვითავაზებია.

**- ...და ჩვენ ეს უნდა დავიჯეროთ?**

- გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ეს ფაქტია. სალიჰოვიჩს „ბაიერნში“ ისეთი კონკურენტები ეყოლებოდა, როგორებიც რიბერი, შვაინშტაიგერი და ალტინთოფი არიან. სეიადი ჯერ 24 წლისაა და „ჰოფენჰაიმზე“ უკეთ ვერსად განვითარდება. მაღალანაზღაურებადი ხელშეკრულება კი, შეუძლია, ჩვენთანაც მიიღოს, ოღონდ მერე...

**- მაგრამ ის ხომ ფაქტია, რომ კარლოს ედუარდო ან ობასი ოგბუკე ნებისმიერ ევროპულ გრანდს დაამშვენებდნენ? მათ სათადარიგოთა სკამზე არავინ დასვამდა...**

- ამ ორმა ფეხბურთელმაც ძალიან კარგად იცის, რომ მათთვის ასეთ ასაკში „ჰოფენჰაიმი“ საუკეთესო მისამართია. მშვიდად არიან, მუდმივად თამაშობენ და წარმატებებსაც აღწევენ.

**- დაგვეთანხმებით, რომ ყველა ფეხბურთელს მაინც ვერ გააჩერებთ...**

- ჩვენ ვიცით, რომ თუ მათი შენარჩუნება გვსურს, მეტი ფული უნდა ვუხადოთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელფასებს გავუორმაგებთ. ყველას ჰგონია, რომ ჩვენ შეგვიძლია, ფული ვფანტოთ, მაგრამ ასე არ არის. ფეხბურთელმაც უნდა იცოდეს, რომ მისთვის გუნდში დარჩენის მთავარი კრიტერიუმი არა ფული, არამედ მისი განვითარებაა. თუმცა ცხადია, ფულიც ძალიან მნიშვნელოვანია.

**- „ჰოფენჰაიმში“ ასეთი წესი იყო დამკვიდრებული: არც ერთ ფეხბურთელს არ უნდა ჰქონოდა მთავარ მწვრთნელზე დიდი ხელფასი. ამ კანონს მომავალშიც შეასრულებთ?**

- რა თქმა უნდა, აუცილებლად! ჩემი აზრით, ვისაც ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა აკისრია, მას უნდა ჰქონდეს ყველაზე მაღალი ანაზღაურება. ეს ნებისმიერ დიდ კომპანიაში ასეა, გნებავთ „სიმენსი“ აიღეთ და გნებავთ, „დაიმლერი“.

**- პროფესიული ფეხბურთის დონეზე არასდროს გითამაშიათ. ამას წინათ, „შალკეს“ მენეჯერმა ანდრეას მიულერმა თქვა, რანგნიკს ფეხბურთელობისა არაფერი ეტყობა და ცივი, სპორტის ამ სახეობის მიმართ ინდეფერენტული ჩანსო...**

- სასაცილოა.

**- გწყინთ ეს?**

- რა თქმა უნდა, არა. როცა „შალკეს“ მწვრთნელი გავხდი, იქ ასეთი სიტუაცია დამხვდა: „ჩვენ დიდი ხანია ერთად ვართ, შენ კი ახალი ხარ და არაფერი შეგეშალოს. მწვრთნელები მიდიან და მოდიან, ჩვენ კი სულ ერთად ვართ!“ ცხადია, ეს პირდაპირ არავის უთქვამს, მაგრამ იგრძნობოდა. მას მერე ვიბრძოდი ასეთი მენტალიტეტის მოსაკლავად. ფეხბურთელებმა უნდა იცოდნენ, რომ მთავარი მწვრთნელი მთავარი კაცია! „შალკეში“ ზოგადად ცუდი მენტალიტეტი აქვთ. და არა მარტო „შალკეში“, ასეა ბევრგან. სანამ ისე ხდება, რომ ფეხბურთელს ძველი დამსახურებების გამო უფორმებენ კონტრაქტს და ჰპირდებიან, რომ კარიერის დასრულების შემდეგ ბავშვთა გუნდში ამუშავებენ, ასეთ გუნდს არაფერი ეშველება!

**- ული ჰიონესი ამას რომ წაიკითხავს, იტყვის - მაგას ჰგონია, ყველაფერი ყველაზე უკეთ იცის და ესმის, პროფესორობსო...**

- კარგით ერთი, ჰიონესი მე საერთოდ არ მიცნობს. რა იცის, როგორი ვარ?

**- ხანდახან ბოღმიანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებთ...**

- ადრე მართლა ვიყავი გარკვეულწილად ბოღმიანი. ახლა აღარ ვარ. მე არც ის მინდა, რომ მთელ მსოფლიოს „ჰოფენჰაიმი“ და რალფ რანგნიკი ეკეროს პირზე. ღმერთო ჩემო, ეს ნამდვილად არ მინდა! ორწლინახევრის წინ მაგიდაზე დამიდეს ფურცელი, რომელზეც ხელი უნდა მომეწერა. დღეს კი მყავს გუნდი, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში ჩემს ხელში ზღაპრული პროგრესი განიცადა!

**- როგორც მწვრთნელი, გაიზარდეთ?**

- რა თქმა უნდა!

**- ახალი ფეხბურთის აღმოჩენას ხომ არ ცდილობთ?**

- როგორ გეკადრებათ! ეს უდიდესი სისულელე იქნებოდა. ფეხბურთში ყველაფერი აღმოჩენილია. ჩვენ ბევრს ვცდილობთ, ეს ფაქტია. ვარჯიშის ზოგიერთ სტილს შევეშვით, სამაგიეროდ, ახლებზე გადავედით... მარტივი მაგალითი ავიღოთ - „ჰოფენჰაიმში“ გვაქვს თავდამსხმელების ვარჯიშის ერთი სტილი, რომელსაც „ბანანს“ ვუწოდებთ. მცველები დერეფნებს მაქსიმალურად კეტავენ და თავდამსხმელები უნდა ეცადონ, რაც შეიძლება სწრაფად დააღწიონ მათ თავი და კარისკენ, დასარტყმელ პოზიციაზე გაიჭრან. ასეთი რამ რომელიმე გრანდში რომ გამეკეთებინა, სადაც თითოეულ ვარჯიშს მინიმუმ 10 ჟურნალისტი ესწრება, მეორე დღეს დაიბეჭდებოდა სტატია ასეთი სათაურით: „ქაოსი ვარჯიშზე, რანგნიკი ნამდვილი ბანანია!“

**- შეიძლება თუ არა წარმატების დაგეგმვა?**

- წარმატების დაგეგმვა შეუძლებელია, შედეგის - კი. თითოეულმა ფეხბურთელმა სისწრაფე, ტექნიკური შესაძლებლობები, ტაქტიკური დისციპლინა და მოტივაციის ხარისხი უნდა გააუმჯობესოს. მათ გამუდმებით უნდა ისწავლონ! სამწვრთნელო ხელოვნების აზრი იმაშია, რომ ყველა ფეხბურთელს სტრატეგიული მიმართულება უნდა მისცე! ასეთ შემთხვევაში, შედეგს აუცილებლად მიაღწევ! მაგრამ შესაძლებელია, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ჯერ ტედი შერინგემმა მოიქნიოს ფეხი, მერე სოლსკიაერმა და მოგებული ფინალი წააგო...

**- „ჰოფენჰაიმის“ შემდეგ სხვა გუნდში თქვენი თავი წარმოგიდგენიათ?**

- დღესდღეობით ჩემი სამსახურით იმდენად კმაყოფილი ვარ, სხვა გუნდზე ერთი წამითაც კი არ მიფიქრია. შვებულება ახლახან დაგვეწყო და მოუთმენლად ველი, როდის ვნახავ ბიჭებს...

**- როგორ ფიქრობთ, თქვენი ფეხბურთელებიც ასე არიან?**

- არ ვიცი. „შალკესთან“ თამაშის წინ ვკითხე, შვებულების დროს რას გააკეთებთ-მეთქი. აღმოჩნდა, რომ 10 ფეხბურთელი ნიუ-იორკში მიფრინავდა. ეს ძალიან გამიხარდა! წარმოიდგინეთ, მთელი წლის განმავლობაში, ყოველდღე ერთად არიან და შობა-ახალ წელსაც ერთად ხვდებიან. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ „ჰოფენჰაიმი“ რაღაც განსაკუთრებულია.

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## ფერგიუსონი გვამცნობს...

იაპონიიდან დაბრუნების შემდეგ სერ **ალექს ფერგიუსონი** ხალისიან განწყობაზე გახლავთ. ის საკუთარი გუნდის თამაშის ხარისხითა და შემადგენლობით აბსოლუტურად კმაყოფილია. *„არ ვფიქრობ, რომ იანვარში ვინმეს გამატება საჭირო იყოს. ძალიან ბედნიერი ვარ იმ კონტინგენტთან მუშაობით, ვინც ახლაა ჩემს განკარგულებაში. შეიძლება, ვიფიქროთ მხოლოდ იმაზე, რომ რამდენიმე ფეხბურთელი იჯარიდან დავიბრუნოთ. ეს მოგვცემს უშიშროების უფრო მეტ განცდას განსაკუთრებული შემთხვევებისთვის. დიახ, იაპონაში 23 ფეხბურთელი მყავდა და ძალზე კმაყოფილი ვიქნები, თუკი ყოველდღიურად, სეზონის ბოლომდე, ყველა მათგანთან მუშაობა მომიწევს და ტრავმის გამო რომელიმე არ გამომაკლდება“*, - განაცხადა შოტლანდიელმა.

გეტყვით იმასაც, რომ მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკურ და პროტესტანტულ სამყაროში გუშინწინ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავდნენ, შუადღისას ფერგიუსონმა უკლებლივ ყველა ფეხბურთელი ბაზაზე დაიბარა და სერიოზულადაც დატვირთა.

## ფაულერი მიდის

**სემ ელერდაისი** უკვე კონკრეტულ გეგმებს აწყობს იანვრის სატრანსფერო ბაზრისთვის. შეგახსენებთ, რომ 33 წლის **რობი ფაულერთან** „ვარდებმა“ სულ რამდენიმეთვიანი კონტრაქტი გააფორმეს, რომელიც იანვარში იწურება და რომლის გაგრძელებაზე გუნდის ახალმა დამრიგებელმა უარი თქვა - მას ვეტერანი თავდამსხმელი არ სჭირდება.

*„რობისთან ხსენებულ საკითხზე უკვე ვილაპარაკეთ და შეთანხმებამდე ადვილად მივედით - თანამშრომლობას აღარ გავაგრძელებთ“*, - განაცხადა „დიდმა სემმა“. ოდესღაც ინგლისის ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული ტალანტის სამსახურით ქვედალიგელი „გრიმსბი თაუნია“ დაინტერესებული.

„დეილი მირორის“ მტკიცებით, „მანჩესტერ სიტი“ მზადაა „ბლექბერნთან“ მოლაპარაკება გამართოს ცენტრალური მცველის **ტალალ ბენ ჰაიმის** ტრანსფერთან დაკავშირებით. „ქალაქელებმა“ ებრაელი ფეხბურთელი „ჩელსიდან“ ამ ზაფხულს დიდი იმედებით აიყვანეს, მაგრამ მან მოლოდინი აშკარად ვერ გაამართლა. 17 ტურში ის მხოლოდ რვაჯერ მოხვდა გუნდის სასტარტო შემადგენლობაში. 26 წლის ფეხბურთელის ღირებულება სულ რაღაც სამი მილიონი გირვანქაა.

## შეყვარებული მწვრთნელი

*„არასოდეს დამიმალავს, რომ ინგლისურ ფეხბურთზე შეყვარებული ვარ. ადრე თუ გვიან, აუცილებლად დავბრუნდები ამ ქვეყანაში. იქამდე კი ერთი მიზანი მაქვს, მოვიგო სამი ქვეყნის ჩემპიონატი - ინგლისის, იტალიისა და ესპანეთის. იქამდე დიდი დროა. ახლა „ინტერში“ ძალზე ბედნიერი ვარ“*, - განაცხადა **ჟოზე მოურინიომ**.

შეკითხვაზე, შეიძლება თუ არა უახლოეს წლებში პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ვიხილოთ, მან უარყოფითი პასუხი გასცა და გაიხსენა ისტორია, როცა **სტივ მაკლარენის** გადადგომის შემდეგ ინგლისის ნაკრების თავკაცობა შესთავაზეს.

*„ინგლისის ნაკრებზე უარი ვთქვი, იმიტომ, რომ მინდოდა ფეხბურთში ბედნიერი ვყოფილიყავი. ამისთვის კი ყოველდღიური მუშაობა მჭირდება. საშობაო დასვენების დროს, ზაფხულის არდადეგებისას, ჩემი საქმე ყოველთვის მენატრება ხოლმე. როგორ წარმოგიდგენიათ მოურინიო ნაკრების მწვრთნელის როლში? ითამაშო ერთადერთი თამაში თვის განმავლობაში? სამი კვირა საწვრთნელი პროცესის გარეშე? არა, არ გამოვა... ნაკრებების საკითხი მოიცდის კიდევ 15 წელიწადი. იქამდე ძალიან ბევრი ენერგია მაქვს დასახარჯი“*, - განაცხადა „განსაკუთრებულმა კაცმა“.

## არის ყველა დროის რეკორდი!

სატრანსფერო რეკორდები მხოლოდ ფულით არ მყარდება. დიახ, ამჟამად ლაპარაკი გვაქვს ადამიანებზე - 2008 წლის განმავლობაში ბრაზილიამ ყველა დროის რეკორდი მოხსნა ფეხბურთელების ექსპორტით. ამ ქვეყნის საფეხბურთო კონფედერაციის მონაცემებით, მიმდინარე წელს 1176-მა ფეხბურთელმა დატოვა ქვეყანა და სამუშაოდ უცხოეთში გაემგზავრა. შარშან ანალოგიური მაჩვენებელი 1085 ფეხბურთელი გახლდათ, რაც წლევანდელს 8.4 პროცენტით ჩამორჩება. შედარებისთვის გეტყვით, რომ 1998 წელს ბრაზილიამ უცხოეთში „სულ“ 530 მოთამაშეს დაულოცა გზა; 1988 წელს კი ეს რიცხვი მართლა მინიმალური იყო - 87 ფეხბურთელი. საინტერესოა, რომელი ქვეყანა „მუშაობს“ ყველაზე ეფექტურად სამხრეთამერიკელთა გადასაბირებლად... ტრადიციულად ეს ქვეყანა პორტუგალია გახლავთ (209); მეორე - გერმანია (58); მესამე - შვეიცარია (46); მეოთხე - ესპანეთი (24). მიზეზი იმისა, თუ რატომ ტოვებს ამდენი ფეხბურთელი სამშობლოს, ცნობილია: ბრაზილიაში მოთამაშეები საშუალოდ ათჯერ ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე ევროპაში.

## რონალდოს მეორე შვილი შეეძინა

გუშინწინ, გვიან ღამით, რიო დე ჟანეიროში **რონალდოს** მეგობარმა გოგონამ **ბეატრიზ ანტონიმ** ვარსკვლავს შვილი აჩუქა. სამშობიაროს მედპერსონალის განცხადებით, „კორინთიანსის“ ფეხბურთელი მშობიარობის პროცესს თავიდან ბოლომდე დაესწრო და თავი ძალზე ყოჩაღადაც ეჭირა. თქვენ წარმოიდგინეთ, ჭიპლარიც თავად გადაჭრა. დედა და ახალშობილი **მარია სოფია ნაზარიო და ლიმა** (პატარის წონა 2,980 კგ-ია) თავს შესანიშნავად გრძნობენ. ერთ-ერთი ექიმის განცხადებით, ღვთის წყალობით, ბავშვს დედის ნაკვთები აქვს. ამ უკანასკნელი განცხადების ავტორმა ვინაობის გამხელა არ ისურვა.

## კინეირმა არჩევანი გააკეთა

„ნიუკასლის“ მთავარი მწვრთნელი **ჯო კინეირი** გამოტყდა, რომ იანვრის სასურველი ტრანსფერების თაობაზე გადაწყვეტილება უკვე მიიღო და კლუბის პრეზიდენტ **მაიკ ეშლის** გეგმები უკვე წარუდგინა. ამ უკანასკნელმა მწვრთნელს სრული მხარდაჭერა აღუთქვა. კინეირის სიაში ოთხი გვარი ფიგურირებს. წინასწარი მოლაპარაკება ოთხივე მათგანზე უკვე გამართულია, თუმცა საქმის ძირითადი ნაწილი ჯერ კიდევ მოსაგვარებელიაო, - გვარწმუნებს კინეირი.

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების =ISHRS= წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ტოტენჰემი

# ძვირი ტრანსფერები არ იქნება

## არანგოსთვის ლონდონში გადასვლა არავის შეუთავაზებია



„ტოტენჰემის“ მთავარი მწვრთნელი **ჰარი რედნაპი** აცხადებს, რომ ის არ აპირებს იანვარში დიდი ფულის გადახდას გუნდის შემადგენლობის გასაძლიერებლად. ცოტა ხნის წინ მისტერ ჰარი ამბობდა, გააჩნია ხელმძღვანელობის ამბიციებს, თუ ევროთასებისთვის ბრძოლა გვინდა, სერიოზული ინიექციები გვჭირდებაო. მას შემდეგ ის შეხვდა **დენიელ ლევის**, რომელთან ერთადაც განიხილა კლუბში შექმნილი ფინანსური მდგომარეობა და პერსპექტივები. პრეზიდენტმა დაარწმუნა მწვრთნელი, რომ კლუბი დამატებით ხარჯებს ვერ გასწვდებოდა და შესაბამისად, დასახული ამოცანების გადაწყვეტა მის ხელთ მყოფი კონტინგენტით მოუწევდა.

*„პრესაში ხშირად იწერება, რომ ამა თუ იმ ფეხბურთელში ამდენისა და ამდენის გადახდას ვაპირებთ. სახელდება უზარმაზარი თანხები. გარწმუნებთ, მსგავსი გეგმები არ გვაქვს. ვფიქრობ, მძვინვარე ფინანსური კრიზისის დროს შეიძლება ისეთი დღეც დადგეს, როცა კლუბები ზედმეტ ფეხბურთელებს გაუშვებენ, რათა მათ ხელფასები აღარ გადაუხადონ და ამ გზით გარკვეული თანხები დაზოგონ. ლევისთან ამ საკითხზე უკვე ვიმსჯელე. ჯერჯერობით, არც ერთი კონკრეტული წინადადებით სხვა კლუბებისთვის არ მიგვიმართავს“*, - განუცხადა რედნაპმა ბრიტანეთის სამაუწყებლო არხს.

2007 წლის ზაფხულში „მამლებმა“ უელსელი **გარეთ ბეილი** დიდი ზარ-ზეიმით შეიძინეს. 17 წლის უელსელ მცველში ლონდონელებმა საკმაოდ სერიოზული თანხა გადაიხადეს. გარეთის შეძენა სერ **ალექს ფერგიუსონსაც** გულით ენადა, მაგრამ ლონდონელთა წინადადება ბევრად უფრო მომხიბლავი აღმოჩნდა. მართალია, ფეხბურთელი ჯერ 19 წლისაა, მაგრამ სპეციალისტები წუხან, რომ მისი კარიერა საჭირო ტემპით არ ვითარდება. პესიმისტურ განწყობას არ იზიარებს ჰარი რედნაპი.

*„დროის გასვლასთან ერთად ვითარება შეიცვლება. ჩემი აზრით, ბეილს მომავალში ნამდვილად შეუძლია დიდი მარცხენა მცველი გახდეს, მაგრამ ამისთვის აუცილებელია, რომ მან უკეთ ისწავლოს თამაშის მიმდინარეობის „წაკითხვა“ და გააუმჯობესოს სხვა სათამაშო კომპონენტები. გარწმუნებთ, რომ წარმატებული კარიერის ასაწყობად მას ყველანაირი წინაპირობა აქვს“*, - ამბობს ინგლისელი სპეციალისტი.

უელსელი თინეიჯერის ძირითადი პრობლემა ტრავმებია, რომელმაც მისი განვითარება სერიოზულად შეაფერხა. იმედია, ფეხბურთელი მალე ჩადგება განვითარებისთვის სასურველ კალაპოტში.

„ელ მუნდო დეპორტივოს“ მტკიცებით, „მალიორკის“ ვენესუელელი კაპიტანი, 28 წლის ნახევარმცველი **ხუან არანგო** იანვარში „უაით ჰართ ლეინს“ მიაშურებს. ფეხბურთელმა აღნიშნული ინფორმაცია ფრიად გაიკვირვა და განაცხადა:

*„ეს მხოლოდ ხმებია და მეტი არაფერი. სეზონის წინ „ლივერპულში“ „გადამიყვანეს“, ახლა - „ტოტენჰემში“ ჩამრიცხეს. ზოგი გაზეთიდან ვიგებ, რომ თურმე „პანათინაიკოსში“ გადავსულვარ. იქამდე, ვიდრე კონკრეტული წინადადება არ მექნება, ჩემს ტრანსფერზე ლაპარაკს აზრი არ აქვს. თანაც, ივნისამდე პალმა დე მალიორკიდან სხვაგან წასვლას არ ვაპირებ“*, - განუცხადა ესპანელ ჟურნალისტებს სამხრეთამერიკელმა.

ჰოლანდიური ტრანსფერები

# ეინდჰოვენი ჯერჯერობით უშედეგოდ ირჯება

## დაუბრუნდება თუ არა ფესვებს დე იონგი?

ცოტა ხნის წინ გაცნობებდით, რომ „ეინდჰოვენს“ „მალმიოს“ 22 წლის დაცვითი ტიპის ნახევარმცველის **ოლა ტოივონენის** შეძენა, პრაქტიკულად, განაღდებული ჰქონდა. საქმე არც მთლად ასე მარტივად ყოფილა. საქმე, რა თქმა უნდა, ფულშია. ჰოლანდიელები შვედების მიერ მოთხოვნილ თანხას არ თანხმდებიან. სკანდინავიელები მოთამაშის სანაცვლოდ ხუთ მილიონ ევროს ითხოვენ, ორი მილიონით მეტს, ვიდრე „ფილიპსის“ გუნდი იხდის. „ეინდჰოვენის“ სკაუტთა ჯგუფის ხელმძღვანელის **ანდრე ვან კრააის** განცხადებით, ის არ კარგავს იმედს, რომ შეთანხმება მას შემდეგ მაინც შედგება, რაც სატრანსფერო ფანჯარა ოფიციალურად გაიხსნება.

ამასობაში „ეინდჰოვენმა“ სათადარიგო ფეხბურთელის **მიკე ზონეფელდის** თაობაზე „პანათინაიკოსისგან“ ოფიციალური შეთავაზება მიიღო. 28 წლის მარცხენა მცველით **ჰენკ თენ კატე** დაინტერესდა. ჰოლანდიელი თანამემამულეებს დაუკავშირდა და მოლაპარაკების დაწყება შესთავაზა. პსვ-ს პრეზიდენტი **იან რეკერი** საქმიან შეხვედრაზე დათანხმდა.

*„შეხვედრის დასაწყისში საქმე არცთუ ისე კარგად მიდიოდა, მაგრამ მაინც შევძელი ოპონენტები დამერწმუნებინა, რომ ჩვენს წინადადებას დათანხმებულიყვნენ. „პანათინაიკოსში“ აქამდე სულ ერთი მარცხენა მცველი მყავდა. მოხარული ვარ, რომ აღნიშნული საკადრო პრობლემა ასე უმტკივნეულოდ მოვაგვარეთ. მართალია, საქმე ბოლომდე მოგვარებული არ არის, მაგრამ პრინციპული საკითხები უკვე მოგვარებულია. მცირე დეტალებზე შემდეგ შეხვედრაზე მოვილაპარაკებთ“*, - უთხრა „დე ტელეგრააფს“ თენ კატემ.

„გრააფსხაპის“ პრეზიდენტი **ზიტცე ფეენი** „აიაქსში“ თავის კოლეგას დაუკავშირდა და ექვსი თვით **ზიმ დე იონგის** იჯარით დათმობა სთხოვა. 19 წლის ჰოლანდიელი სწორედ „გრააფსხაპის“ სკოლის აღზრდილია, თუმცა მიმდინარე სეზონში „აიაქსის“ ძირითადში ვერ ხვდება. სასტარტო შემადგენლობაში თამაში მან ოთხჯერ დაიწყო და ერთხელ შეცვლაზე შევიდა. ერედივიზიონის აუტსაიდერის (მე-17 ადგილი პირველი წრის შემდეგ) მთავარმა მწვრთნელმა **ჰენკ ვან სტეემ** იმედის მომცემი მოთამაშით პრობლემების მცირედით შემსუბუქება გადაწყვიტა. თავად ფეხბურთელი მშობლიურ კლუბში დაბრუნებით მოხარული იქნებოდა. ამსტერდამელთა რეაქცია ამ ეტაპზე უცნობია. თუმცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჰოლანდიის B ნაკრების წევრის გაშვებას **ვან ბასტენი** არ დათანხმდება.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ჟოზე მოურინიო

# ეს ჟურნალი იყო, კინო წინ გველის



**საშობაო შესვენებაზე გასვლის წინ ჟოზე მოურინიომ ბრიფინგი მოაწყო და მასმედიის წარმომადგენლებს ბაზაზე უმასპინძლა. პორტუგალიელ სპეციალისტს შესავალი სიტყვა არ უთქვამს და პირდაპირ ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა. საუბარი სერია A-ში შექმნილ მდგომარეობას, სეზონის პირველ ნახევარს და სამომავლო გეგმებს შეეხო. ვფიქრობთ, ამ კითხვა-პასუხის გადმოქართულებული ვარიანტის გაცნობა, „ლელოს" მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს.**

**- როგორ შეაფასებდით განვლილ თვეებს?**

- განვლილი პერიოდით ძალიან კმაყოფილი ვარ. ბევრი დრო არ გასულა, რაც „ინტერის" მწვრთნელი ვარ, თუმცა უკვე შევძელი, გუნდი ჩემებურად გადამეწყო. ამაში ფეხბურთელებმა შემიწყვეს ხელი და ამისთვის მათ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. ასეთ პროფესიონალებთან ურთიერთობა ერთი სიამოვნებაა და მიხარია, რომ მათთან ერთად მუშაობის საშუალება მომეცა. როდესაც ხედავ ამ რანგის ფეხბურთელებს, რომლებიც ბავშვური ენთუზიაზმით ვარჯიშობენ, შენც მეტი სტიმული გეძლევა.

**- ანუ, შედეგით ბოლომდე კმაყოფილი ხართ...**

- უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ მაქვს, რადგან იტალიის ჩემპიონატში პირველ ადგილზე ვართ, ჩემპიონთა ლიგაში კი პლეი ოფში მოვხვდით. მართალია, ჯგუფში არცთუ დამაჯერებლად ვითამაშეთ, მაგრამ მთავარია, რომ დასახულ ამოცანას თავი გავართვით. ისე, ლიგაში რამდენიმე თამაშით უკმაყოფილო დავრჩი. „პანათინაიკოსთან" საკუთარ მოედანზე არ უნდა წაგვეგო, კვიპროსშიც ძალიან ცუდი თამაში ვაჩვენეთ. თუმცა ესეც ჭკუის სასწავლებლად უნდა გამოვიყენოთ და წინ ვიყუროთ.

**- ლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედთან" მოგიწევთ დაპირისპირება, რას იტყვით ამ დუელზე?**

- „მანჩესტერ იუნაიტედს" ძალიან კარგად ვიცნობ. ეს არის გუნდი, რომელიც გამარჯვებაზეა დაგეშილი. ფერგიუსონის შეგირდები სწრაფ, ტექნიკურ და ამავდროულად, ხისტ ფეხბურთს თამაშობენ. ასეთ გუნდთან დაპირისპირებისას შენც აგრესიული და მოგებაზე დაგეშილი უნდა იყო, ამის გარეშე ხელმოცარული დარჩები. მაინც მკითხავთ და ბარემ ფერგიუსონთან დაპირისპირებაზეც ვიტყვი. ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ სერ ალექსი დიდებული მწვრთნელია და მასთან ჭიდილი მეტად საპატიოა. თუმცა მეც ამბიციური ადამიანი ვარ და მსურს ჩემს გუნდთან ერთად შემდეგ ეტაპზე გავიდე. ინგლისელებთან პაექრობა კი დამატებითი მოტივაციაა.

**- სიტყვამ მოიტანა და, შეგიძლიათ პრემიერლიგა სერია A-ს შეადაროთ?**

- შედარებისგან თავს შევიკავებ და ვერც იმას ვიტყვი, რომელი უკეთესია. პრემიერლიგის პროგრესი ჩემ თვალწინ მიმდინარეობდა და დღეს ინგლისელებს აშკარად გამორჩეული ლიგა აქვთ. კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ, იტალიურ ფეხბურთს რეპუტაცია შეერყა, თუმცა დღეს უკვე ყველაფერი კარგად არის და ზუსტად იმ პროგრესს ვხედავ, რაც ინგლისში იყო. გუნდები ძალას იკრებენ და პირველობაც უფრო კონკურენტუნარიანი ხდება. იტალიის ჩემპიონატი აშკარად ერთ-ერთი უძლიერესია მთელ მსოფლიოში. მომწონს აქ მუშაობა, მწვრთნელისთვის სერია A-ს ბატალიები ნამდვილი მისწრებაა.

**- ამას წინათ თქვით, რომ ერთ-ერთ ტურში მეტოქე გუნდის მწვრთნელმა ოთხჯერ შეგაცვლევინათ ტაქტიკა და ოთხივეზე ადეკვატური და სწორი რეაგირება მოაყოლა...**

- დიახ, და ასეა ყველა შეხვედრაში. იტალიელმა მწვრთნელებმა თავიანთი განსწავლულობით ნამდვილად გამაოცეს. ამ კუთხით კი თამამად ვიტყვი, რომ იტალიელებს ბადალი არ ჰყავთ. ინგლისში რამდენიმე ისეთი სპეციალისტი მუშაობს, უბრალოდ, კარგი ფეხბურთელები რომ იყვნენ და ძველი დამსახურების ან პირადი სიმპათიის გამო, გუნდი ჩააბარეს. ასეთი რამ იტალიაში წარმოუდგენელია, მწვრთნელი ყველა მხრივ უნდა იყოს მომზადებული.

**- „მილანში" დევიდ ბექჰემი ითამაშებს, ამაზე რას იტყოდით?**

- ეს ამბავი ძალიან მახარებს, რადგან ბექჰემის დარი ფეხბურთელები სერია A-ს კიდევ უფრო აძლიერებენ. დევიდ ბექჰემი, რონალდინიო, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ალესანდრო დელ პიერო, ფრანჩესკო ტოტი, კაკა, ასეთ ფეხბურთელებს სხვაგან ვერ ნახავთ. რაც შეეხება დევიდს, ფანტასტიკური მოთამაშეა და უნდა ვაღიარო, რომ კარგი გაგებით, კარლო ანჩელოტის ნამდვილად მშურს. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ სკუდეტოს მოპოვების უმთავრესი პრეტენდენტი „ინტერია". ვგრძნობ, სწორი კურსით მივდივართ და შედეგს აუცილებლად მივაღწევთ. ამაში პირველმა წრემ დამარწმუნა.

**- დავუბრუნდეთ „ინტერს", სასტარტო ტურებში 4-3-3 ტაქტიკით ათამაშებდით გუნდს, შემდეგ კი 4-4-2-ზე გადახვედით, რატომ?**

- იტალიაში ტაქტიკა ხშირად უნდა ცვალო, რომ მეტოქეთათვის ამოუცნობი იყო. ისევ იმ თემას ვუბრუნდები, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა: სერია A-ში მომუშავე თითოეული სპეციალისტი მეტოქე გუნდს დეტალებში სწავლობს. თუ მხოლოდ ერთი ტაქტიკა გაქვს, გაგიჭირდება თავის გატანა. თუმცა ტაქტიკური ცვლილებების ერთადერთი მიზეზი ეს ნამდვილად არ არის, ნოემბრიდან მოყოლებული შემტევთა სათამაშო კონდიცია მაინცდამაინც არ მაკმაყოფილებდა და გადავწყვიტე ნახევარდაცვა გამეძლიერებინა. ამ ტაქტიკურმა ცვლილებამ აშკარად გაამართლა.

**- ადრიანოს უშვებთ გუნდიდან?**

- გამოგიტყდებით და, როდესაც ადრიანომ კიდევ ერთხელ დაარღვია დისციპლინა, გადავწყვიტე, გუნდიდან გამეშვა. ამის შესახებ კლუბის მესვეურებსაც შევატყობინე. თუმცა მას შემდეგ დრო გავიდა და დღეს არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ბრაზილიელი ძლიერი ფეხბურთელია და გუნდისთვის ძალიან საჭიროა. ჩემი აზრით, ადრიანოსა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის შემტევი ტანდემი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა. მეორე მხრივ, დისციპლინის მოყვარული კაცი ვარ და თავნება ადამიანებთან ურთიერთობა არ მიყვარს. ვნახოთ, ადრიანოზეა ბევრი რამ დამოკიდებული და იმედია, თავისივე საქციელით კიდევ ერთხელ არ გაიფუჭებს საქმეს.

**- რომელმა ფეხბურთელმა დატოვა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?**

- ზლატან იბრაჰიმოვიჩი უკონკურენციაო. მას „ინტერში" მოსვლამდეც კარგად ვიცნობდი, მაგრამ მაინც გაკვირვებული ვარ იმით, რასაც ეს ფეხბურთელი ჩემ თვალწინ აკეთებს. ზლატანი გუნდის ლიდერია, ყველაზე საჭირო დროს იღებს თამაშს საკუთარ თავზე. თუ შეედი მოედანზეა, შეგიძლია მშვიდად იყო, თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის. ისე კი, სეზონის პირველ ნახევარში შეგირდების გარჯით კმაყოფილი ვარ. დიდებული იყო ხავიერ ძანეტი, ძალიან პერსპექტიულია მარიო ბალოტელი, გამაოცა ობინამ. ფანტასტიკურად ითამაშა მაიკონმა, მოკლედ, გუნდში შესანიშნავი ფეხბურთელები თამაშობენ.

**- რას უნდა ველოდოთ ნაახალწლევს?**

- სეზონის პირველი ნახევარი ჟურნალი იყო, კინო წინ გველის. ჩვენი რეალური ძალა გადამწყვეტ თამაშებში გამოჩნდება და ამ ჯახებს მომზადებულნი უნდა შევხვდეთ. შეიძლება მთელი სეზონი უმაღლეს დონეზე ითამაშო და ფინიშზე ყველაფერი დაკარგო. ამიტომ, დასკვნით ეტაპზე კიდევ უფრო ძლიერები უნდა ვიყოთ და კიდევ უფრო მეტი კონცენტრაციით ვითამაშოთ. „ინტერში" ტიტულების მოსაგებად მოვედი.

**ლაშა ნიკლაური**

საკრანსფერო სპეკულაციები

## მილანს კანავარო მოუნდა

„მილანის" მესვეურები არ ისვენებენ და კვალიფიციური მცველის ძიებას განაგრძობენ. უკვე არაერთი ფეხბურთელის გვარი დასახელდა, რომლებიც შესაძლოა იანვრიდან „როსონერის" შეუერთდნენ. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი **კარლო ანჩელოტის ფაბიო კანავარო** მოსდომებია. მწვრთნელს **ადრიანო გალიანისთან** ამ საკითხზე სპეციალური შეხვედრა ჰქონია და სკუადრა აძურის კაპიტნის გადაბირების სურვილიც გამოუთქვამს. როგორც იტალიელი ჟურნალისტები იუწყებიან, ამ საკითხზე მუშაობა უკვე დაწყებულია და შესაძლოა, სულ მალე ამის შესახებ კლუბების წარმომადგენლებმაც განაცხადონ. „მილანს" მცველის შეძენა ზამთარშივე სურს, რაც საქმეს ართულებს. საქმე ისაა, რომ ხელშეკრულების მიხედვით, კანავარომ „რეალში" სეზონის ბოლომდე უნდა ითამაშოს, რაც ტრანსფერის დაბრკოლების საფრთხეს ქმნის. კლუბი წამყვან უკანახაზელს ასე იოლად ნამდვილად არ შეელევა.

**ლაშა ნიკლაური**

## კალიარიმ ინტერს უარი შეუთვალა

მილანის „ინტერის" მესვეურები კი აცხადებენ, ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას არ ვაპირებთო, მაგრამ არც მთლად მასე ყოფილა საქმე. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ნერაძურიში" სერიოზულად ფიქრობენ სარდინიული „კალიარის" ფორვარდის, **რობერტო აკვაფრესკას** გადაბირებაზე. ჟურნალისტთა მტკიცებით, იტალიის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი ბრაზილიელი **ადრიანოს** შემცვლელად მოიაზრება. ამ ამბავმა „კალიარის" პრეზიდენტის ყურამდეც მიაღწია. **მასიმო ჩელინო** ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებს:

*„მილანელთა ინტერესის შესახებ თქვენზე ადრე ვიცოდი, ასე რომ, ახალს არაფერს მეუბნებით. აკვაფრესკა ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და მის გაყიდვას ნამდვილად არ ვაპირებთ. „კალიარი" გადარჩენისთვის იბრძვის, ჩვენთვის თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ასეთ დროს წამყვან მოთამაშესთან განშორება თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება".*

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

## მუტუ წლის ფეხბურთელი გახდა

„ფიორენტინის" რუმინელი თავდამსხმელი **ადრიან მუტუ** სამშობლოში წლის საუკეთესო ფორვარდად დაასახელეს. გამოცემა „სპორტუილორმა" გამოკითხვა რუმინეთის უმაღლესი ლიგის გუნდის კაპიტნებს, კლუბების მწვრთნელებს, პრეზიდენტებსა და საკუთარ მკითხველებს შორის ჩაატარა. 29 წლის ფეხბურთელმა აღნიშნული ტიტული ზედიზედ მეორედ დაისაკუთრა, სულ კი ჯილდო ოთხჯერ აქვს მოპოვებული. გამოკითხვაში მეორე ადგილზე გავიდა „ინტერის" ცენტრალური მცველი **კრისტიან კივუ**, მესამე იყო „სტიაუას" მოთამაშე **დორინ გოიანი**. რუმინული ფეხბურთის ისტორიაში მუტუზე მეტჯერ გამოკითხვა მოგებული აქვთ მხოლოდ ისეთ ლეგენდარულ მოთამაშეებს, როგორებიც არიან გეორგე ჰაჯი და გეორგე პოპესკუ.

## მარსელი თავდასხმისთვის ზრუნავს

„მარსელის" გამოცდილმა თავკაცმა **ერიკ გერეტსმა** გადაწყვიტა, შვედ **ჰენრიკ ლარსონს** ექვსთვიანი კონტრაქტი შესთავაზოს. მიუხედავად საპატიო ასაკისა, შვედური ფეხბურთის ლეგენდა დროს არ ეპუება და შესანიშნავად ასპარეზობს. მან შვედეთის ჩემპიონატის 13 შეხვედრაში 7 გოლის გატანა შეძლო. შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ლარსონით ინგლისის პრემიერლიგის ამბიციური კლუბებიც ინტერესდებიან. მაგალითად „ევერტონი", ვისაც თავდასხმაში შექმნილი მძიმე პრობლემების აღმოფხვრა სწორედ სკანდინაველის დამატებით წარმოუდგენია. გარდა ვეტერანისა, საფრანგეთის ჩემპიონობისთვის შემართული გუნდი რამდენიმე ახალგაზრდა თავდამსხმელსაც უთვალთვალებს. განიხილება **მაფეტიმბი გომისის** (სენტ ეტიენი), **სტივ სავიდანის** (კანი), **ანტონი ლე ტალეკის** (ლე მანი), **ჟულიენ კერსიასა და ტუაფილუ მაულიდას** (ორივე ლანსი) კანდიდატურები. ეს უკანასკნელი „სტად დე ველოდრომზე" 2005-07 წლებში უკვე თამაშობდა.

## მიზანშია 15 წლის ბიჭი

ვინ ყიდულობს ყველაზე ხშირად 15-16 წლის ბიჭებს? ფეხბურთის მოყვარულისთვის ამ შეკითხვაზე უფრო იოლი საპასუხო თუ რამე არსებობს, ვერ წარმოგვიდგენია. რა თქმა უნდა, „არსენალის" თავკაცი **არსენ ვენგერი**. ფრანგი სპეციალისტის სკაუტები მთელ მსოფლიოს არიან მოდებულნი და სიმართლე ითქვას, ძალზე ეფექტურადაც მუშაობენ. ვენგერმა კიდევ ერთ ვუნდერკინდს დაუმიზნა. ლაპარაკია „ფლუმინენსეს" 15 წლის აღსაზრდელ **ველინგტონზე**. ცოტა ხნის წინ ფეხბურთელმა მთელი კვირა გაატარა სინჯებზე, სადაც მას ვენგერი გულისყურით აკვირდებოდა. შედეგი სახეზეა: „არსენალის" რამდენიმე მენეჯერი ბრაზილიაში იუნიორ ფეხბურთელთან ერთად გაემგზავრა. ფრანგი სპეციალისტის თქმით, მოლაპარაკება რამდენიმე დღეში უნდა დასრულდეს. ახალი წლის შემდეგ ველინგტონს უკვე „არსენალის" აკადემიაში ელიან.

## ეშტონი დარჩენილ სეზონს გამოტოვებს?

„ვესტ ჰემს" ფინანსური გასაჭირი არ ეყოფოდა, ზედ საკადრო პრობლემებიც რომ არ დამატებოდა. „ჩაქუჩების" იტალიელი თავკაცი **ჯანფრანკო ძოლა** სასოწარკვეთილებაშია. მას სწორედ ამ დღეებში მოახსენეს, რომ გუნდის თავდასხმის ლიდერის, **დინ ეშტონის** მდგომარეობა საგანგაშოა. ინგლისელმა ფეხბურთელმა სექტემბერში ძოლას მიერ ჩატარებულ პირველივე ვარჯიშზე ტერფი დაიშავა და მას შემდეგ ლაზარეთიდან არ გამოსულა.

*„გამორიცხულია, რომ იანვარში, თუნდაც თებერვალში, დინმა ვარჯიში განაახლოს. ყველაფერი ახლა ჰაერშია გამოკიდებული. როდის შეძლებს გუნდში დაბრუნებას, არავინ იცის. შეიძლება სულაც სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშოს. თუკი ჩემი პესიმისტური პროგნოზი გამართლდა, გამოდის, რომ მთელ სეზონს გუნდის საუკეთესო თავდამსხმელის გარეშე ჩავატარებთ",* - განუცხადა ძოლამ „სქაი სპორტსს".

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვიის სროლა


მარცხნიდან: თენგიზ იმნაიშვილი, მამადლი აბდულაევი, გიორგი წაწალაშვილი

# სეზონი დამთავრდა, სეზონი იწყება

გუშინ **ნინო სალუქვაძის** სახელობის ტირში დამთავრდა საქართველოს თასის ღია გათამაშება ტყვიის სროლაში. ასპარეზობის ბოლო დღე ახალგაზრდებს დაეთმო. პირველობისთვის 10 ჭაბუკი იბრძოდა. მათ შორის ორი აზერბაიჯანელი გახლდათ. 354 ქულით პირველი ადგილი ბაქოელმა **მამადლი აბდულაევმა** დაიკავა. 348 ქულით მეორე ადგილი სახელოვანი ქართველი მესტენდურის **თამაზ იმნაიშვილის** ვაჟს - **თენგიზს** ხვდა. მას ქულით ჩამორჩა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა **გიორგი წაწალაშვილმა.**

ამ შეჯიბრებით ქართველმა ჩუბინებმა სეზონი დაამთავრეს, მაგრამ დასასვენებლად არ სცალიათ, რადგან მომავალი ტურნირებისთვის აქედანვე ემზადებიან. 21-24 იანვარს თბილისის ღია ჩემპიონატი გაიმართება. მისი შედეგებით დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები, რომელიც, სათანადო სახსრების მოძიების შემთხვევაში, გერმანიას გაემგზავრება და 27 იანვრიდან 1 თებერვლის ჩათვლით მიუნხენის საერთაშორისო ტურნირზე გამოვა. ეს ორი ასპარეზობა ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი და ძალთა გამოცდა იქნება პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ევროპის ჩემპიონატის წინ, რომელსაც 19-23 თებერვალს პრაღა უმასპინძლებს. აპრილ-მაისში კი ჩუბინებს მსოფლიოს თასის გათამაშებები ელით კორეაში, ჩინეთში, გერმანიასა და იტალიაში, სადაც ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების პირველი საგზურების მფლობელთა ვინაობა გაირკვევა.

**ვაჟა დანელია**

ლევან ქადაგიძის ფოტო

სიახლეთა ესტაფეტა

# ნაბიჯი წინ, 60 მწვრთნელისკენ...

დიახ, სულ მალე თბილისში სპორტის 12 სახეობაში 60 სპეციალისტი შეუდგება მუშაობას მოზარდებთან, რითაც საგრძნობლად გაიზრდება დედაქალაქში სპორტულ სექციებში მომეცადინე ბავშვთა რიცხვი.

ცხადია, ეს ნაბიჯი ფედერაციებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად გადაიდგა. სწორედ ფედერაციებმა უნდა შეარჩიონ სპორტის სახეობები, კადრები, ბაზები და აილონ კიდევაც პასუხისმგებლობა, როგორც ჯგუფების დაკომპლექტებაზე, ისე მათ ეფექტურ საქმიანობაზე და საბოლოო შედეგებზე. გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილე **გია გალდავასთან** ამ საკითხზე კიდევ ერთხელ იმსჯელეს, დაზუსტდა დასაზუსტებელი, გაირკვა გასარკვევი და შორს აღარაა ის დრო, როცა თბილისში, სოლიდური ანაზღაურებით, 60 მწვრთნელი ჩაებმება თავიანთი აღსაზრდელებით ქართული სპორტის ფერხულში.

**თენგიზ თომაშვილი**

ძიუდო

# ქართლში ძიუდოს ბორის გოგიჩაიშვილი უხელმძღვანელებს

გორში, შიდა ქართლის ძიუდოს რეგიონულმა ფედერაციამ ამავე ორგანიზაციის ხელმძღვანელად მეორე ვადით წარსულში ცნობილი ძიუდოისტი **ბორის გოგიჩაიშვილი** აირჩია. ამჯერადაც სხვა კანდიდატურა არ ყოფილა. პასუხისმგებელ მდივნის ფუნქცია **გურამ პაპიტაშვილს**, მსაჯთა კოლეგიის გაძღოლა კი ნიკოლოზ ზაუტაშვილს დაეკისრა.

„უკმაყოფილო ვართ ჩვენი რეგიონის სპორტსმენთა შედეგებით. შიდა ქართლის და განსაკუთრებით გორის ძიუდოს სკოლა საქართველოში მუდამ გამორჩეული იყო და სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ჩვეული წარმატებებით ველარ დავიკვეხნით. ქვეყნის მთავარ გუნდში, როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ჩვენი მოჭიდავეები ველარ ხვდებიან. ბუნებრივია, ამას ვერ შევეგუებით. ხლა ქართლის ოთხივე რაიონში რიგიანად მიმდინარეობს მუშაობა. მწვრთნელები თავდაუზოგავად შრომობენ გორის ძიუდოს სკოლებში. ამასთან, რაც მთავარია, მოდის ნიჭიერი თაობა, რომელიც გამარჯვებებს, ვფიქრობ, უთუოდ მიაღწევს." — გვითხრა ბორის გოგიჩაიშვილმა.

აი, რას ამბობს ქართული ძიუდოს ერთ-ერთი ფუძემდებელი ბატონი გურამ პაპიტაშვილი: „წარმატებებს მიჩვეული ვართ და ნებისმიერ ჩავარდნას, ცხადია, ძალიან განვიცდით. ქართლის ძიუდოში პრობლემები რასაკვირველია არის, მაგრამ მათგან ისევ და ისევ ეკონომიკურ მხარეს გამოვყოფდი. სხვათა შორის ეს თავსატეხი საქართველოს ყველა რეგიონს აწუხებს. ცუდია, რომ ადრინდელივით ველარ დადიან ვარჯიშებზე. კიმონოც კი უკიდურესად ძნელი შესაძენია. მწვრთნელები შეძლებისდაგვარად ცდილობენ ყველა საკითხში გვერდში დაუდგნენ შეგირდებს, მაგრამ ბევრი რამ ჩვენს ძალებს აღემატება... მიუხედავად ამისა, გული მუშაობაზე არავის აუცრუებია. მწვრთნელებიც და ფედერაციის ხელმძღვანელებიც მონდომებით მუშაობენ. ამიტომ იმედიანად ვუყურებ ქართლში ძიუდოს მომავალს"

**ვასილ ბალახაძე**

გორიდან

სპორტული მედიცინა

# გუნდი, რომელიც გუნდის უკან დგას

## და ამ გუნდში, რომელიც არ ჩანს, სპორტული მედიცინის მუშაკები არიან

„ლელოს" გუშინდელ ნომერში სპორტული მედიცინის მნიშვნელობაზე და მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო ცენტრის საქმიანობაზე ვწერდით, დღეს კი ამ სფეროში წლის შედეგების შეჯამებაზე მოგითხრობთ. ეს ღონისძიება გუშინ გაიმართა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში. ასოციაციის პრეზიდენტმა, ეროვნული ნაკრები გუნდების მთავარმა ექიმმა, პროფესორმა **ზურაბ კახაბრიშვილმა** ამომწურავად ილაპარაკა გაწეულ საქმიანობაზე, რაც აშკარად შთამბეჭდავი იყო და რამაც გარკვეულწილად განაპირობა კიდეც ჩვენი ათლეტების წლევანდელი მიღწევები, მათ შორის ოლიმპიურ სარბიელზე.

ხშირად გვესმის, რომ ექსტრემალურ სიტუაციებში ჩვენი სამედიცინო დარგის მუშაკები თავდადების მაგალითს იძლევიან. ამიტომ არაფერი ყოფილა გადაჭარბებული ზ. კახაბრიშვილის სიტყვებში, რომელმაც ტრიბუნიდან განაცხადა, რომ სპორტში მომუშავე ექიმებს გამუდმებულ ექსტრემალურ სიტუაციებში უწევთ მუშაობა. სხვაგვარად არც შეიძლება. ეს სადღეისო მოთხოვნაა.

შეკრებაზე გულახდილად იმსჯელეს პრობლემებზე, რომელიც საკმაოდაა, თუმცა ზოგიერთი მათგანის გადაჭრის გზები უკვე გამოკვეთილია და მოგვარებას წინ აღარაფერი დაუდგება. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა მწვრთნელისა და ექიმის ურთიერთთანამშრომლობაზე.

გუნდის უკან მდგომი გუნდი - აი, ვინ არიან სპორტული მედიცინის მუშაკები. ეს გუნდი კი თანდათან ძლიერდება, უფრო პროფესიული ხდება, იზრდება მათი რიგები, რაც კადრების დეფიციტის აღმოსაფხვრელად წინ გადადგმული ნაბიჯია. ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის დაუღალავი ზრუნვით უმჯობესდება სპორტსმენთა დიაგნოსტიკის, მკურნალობის, რეაბილიტაციის და პროფილაქტიკის გარემო, მაღლდება ამ სფეროში დასაქმებულ ექიმთა სტატუსი.

წლის შემაჯამებელ შეხვედრაზე დაჯილდოვდნენ ღირსეულა შორის ღირსეული დასტაქრები. სხვათა შორის, ასოციაციას არც სპორტული მედიცინის მხარდამჭერი მასმედია გამორჩენია მხედველობიდან. ამჯერად სპეციალური დიპლომებით დაჯილდოვდნენ ჟურნალისტები **დავით ერაძე** (რუსთავი 2), **ლევან სალუქვაძე** (იმედი) და სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელი **გიორგი ჭანიშვილი.**

**თენგიზ თომაშვილი**

ავტოსპორტი

ინტერვიუ მამუკა მელაძესთან

# 13 თარსი, თუ ბედნიერების მომტანი?



**მამუკა მელაძე - მოჭიდავემ, თავის დროზე, სპორტული კარიერა ავტორბოლებში განაგრძო და არც შემცდარა. ტრასაზე გამოჩენისთანავე მოიპოვა მან პოპულარობა და მებრძოლი სულის გამო მეტსახელად მევლუდიც კი შეარქვეს. ეს მეტსახელი მას ისე შერჩა, რომ ნამდვილი სახელით იშვიათად თუ მიმართავენ ხოლმე. ის არც ერთ სიტუაციაში არ ყრის ფარ-ხმალს, ბოლომდე იბრძვის და ზოგჯერ ისე ხდება, რომ მისი მანქანა შესაძლებლობების ზღვარზე მუშაობს. იმას, რომ სასურველ შედეგს შედეგს ვერ აღწევს, სპეციალისტები და გულშემატკივრები, მის „სიჯიუტეს" მიაწერენ. საქმე ისაა, რომ მისი მანქანას ძარაზე მე-13 ნომერი აწერია, რაც, გასაგები მიზეზების გამო ავტოსპორტში საერთოდ არ გვხვდება. თუმცა მევლუდს მიაჩნია, რომ მისთვის მე-13 ნომერი ბედნიერების მომტანია, რადგან თავისუფალ ჭიდაობაში, მსუბუქ წონაში, მსოფლიოს ჩემპიონი სწორედ 13 რიცხვში გახდა. მელაძის ავტოსპორტში მოღვაწეობას ერთი დიდი პლუსი აქვს. მას ავტომრბოლის იდეალური ფიგურა აქვს, დიდი წონით არ გამოირჩევა და ავტომობილის მართვისას პრობლემები არასდროს ექმნება. მისი სარბოლო მოდელი ყოველთვის სწრაფია. გარდა იმისა, რომ იგი პროფესიონალია, რბოლებში რეგულარულად მონაწილეობს, საქართველოს ავტოფედერაციის გენერალური დირექტორიცაა და შეჯიბრებების ორგანიზებაში ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს. ავტოსპორტში საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ მამუკა მელაძისთვის შემთხვევით არ მიგვიმართავს.**

**- ჩემპიონატი დასრულდა. მას მთავარი დამფინანსებელიც გამოუჩნდა რუმინული კომპანია „რომპეტროლი." როგორ შეაფასებდი ამ ჩემპიონატს?**

- სეზონი, შეიძლება ითქვას, არც „ირმის ნახტომს" ჰგავდა, არც „ნელ ტემპში სვლას". კარგ ტემპში ვიარეთ. ძალიან შორს ვიყავით და ახლა ნორმალურ დონეს მივაღწიეთ. საგაისოდ მეტ წინსვლას ვგეგმავთ. წლეულს გარკვეული პრობლემები გადავჭერით. აქ ტექნიკა და ადამიანური ფაქტორი იგულისხმება. დიდი მხარდაჭერა ვიგრძენით „რომპეტროლისგან". ამ ფირმის გარეშე არაფერი გამოგვივიდოდა. არ უნდა დაგვავიწყდეს კიდევ ერთი პარტნიორი, „რედ ბული", რომელიც ყოველთვის გვერდში გვედგა და იმედია, ურთიერთობა ასევე გაგრძელდება.

**- რას იტყვით ჩემპიონატის ძლიერ და სუსტ მხარეებზე რა იყო ჩაფიქრებული და რა ვერ გაკეთდა?**

- ძლიერი და სუსტი მხარეების გარეშე ავტოსპორტი კი არა, სპორტის სხვა სახეობებიც არ არსებობს. დადებითია, რომ შეიქმნა ძრავის კუბატურის რამდენიმე კლასი. არც ერთი შეჯიბრება არ ჩავარდა. სუსტი მხარეებიდან, გამოვყოფდი ტექნიკურ აღჭურვილობას, მსაჯთა მომზადების დონეს, მაგრამ დაიწყო მუშაობა, რომ ყველაფერი გამოსწორდეს. ბოლო რბოლებზე უცხოელი ინვესტორებიც კი გამოჩნდნენ და დახმარება აღგვითქვეს, თუმცა სტაბილური ცხოვრების გარანტიას ითხოვენ, რათა მუშაობის ნორმალური პირობები შექმნას.

**- პროფესიონალებთან ერთად „იუნიორთა კლასში" მოყვარული ავტომრბოლებიც ასპარეზობდნენ. როგორ ფიქრობ, გაამართლა ამ ჩანაფიქრმა? ავტოდრომზე ხომ ხშირად ხუთ ავტომრბოლზე მეტი არ ასპარეზობდა?**

- რა თქმა უნდა, გაამართლა. ესაა ჩვენი ჩანაფიქრის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი მაგალითი. ახალი სეზონიდან შეიქმნება ე.წ. მონოკლასი, საიდანაც შევსება უნდა მიიღოს დიდმა ავტოსპორტმა. იუნიორები კი პროფესიონალებში გადავლენ. მონოკლასში 1500 კუბურ სანტიმეტრიანი ძრავებით აღჭურვილი „ჰონდას" ავტომობილებით იასპარეზებენ. სასტარტო ბილიკზე, შესაძლებელია 12 მანქანაც კი დადგეს.

**- ახალი სეზონიდან კიდევ რაიმე სიახლეს ხომ არ უნდა ველოდოთ?**

- ერთი სიახლეზე უკვე გითხარით. მეორე ისაა, რომ „რომპეტროლი" და „რედ ბული" ისევ გვერდში გვიდგას. მსაჯთა გადამზადების კურსებზე ჩვენი ხალხის ხარჯებს FIA (საერთაშორისო ავტოფედერაცია) გაიღებს.

**- საკუთარ მიღწევებზე რას გვეტყოდი?**

- ჩემი შედეგები არასდროს მაკმაყოფილებს. ყოველთვის მსურს კარგი გამოსვლა, მაგრამ ამისთვის სასურველი ტექნიკაცაა საჭირო. ადრე „სიტროენ საქსო" მყავდა, ახლა „ჰონდა სივიკი", რომელიც პირველი მოდელისგან სრულიად განსხვავებულია. სხვანაირი სიჩქარე აქვს, უფრო მანევრირებადია. გამოვცადე და კმაყოფილი დავრჩი შენაძენით.

დაბოლოს, ბლიც-ინტერვიუ:

**- დაბადების თარიღი და ადგილი?**

- 1975 წლის 2 იანვარი, თბილისი.

**- ოჯახი?**

- განქორწინებული ვარ, მყავს ქალ-ვაჟი.

**- პირველი ავტომობილი?**

- ვაზ-21013.

**- პირველი სპორტული მოდელი?**

- ჰონდა CRX.

**- ავტოსპორტში დებიუტის წელი, ადგილი, შეჯიბრება და მანქანა?**

- 1999 წელი, რუსთავის ავტოდრომი, წყვილთა რბოლა, მეორე ადგილი (ზურა ბეჟაშვილთან დავმარცხდი). ვასპარეზობდი „ჰონდა სივიკით".

**- პირველი გამარჯვება?**

- 2002 წელს აბსოლუტური ჩემპიონი გავხდი.

**- თანაგუნდელი და შტურმანი?**

- არჩილ ჩიქოვანი. ჩვენ TBC Bank-ის ღირსებას ვიცავთ. შტურმანი თავიდან არჩილ ბიძინაშვილი იყო, ახლა ოვანეს კოგოსოვია.

**- ყველაზე ძლიერი მეტოქე?**

- არჩილ ბიძინაშვილი, ოთარ თავართქილაძე.

**- ყველაზე სწრაფი მოდელი, რომლითაც გიასპარეზია?**

- „ჰონდა სივიკი".

**- საერთაშორისო შეჯიბრებები და მიღწევები?**

- ევროპის ჩემპიონატის ერთი ეტაპი მაქვს მოგებულ ორ ეტაპში მეორე ვიყავი.

**- უცხოური ავტოსპორტიდან, რომელს ადევნებ თვალყურს?**

- თითქმის ყველა სახეობას, რალი იქნება, ფორმულა 1, სუპერტურიზმი, გრანტურიზმო თუ რალი-რეიდები.

**- რომელ უცხოელ ავტომრბოლს ქომაგობ და რატომ?**

- მიხაელ შუმახერი ჩემთვის ნათელი მაგალითია, როგორი უნდა იყოს ნამდვილი პროფესიონალი. მისთვის იოლად მოსაგები რბოლები არ არსებობს და ყოველთვის ბოლომდე იბრძვის. ასეა ახლაც კი, როცა აქტიური სპორტიდან წავიდა და მხოლოდ გასართობ შეჯიბრებებში ინვევენ.

**- დავუშვათ, უცხოეთში მიგიწვიეს. ავტოსპორტის რომელ სახეობაში გამოხვიდოდი?**

- რალიში, წრიულ რბოლაში. არაფერზე უარს არ ვიტყოდი.

**- ყველაზე ერთგული გულშემატკივარი?**

- მამაჩემი.

**- მომავალი გეგმები?**

- პირად გამარჯვებებზე და საქართველოში ავტოსპორტის განვითარებაზე ზრუნვა. ქართული ავტოსპორტის აღზევებისთვის, თუ საჭირო იქნება, პირად გამარჯვებებზე ფიქრსაც კი გადავდებ სხვა დროისთვის.

ესაუბრა

**დავით ჩუბინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს სადღეგრძელო 2

# ცქიტიშვილის ოჯახი და შერმადინის კალამი



ხუან კარლოს სებრიანის მიერ გადაღებული ფოტო:
ნიკა ცქიტიშვილის მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელია და დედა - ქალბატონი გულიკო

გუშინ შემოგთავაზეთ პირველი ნაწილი **ხუან კარლოს სებრიანის** ნაშრომისა "საქართველოს სადღეგრძელო". მასში მოთხრობილია ზემოხსენებული ჟურნალისტის ქართული შთაბეჭდილებები. დღეს ბატონი სებრიანის ნაშრომის მეორე ნაწილს ვაქვეყნებთ.

"თბილისში ვიზიტისას შევხვდი ნიკა ცქიტიშვილის მწვრთნელსა და მის დედას, ასევე გავეცანი გიორგი შერმადინის მწვრთნელს, რომელიც ერთ-ერთი სპორტული რადიოკომპანიის მფლობელიცაა. ეს გახლავთ ჯამლეტ ხუხაშვილი, ნიკა ცქიტიშვილის მწვრთნელია ვაჟა კვარაცხელია, ხოლო სკიტას დედა – ქალბატონი გულიკო.

ნიკას ოჯახს ვაჟა კვარაცხელიასთან ერთად ვესტუმრე. პირველ რიგში, თვალში მეცა კედელზე ჩამოკიდებული სურათი, რომელიც 2002 წლის NBA-ს დრაფტზე ნიკა ცქიტიშვილის მეხუთე ნომრად არჩევას გვაუწყებდა.

ქალბატონი გულიკო 2002 წელს შვილთან ერთად საცხოვრებლად დენვერში გადავიდა, რათა ნიკას ადაპტაციაში დახმარებოდა. "ამერიკაში გადასვლის შემდეგ პირველი წელი ნიკასთვის კარგად გასახსენებელი იყო, მაგრამ შემდეგ ტრავმების გამო სათამაშო დრო შეუმცირდა და საბოლოოდ ევროპაში გადმოსვლა გადაწყვიტა," – იხსენებს ქალბატონი გულიკო.

ცქიტიშვილის დედასთან ერთად ჩვენც კარგად გვახსოვს 2002 წლის NBA-ს დრაფტი. იმ წელს აირჩიეს იაო მინი (პირველ ნომრად), მაიკ დანლივიუმცროსი, ჯეი უილიამსი, დრიუ გუდენი, ბოშჩიან ნახბარი, ნენე ილარიო...

ქალბატონი გულიკოს თქმით, ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა: "ნიკამ კალათბურთის თამაში გვიან დაიწყო და ნამდვილად არ გვეგონა, რომ NBA-ში ასეთ ადრეულ ასაკში მოხვდებოდა." სკიტას დედის საუბარი მწვრთნელმა ვაჟა კვარაცხელიამ განაგრძო: "ნიკა კალათბურთზე პირველად დედამისმა მომიყვანა. მაშინ სკიტა 15 წლის იყო, საოცარი მონაცემები აღმოაჩნდა და იგი საქართველოში დიდი ხნით არ დარჩენილა – ოთხი წლის შემდეგ "დენვერ ნაგეტსში" მოხვდა. მანამდე სლოვენიის "სლოვანსა" და იტალიის "ბენეტონში" თამაშობდა".

დავინტერესდით, რით იყო დაკავებული ცქიტიშვილი 15 წლამდე? იგი მოცეკვავე გახლდათ. საქართველოში შევიტყვეთ, რომ თურმე ერთ-ერთ საუკეთესო მოცეკვავედაც მიიჩნეოდა, მაგრამ როცა სხვებს სიმაღლეში ძალიან გადაასწრო, ცეკვიდან კალათბურთზე გადაერთო. ნიკა ლიუბლიანის "სლოვანში" რომ გადავიდა 17 წლისა იყო და 208 სანტიმეტრს აღწევდა.

ცქიტიშვილი 2 წლისა იყო, როცა მამა დაეღუპა. ქალბატონმა გულიკომ ყველაფერი გააკეთა, რომ ბავშვს უმამობა არ ეგრძნო. სწორედ დედას დაჰყავდა პატარა ცეკვაზე და, როგორც გითხარით, პირველად კალათბურთზეც ის მიჰყვა. ქალბატონმა გულიკომ თინეიჯერი სკიტა არც ევროპაში მიატოვა – ლიუბლიანაშიც გაჰყვა: "სლოვენიური "სლოვანის" ხელმძღვანელობამ დაგვარწმუნა, რომ ნიკასთვის უკეთესი იქნებოდა, თუ მეც ლიუბლიანაში ვიცხოვრებდი. ეს ქალაქი ახლაც კარგად მახსენდება – ლამაზია, მშვიდი... როგორც გითხარით, ყველაფერი სწრაფად მოხდა და არც ლიუბლიანაში დავრჩენილვართ დიდი ხნით."

დედა შვილის მომავალზე საუბარს წარსულით იწყებს: "ვაჟა კვარაცხელიასთან ორთვიანი ვარჯიშის შემდეგ მწვრთნელმა მითხრა - ნიკა NBA-ში ითამაშებსო. მაშინ ამის დაჯერება ძნელი იყო. მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ადრეულ ასაკში ჩემმა შვილმა NBA-ში თამაშიც მოასწრო და მესამე წელიწადია ევროპაში ცდის ძალებს. ნიკა მისი ამჟამინდელი კლუბით, "ფუენლაბრადათი" კმაყოფილია. ეს მეც მახარებს."

დღევანდელი "სადღეგრძელოს" მეორე ნაწილს ჯამლეტ ხუხაშვილს დავუთმობთ. იგი საკალათბურთო კლუბ "მაკაბის" პრეზიდენტია, ასევე ფლობს რადიო "ჯა-კოს", რომელიც 24 საათის განმავლობაში სპორტულ ამბებს გადასცემს. მან პირველ რიგში გვიჩვენა კალამი, რომლითაც გიორგი შერმადინმა "პანათინაიკოსთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი. როცა ამ კალმის ასლი ჯამლეტ ხუხაშვილმა ჩვენც გადმოგვცა, ხელში ძლივს დავიჭირეთ – ძალიან დიდი ზომისაა. პრეზიდენტმა იქვე იხუმრა: შერმადინის დარ მაღალ კალათბურთელს დიდი კონტრაქტის გასაფორმებლად სწორედ ასეთი ზომის კალამი სჭირდებოდაო. წარმოგვიდგენია, რა რეაქცია ექნებოდათ ათენში ხელმოწერისას "პანათინაიკოსის" ხელმძღვანელებს ხელშეკრულების გაფორმებისას, როცა ასეთი დიდი ზომის კალამს დაინახავდნენ.

ბატონი ჯამლეტის რეზიდენცია მთავარ საკალათბურთო დარბაზში, სპორტის სასახლეშია.

მან საუბარი გიორგი შერმადინის წარსულით განაგრძო: "შერმადინმა კალათბურთის თამაში 16 წლისამ დაიწყო. მას თავიდანვე ეტყობოდა, რომ დიდ კალათბურთს ითამაშებდა."

წლეულს გიორგი შერმადინის ვიდეოფირების ხილვის შემდეგ "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის" სკაუტებმა ქართველებს უთხრეს, რომ ახალგაზრდა ცენტრი NBA-ში აუცილებლად მოხვდებოდა. ოღონდ, სკაუტებმა იქვე დაამატეს, რომ დრაფტის პირველ წრეში არჩევის გარანტიას ვერ მისცემდნენ. ამ დროს ბერძნულმა "პანათინაიკოსმა" იმაზე უკეთესი კონტრაქტი შესთავაზა, ვიდრე დრაფტის მეორე წრეში არჩეულებს აძლევენ და ამჟამად გიორგი ბერძნული გრანდის ღირსებას იცავს.

დღეს "მაკაბის" შეუძლია იამაყოს, რომ "პანათინაიკოსისთვის" კადრი სამ წელიწადში მოამზადა. ხოლო კითხვაზე: რომელი ქართველი იქნება შემდეგი, ვინც NBA-ს კარს შეაღებს. ამ კითხვაზე პასუხი ჯამლეტ ხუხაშვილს აქვს...

ჩემი მხრივ, თბილისთან დამშვიდობებისას ვიტოვებ იმედს, რომ სტუმართმოყვარე საქართველოში ერთხელ კიდევ მოვხვდები. ესპანეთში მიმყვება წინათგრძნობა, რომ ქართველები ევროპულ კალათბურთში მაღალ მწვერვალებამდე ავლენ. საკითხავია როდის?"

სხვათა შორის, ამ სტატიის ორიგინალური ვარიანტის ავტორი **ხუან კარლოს სებრიანი** ნიკა ცქიტიშვილს მადრიდულ "ფუენლაბრადაში" გადასვლაში დაეხმარა.

მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ლეგიონერი

# თორნიკე შენგელია ბრილიანტის ჩემპიონია

ესპანეთის კუნძულ ტენერიფეზე გაიმართა 18-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ევროპის წამყვანი კლუბები თამაშობდნენ – "ბარსელონა", "რეალი", სლოვენიის "ოლიმპია", "ტენერიფე" და **თორნიკე შენგელიას** "ვალენსია".

ერთ-ერთ ტენერიფულ გაზეთში გამოქვეყნებულ ტურნირის ფინალის მიმოხილვას ასეთი სათაური აქვს – "ვალენსია" ბრილიანტის ჩემპიონია". ვალენსიელებმა ტურნირი წარმატებით გაიარეს, დაამარცხეს "ბარსელონა" და ფინალში სლოვენიის "ოლიმპიას" დაუპირისპირდნენ. გადამწყვეტ მატჩში ესპანელებმა მეოთხე პერიოდი 25:7 მოიგეს, საბოლოოდ კი გამანადგურებელი ანგარიშით იმარჯვეს – 81:50.

ფინალურ შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა საქართველოს ნაკრების წევრმა **თორნიკე შენგელიამ**. იგი მატჩის ვიცე-სნაიპერი გახდა – 13 ქულა ჩააგდო. ბომბარდირობა ასევე ვალენსიელმა **ორანმა** იკისრა – 22 ქულას მოუყარა თავი.

შეგახსენებთ, რომ თორნიკე კალათბურთში ახლახან დაბრუნებული **კახა შენგელიას** ვაჟია.

**ვაჟა სიმონიშვილი**



თორნიკე შენგელია

ჭადრაკი

# მოპატიჟება მიღებულია!

## ნაზი პაიკიძე რუსეთის მოქალაქეა, მაგრამ სამშობლოს სახელით თამაშობს

თხუთმეტი წლის ნაზი პაიკიძე ქართული ჭადრაკის ამომავალი ვარსკვლავია. მას უკვე იმდენი ჯილდო აქვს კარიერაში მოპოვებული, რომ თვლაც კი აერევა კაცს, თუმცა ყველა მათგანი ახალგაზრდულ ტურნირებში და ასაკობრივ ჩემპიონატებშია მოხვეჭილი. ბარაქა რომ ამ ტიტულებსაც ადევს, თქმა არ უნდა, - სხვაგვარად ვერც შერაცხავდნენ ნაზის მომავლის იმედად, – ხუმრობა საქმე ხომ არ არის სხვადასხვა ასაკში რამდენჯერმე მოიპოვო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონების ტიტული. ბოლო ორი წელიწადს კი საერთოდ ტრიუმფით ასრულებს და, მართალია, მკითხველმა ეს იცის, მაინც შევახსენებ: შარშან 14-წლამდელთა შორის გახდა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, წლეულს 16-წლამდელებში იპირველა როგორც ევროპის, ისე მსოფლის ჩემპიონატებზე; 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ვერცხლის მედალი ერგო. მოდი და, ამის შემდეგ ნუ მოგეცემა იმედი, რომ პაიკიძე მომავალში ყველაზე მაღალ მწვერვალებს შეწვდება. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ ჯეროვნად დააფასა ნაზის წარმატებები და მომავალი წლის ქალთა ჩემპიონატში თამაშის უფლება ყოველგვარი შერჩევის გარეშე უბოძა – პერსონალურად მოიწვია უძლიერეს ქართველ ქალბატონებთან საპაექროდ. მაგრამ შეძლებდა თუ არა ნაზი ამ პრივილეგიით სარგებლობას, უცნობი იყო, - გულშემატკივარმა ისიც იცის, რომ პაიკიძე ორი წელიწადია მოსკოვში ცხოვრობს და რუსი მწვრთნელების მეთვალყურეობით ვარჯიშობს. მოსკოვიდან საქართველოში ჩამოსვლა და უკანვე გაბრუნება როგორი რთულია დღეისთვის, განმარტებას არ საჭიროებს. გარდა ამისა, შესაძლო იყო, პირადი მოტივებიც ჰქონოდა ნაზის, რაც, მის ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილს თუ მივიღებთ მხედველობაში, სავსებით რეალური გამოჩნდებოდა, - მხედველობაში, რა თქმა უნდა, რუსეთის ნაკრებში თამაში და რუსთა მიერ მისი გადაბირების მცდელობა გვაქვს. საბედნიეროდ, ამ ეტაპზე მოვლენათა ჩვენთვის არასასურველი სცენარით განვითარება გამოირიცხა და ახალგაზრდა ტალანტი საქართველოს ქალთა ჩემპიონატში ითამაშებს. ნაზის მოსკოვში შევეხმიანეთ და დასტური სწორედ მისგან მოვისმინეთ.

**- ნაზი, პირველ რიგში გილოცავ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონობას, ოცწლამდელთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალს და მომავალში კიდევ მეტს გისურვებ... ახლა კი შეკითხვა: საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშს აპირებ თუ არა?**

- დიდი მადლობა მოლოცვისათვის. რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონატში გამოსვლას, უარზე ნამდვილად არ ვარ და დიდი სიამოვნებით ვითამაშებ.

**- შენთვის ალბათ მოულოდნელიც იყო ასეთი შემოთავაზება და - სასიხარულოც...**

- რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა. ფაქტია, რომ ასეთ საჩუქარს არ ველოდი. დიდი მადლობა ფედერაციის ხელმძღვანელობას, რომ პატივი დამდო და პერსონალურად მომიწვია ტურნირში.

**- როგორც წესი, სპორტში მსგავს სიურპრიზებს კარგად იყენებენ და დიდ წარმატებასაც აღწევენ. როგორ ფიქრობ, რა შანსი გაქვს საქართველოს ჩემპიონატში?**

- ქართული ქალთა ჭადრაკის დონე რომ მაღალია, ყველამ კარგად იცის და ჩემპიონატშიც ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს. კონკრეტულ შედეგზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ვიბრძოლებ და იმედიც მაქვს, რომ გარკვეულ წარმატებას მივაღწევ.

**- სტიმული, ვგონებ, საკმარისია: პირველი სამეული, გარდა ფულადი პრიზებისა, რომელიც ოფიციალურად დაწესდება, ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატის საგზურებს მიიღებს. სამეულზე არ ფიქრობ?**

- პრიზიორებში მოხვედრა მართლაც მსურს, მაგრამ იოლი ნამდვილად არ იქნება და თუკი ეს შევძელი, ძალიან ბედნიერი ვიქნები.

**- საბედნიეროდ, თბილისში საკუთარი ბინა აქვს დედ-მამას და აქ სტუმრად თავს არ იგრძნობ. ამჟამად ყველანი მოსკოვში ცხოვრობთ და ვისთან ერთად ჩამოხვალ მშობლიურ ქალაქში?**

- ალბათ დედასთან ერთად. ტურნირამდე 2-3 დღით ადრე ჩამოვალ, რათა აკლიმატიზაციის გავლა მოვასწრო.

**- საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია სხვა რამით თუ გეხმარება?**

- როგორც ვიცი, დანიშნული მაქვს ყოველთვიური სტიპენდია, რომელიც ჯერ არ ამიღია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამ საკითხს იოლად მოევლება. მეორე ის, რომ მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას გვპირდებიან და ეს მნიშვნელოვანი შეღავათია...

**- ახლა მოსკოვურ ამბებზეც გკითხავ: ქართველებთან დამოკიდებულება რუსეთში არ არის მაინცდამაინც სახარბიელო; შენ ხომ არ შეგექმნა რაიმე დისკომფორტი?**

- პრობლემები ნამდვილად არ მაქვს: ვვარჯიშობ ისევ იმ კლუბში და იმ მწვრთნელებთან, ვისთანაც აქამდე ვიყავი და ყველანი კეთილგანწყობილები არიან ჩემდამი. ის კი არა, რუსეთის ჩემპიონატებშიც მათამაშებენ, მაშინ, როცა სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს ამის უფლებას არ აძლევენ.



ნაზი პაიკიძე

**- რუსეთის მოქალაქე ხარ და ალბათ ამიტომაც გწყალობენ, თუმცა ყველა შეჯიბრებაში საქართველოს სახელით გამოდიხარ. არ ლიზიანდებიან ამით და არ ცდილობენ შენს საბოლოოდ გადაბირებას?**

- მსგავსი არაფერი ყოფილა. იცით, რომ ადრე სურდათ ასეთი რამ, მაგრამ როცა ჩემგან გარკვეული და მტკიცე პასუხი მიიღეს, მას შემდეგ ამ საკითხზე აღარავის შევუწუხებივარ.

**- ძალიან კარგი, თუ ასეა! ამას წინათ, ახალგაზრდა ვარსკვლავთა ტურნირშიც ითამაშე და რუსი ჟურნალისტები დიდი პატივით მოგიხსენიებდნენ რეპორტაჟებში. თუმცა, ვგონებ, საბოლოო შედეგით კმაყოფილი არ უნდა იყო...**

- მართლაც არ ვარ კმაყოფილი, - შემეძლო ბევრად უკეთ მეასპარეზა; პრინციპში, არცთუ ძალიან უნდა დამწყდეს გული, რადგანაც თორმეტ ბიჭში ერთი გოგო ვიყავი. ის ბიჭებიც ძალიან ნიჭიერები არიან და უმეტესობა ჩემზე უფროსიც იყო. გული იმაზე უფრო მწყდება, რომ რამდენიმე პარტიაში ერთ სვლაში ვიგებდი და რატომღაც სწორი გადაწყვეტილება ვერ მივიღე.

**- მართლაც არ ღირს დიდ ნერვიულობად, - შენ ბრწყინვალე წელიწადი გქონდა და კიდევ ერთხელ გილოცავ წარმატებებს. გმადლობ ინტერვიუსთვის და გელით საქართველოში.**

- დიდი მადლობა კიდევ ერთხელ და ნამდვილად მთელი გულით და სულით მოველი მშობლიურ ქალაქთან შეხვედრას.

**ზვიად შათირიშვილი**

წესებს არიდებული ბრძოლები


ლუკა კურტანიძე (მარცხნივ)

# ნარჩევი ქართველები იაპონურ რინგზე

იაპონელები კონტაქტური ორთაბრძოლების დიდი მოყვარულები არიან, სუმოდან დაწყებული, წესებს არიდებული ბრძოლებით დასრულებული, ყველაფერი ძალზე პოპულარულია ამომავალი მზის ქვეყანაში. ხშირად ევროპელ და ამერიკელ ვარსკვლავებსაც იხილავთ აღმოსავლური ორთაბრძოლის სხვადასხვა შოუში. ქართველ სპორტსმენებსაც დაუგემოვნებიათ იაპონური რინგი - **შოთა ჩოჩიშვილს, დავით ხახალეიშვილს, ლუკა კურტანიძეს**... მომავალში კი მათ რიცხვს ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური**, ბრინჯაოს პრიზიორი **გიორგი გოგშელიძე** და **რამაზ ნოზაძე** შეუერთდებიან.

ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ კომპლექსური ორთაბრძოლების კომპანია „ვორლდ ვიქტორი როუდმა" გამოაცხადა, რომ ორგანიზაციასთან კონტრაქტი ოთხმა ქართველმა გააფორმა: ლუკა კურტანიძემ, გიორგი გოგშელიძემ (თავისუფალი ჭიდაობა), რამაზ ნოზაძემ (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) და ზურაბ ზვიადაურმა (ძიუდო). „ვორლდ ვიქტორი როუდი" შოუებს რამდენიმე თვეში ერთხელ ატარებს და ამ შოუს „სენგოკუ" ეწოდება, აქამდე 6 სენგოკუ მოეწყო, იანვრის დასაწყისში, მე-7 სენგოკუ ქალაქ საიტამაში გაიმართება. როდის ჩაერთვებიან ბრძოლებში ქართველები, ჯერ ცნობილი არაა. ჩვენების კვარტეტიდან აღმოსავლურ ორთაბრძოლებში მონაწილეობის გამოცდილება მხოლოდ ლუკა კურტანიძეს აქვს, რომელმაც 2006 წლის საახალწლო შოუში ადგილობრივ ვარსკვლავ **კუზუიუკი ფუჯიტასთან** ნოკაუტით წააგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰოკეი

# გელაშვილი საუკეთესოა


გიორგი გელაშვილი

ქართული წარმოშობის ჰოკეისტი **გიორგი გელაშვილი** კანადურმა ტი ეს ენ-მა ჰოკეის კონტინენტური ლიგის საუკეთესო სპორტსმენად აღიარა. გელაშვილი იაროსლავის „ლოკომოტივის" გოლკიპერია. მან კანადური სააგენტოსგან 93,80 ბალი მიიღო. ისეთ ვარსკვლავებს გაუსწრო, როგორებიც **იარომირ იაგრი** და **იან მარეკი** არიან. 10 იანვარს კონტინენტური ლიგის „ოლ სტარი" გაიმართება, ერთმანეთს იაშინისა და იაგრის გუნდები შეხვდებიან. გელაშვილი იაშინის გუნდში ითამაშებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გამოიწერეთ ელვა

და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!

3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი

„ელვა ჯი"
www.elva.ge

tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

თავისუფალი ჭიდაობა

ინტერვიუ ნუგზარ სხირელთან

# უპრეცედენტოდ მოსავლიანი წელი

**გორელი თავისუფალი სტილის მოჭიდავეები დიდი ხანია წარმატებებით გამორჩეულნი არიან. საქართველოს ყველა ასაკობრივი ნაკრებსა და პირველ გუნდში გორელი ფალავნები რამდენიმე მოჭიდავით არიან წარმოდგენილნი და საერთო გამარჯვებებში მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ. წარმატებებით ისედაც საკმაოდ სახელგანთქმულმა ნუგზარ სხირელის შეგირდებმა წლეულს უწინდელზე უხვი მოსავალი მოიმკეს. სწორედ 2008 წლის წარმატებებზე სასაუბროდ ვეწვიეთ ბატონ ნუგზარს გორის თავისუფალი ჭიდაობის დარბაზში და საკმაოდ საინტერესო თემებსაც შევეხეთ.**

- ყველაზე წარმატებული წელიწადი გვქონდა. ერთადერთი, რაშიც მოვიკოჭლეთ, ისაა, რომ ოლიმპიური ოქროს მედლების ნაცვლად ბრინჯაო გვერგო. სპორტული წლის დასაწყისი ჩვენთვის საქართველოს ჩემპიონატებით იწყება უფროსებში, ახალგაზრდებსა და კადეტებში. სამივე ამ შეჯიბრებაზე ჩვენი სპორტსმენები განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ, საპრიზო ადგილებიც უხვად გვერგო და ყველა ნაკრებში სამმა-ოთხმა გორელმაც დაიბევა წონით კატეგორიებში პირველი ნომრობა. შარშან პირველი ნაკრების წამყვანი გორელი მოჭიდავეებიდან მთავარ სპორტულ შეჯიბრებამდე, ანუ ოლიმპიადამდე, გიორგი გოგშელიძემ ევროპის ჩემპიონობით გაგვახარა. იქვე არანაკლები შედეგი შეიძლებოდა ჰქონოდა **ოთარ თუშიშვილს**, თუმცა მასთან შეთანხმებით საასპარეზოდ **კობა კაკალაძე** წაიყვანეს მწვრთნელებმა. ოთარის პრობლემა წონის დაკლებაა და ვინაიდან ეს საკმაოდ შრომატევადი პროცესია, ზედიზედ რამდენიმე შეჯიბრებისთვის წონის დაკლებაზე მუშაობა მას არ წაადგებოდა სასიკეთოდ. თანაც წინ ოლიმპიადა იყო. ზედიზედ და თანაც დროის ახლო მონაკვეთში მსგავსი პროცესის წარმოება მეტად არასახარბიელოდ მოქმედებს ორგანიზმზე.

მართალია, წონის დაკლება გოგშელიძესაც უწევდა, მაგრამ გიას წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა აუცილებელი იყო მისი ერთგვარი რეაბილიტაციისათვის. გასული წლის გარკვეულმა ჩავარდნებმა მისი შესაძლებლობების დამტკიცება დააყენა დღის წესრიგში. ჩვენმა ფალავანმა ევროპული ოქროც მოიპოვა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, **ჰაჯიმურატ გაცალოვს** სძლია დამაჯერებლად. ოლიმპიადის წინ ეს წამახალისებელი ფაქტი იყო და ერთგვარად ფრთები შეასხა გიორგის. სამწუხაროდ, მიზეზთა გამო მან, ისევე როგორც ოთარ თუშიშვილმა, პეკინში კვარცხლბეკის მწვერვალზე დადგომა ვერ შეძლეს.

შესაძლოა, ოქროზე ვერა, მაგრამ რომელიმე სინჯის მედალზე უნდა ჰქონოდა პრეტენზია ჩინეთის დედაქალაქში **ბესიკ გოჩაშვილს**. სავარაუდოდ, ოლიმპიადაზე მის გამოსვლას სალიცენზიოდ ზომაზე მეტად დაძაბულმა ბრძოლამ დაასვა დაღი. ბესიკმა ყველაზე გვიან მოიპოვა პეკინის საგზური და ადრეც აღვნიშნე, რომ ყველაზე მეტ უსამართლობასთან შეწინააღმდეგებამ სწორედ მას მოუწია. ზედიზედ ორჯერ, ჯერ ევროპის ჩემპიონატზე და შემდგომ ფინეთის სალიცენზიო ტურნირზე, გოჩაშვილი არაობიექტური მსაჯობის მსხვერპლი გახდა. ართალია, ბოლო ტურნირზე სანადელი აისრულა, მაგრამ გვარიან ნერვიულობასთან ერთად პეკინისთვის ამ მძიმე გზაზე ბესიკს ხომ წონის სისტემატიური დაკლებაც უწევდა.

**- გორელ ოლიმპიელთა შედეგზე ალბათ, აგვისტოში, მშობლიურ ქალაქში შექმნილი ვითარებაც იმოქმედებდა უარყოფითად.**

- მაშინდელი მდგომარეობა საქართველოში არც ერთ ჩვენს მოქალაქეს არ დატოვებდა გულგრილს, მაგრამ განსაკუთრებით ეს გორელებისათვის გახლდათ მტკივნეული. საქართველოს თავისუფალი ჭიდაობის ნაკრები, მოგეხსენებათ, ოლიმპიადის დაწყებისას წავიდა პეკინში. ოთარ თუშიშვილს, მაგალითად, ფაქტობრივად ტყვიების ზუზუნში მოუწია ქალაქის დატოვებამ და შემოვლითი გზით ძლივს ჩააღწია დედაქალაქში. ცხადია, ყველა ქართველ ოლიმპიელს უჭირდა, ჩვენს ქვეყანაში არსებული მდგომარების გამო, სრულად თავის საქმეზე კონცენტრირება, მაგრამ განსაკუთრებით გორელი სპორტსმენებისათვის იყო ეს ძნელი. მაშინ, როცა ისინი საჭიდაო ხალიჩაზე გადიოდნენ, გორი იბომბებოდა და მერე რუსი ჯარიკაცებითაც გაივსო. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან სწორი გადაწყვეტილება იყო, ჩვენი ოლიმპიელების პეკინში საასპარეზოდ დატოვება. ჩვენი პროტესტით რუსთა აგრესიას ვერ შევეწინააღმდეგებოდით, პირიქით, მივიღებდით უარეს ზარალს. სპორტსმენებს ფაქტობრივად მთელი ოთხი წლის ნაშრომი ეყრებოდათ წყალში, რომ აღარაფერი ვთქვათ მოსალოდნელ სასჯელზე სოკ-ისგან, რაც ორი ოლიმპიური ციკლის გამოტოვებას ითვალისწინებს.

**- არაერთი მედალი და გამარჯვება თქვენ მიერ გაწვრთნილმა ახალგაზრდულმა ნაკრებმაც მოიპოვა, სადაც გამორჩეულად ასევე გორის თავისუფალი ჭიდაობის დარბაზის აღსაზრდელები ასპარეზობენ...**

- ახალგაზრდულში სამი გორელი ჭიდაობდა - გიორგი მაყიშვილი, ვლადიმერ ხინჩაგაშვილი და ზაურ აბრამიშვილი. მაყიშვილი, რომელსაც შარშანწინ მსოფლიოს ჩემპიონატზე გვატემალაში ვერცხლის მედალი ერგო, შარშან მცირე ჩავარდნა ჰქონდა, წლეულს კი, გახდა - რა ევროპის ჩემპიონი, სრული რეაბილიტაცია მოახდინა, ხოლო მსოფლიოზე მეხუთე ადგილს დასჯერდა. ევროპაზევე მეხუთე იყო აბრამიშვილი. რაც შეეხება ვლადიმერ ხინჩაგაშვილს, მიმდინარე წელს, თამამად შეიძლება ითქვას, მან ფურორი მოახდინა. 16 წლის ვლადიმერი ასაკით კადეტია, თუმცა როგორც თავის ასაკში, ისე ახალგაზრდებში ტოლი არავის დაუდო, თანაც სულ რაღაც ერთ თვეში. ხინჩაგაშვილი, რამდენიმედღიან მონაკვეთში ჯერ ევროპის ჩემპიონი გახდა კადეტებსა და ახალგაზრდებში, ერთი კვირის შემდეგ კი ახალგაზრდებშივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**- ზედიზედ მესამედ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დასადგომად ლადოს სულ მცირე დააკლდა. არადა, ეს უკვე გრანდიოზული წარმატება იქნებოდა...**

- ლადო სწორედ რომ მესამე ოქროსაც იმსახურებდა, მაგრამ აქაც საშინელ ტენდენციურობას წავაწყდით. ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა, მეორეზე გასულ რუსეთის გუნდს ოქროს მედლების ოდენობით ვაჯობეთ. რუსეთის საჭიდაო წრეებთან გარკვეული ურთიერთობა გვაქვს და როგორც კულუარებიდან შევიტყვეთ, მოსკოვში გუნდურ II ადგილზე გასვლამ იმდენად არ გააღიზიანათ, რამდენადაც იმან, რომ მაინცდამაინც საქართველოს ჩამორჩნენ. ეს ფაქტი არა მხოლოდ სპორტული წრეების განხილვის საგანი გამხდარა. შედეგად, ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე თურქეთში რუსეთის გუნდი გადაზრდილთა მთელი ჯგუფით ჩავიდა. ეს უკვე წესად აქვთ ჩრდილოკავკასიელებს და რუსეთის ნაკრები ხომ საერთოდაც ამ რეგიონიდან კომპლექტდება. საქმე ხშირად სასაცილო (სატირალი რომ არ იყოს) ვითარებამდეც მიდის და გადაზრდილი შესაძლოა 4-5 წლით უფროსიც აღმოჩნდეს დაშვებულ ასაკზე. დაახლოებით მსგავს ვითარებას ვხვდებით ირანის, თურქეთის, საბერძნეთის და ზოგიერთი აზიური სახელმწიფოს მოჭიდავეთა ნაკრებებში. ცალკე პრობლემაა მსაჯთა ტენდენციურობა ზოგიერთი მასპინძელი ქვეყნის სასარგებლოდ. ასეთთა შორისაა თურქეთი. ხინჩაგაშვილს ამ გზით აჯობეს სწორედ. ის იგებდა ორთაბრძოლას, მაგრამ ბოლო ილეთზე მოწინააღმდეგეს ერთი ქულა მისცეს და ზედაც (ვინაიდან ერთი არ ყოფნიდა) კიდევ ერთი დაუმატეს. ასეთი რამ ჭიდაობაში არ ხდება. ბუნებრივია, გადავწყვიტე გამეპროტესტებინა და მსაჯთა მაგიდისაკენ გავემართე, მაგრამ რამდენიმე პოლიციელმა იძულებით მიმაბრუნა უკან, მთავარმა მსაჯმა კი სასწრაფოდ აკრიფა ქაღალდები და გაუჩინარდა.

ორი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედლით შეეწივნენ ჩვენი აღზრდილები საქართველოს კადეტთა ნაკრებსაც. ევროპის ჩემპიონები გახდნენ ისევ და ისევ ლადო ხინჩიგაშვილი და თენგიზ ჩოჩიშვილი, ბრინჯაო კი დავით გალეგაშვილს ერგო.

საერთო ქართული მონაგარი წლეულს საქართველოს ყველა ნაკრების მიერ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიადაზე იყო 23 მედალი. აქედან გორელების წილი 9 მედლია.

**- ბატონო ნუგზარ, ტრადიციულ პრობლემაზე რას გვეტყვით ახალს, ხომ არ დაიძრა მკვდარი წერტილიდან დარბაზის გარემონტების საკითხი?**

- რემონტი კი არა, სტატუსის საკითხიც ვერა და ვერ გადაწყდა. ამბობენ და იწერება „გორის თავისუფალი ჭიდაობის სკოლა", მაგრამ სინამდვილეში გორის №44 სასპორტო სკოლის ერთი ჩვეულებრივი განყოფილება ვართ. ბოლო 20 წელიწადია, ჩვენი აღსაზრდელები ქვეყნის სხვადასხვა ასაკობრივ თუ მთავარ ნაკრებ გუნდებში ორი-სამი და რიგ შემთხვევაში ოთხი ფალავნითაც არიან წარმოდგენილნი. ხომ ძნელი დასაჯერებელია, რომ უსტატუსოდ ვართ და დარბაზის მხრივ კი საშინელი ვითარებაა? ამ ქალაქში ჭიდაობა უყვართ, შედეგებიც შესანიშნავია და ფართობის სიმცირის გამო მსურველებს უკან ხომ არ გავუშვებთ? ამიტომ სამ ცვლად ვვარჯიშობთ, ყველაზე ცოტა, 40-45 შეგირდი მაინც გროვდება თითოეულ ვარჯიშზე. სულზე ოდენ 2 კვადრატული მეტრი მოდის. საერთოდ, ეს დაუშვებელია, შეიძლება მოძრაობაში სპარინგ დუეტებმა ერთმანეთი დააზიანონ.

**- ამას წინათ თქვენ თურქეთის ქალაქ ბურსას საერთაშორისო ტურნირზე გყავდათ გორელ კადეტთა გუნდი.**

- ბურსა ცნობილია თავისი ქართული დიასპორით. იქ მოღვაწეობს ერთ-ერთი ქართული წარმოშობის ბიზნესმენი მუსა აიდანი, რომლის უშუალო მიწვევითაც ამ საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს გორელები წარმოადგენდნენ. მასპინძლებთან ერთად ტურნირზე ყაზახეთის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ბულგარეთის, სირიის და თვით კოსოვოს სპორტსმენებიც კი იყვნენ ჩამოსულნი. ჩვენი რვა ფალავნიდან, როგორც იტყვიან, ამაოდ არავინ გარჯილა. სამი ჩემპიონი გაგვიხდა და დანარჩენმა ხუთმაც სხვა საპრიზო ადგილები დაიკავეს.

**- ახალ სეზონს რომელი შეჯიბრებით იწყებთ?**

- უახლოესი შეჯიბრება ჩვენი ფალავნებისათვის საქართველოს ჩემპიონატია. მინდა, ვთხოვო ჩვენი ნაკრების თავკაცებს, რომ ბესიკ გოჩაშვილი, ოთარ თუშიშვილი და გია გოგშელიძე გაათავისუფლონ ამ შეჯიბრებიდან. გადატვირთული და წარმატებული წლის მერე ისინი, დამეთანხმებით, ამას იმსახურებენ. პირველ ყოვლისა, ოთარსა და ბესიკს ვგულისხმობ, თორემ გოგშელიძეს სწორედ ამ პერიოდში საკლუბო შეჯიბრებაზე უწევს გამოსვლა. იგი ირანულ კლუბთან არის ხელშეკრულებით დაკავშირებული.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# საშობაო საჩუქარი



რა თქმა უნდა, „ლოს ანჯელეს ლეიკერსისა“ და „ბოსტონ სელტიქსის“ მატჩი ტურის, თვისა და შესაძლოა, სეზონის მთავარ დაპირისპირებად მიიჩნეოდა. 19-მატჩიანი მოგებათა სერიის მიუხედავად, „ბოსტონი“ კალიფორნიაში მაინც ნომინალური აუტსაიდერის რანგში ჩავიდა. დაძაბულობის მხრივ, შეხვედრა ივნისის ფინალურ სერიას მოგვაგონებდა, ხოლო გუნდის ლიდერები - **კობი ბრაიანტი** და **კევინ გარნეტი**, როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრის მთავარი მოქმედი პირები გახდნენ. „ლეიკერსი“ თამაშის ტემპის მაქსიმალურად გაზრდას ცდილობდა, თუმცა „ბოსტონი“ მეტოქეს არ ჩამორჩებოდა და ხანდახან ჯაბნიდა კიდეც **ფილ ჯექსონის** გუნდს სისწრაფეში.

პირველი ნახევარი ოდნავ ქაოსურ ხასიათს ატარებდა, სამაგიეროდ, მეორე ნახევარი ნამდვილ საჭადრაკო პარტიას დაემსგავსა, სადაც ნებისმიერი შეცდომა შეიძლება საბედისწერო ყოფილიყო. „ლეიკერსისთვის“ საბედნიეროდ, დროულად „გაიღვიძა“ **პაუ გასოლმა**, რომელიც სამი მეოთხედი არადამაჯერებლად ისროდა საშუალო მანძილიდან. მაგრამ ბოლო მეოთხედში ესპანელის ბრწყინვალე თამაშმა, „ბოსტონის“ შეცდომებმა და სტუმრების დაცვაში სუსტმა თამაშმა კალიფორნიელებს კომფორტული უპირატესობის მოპოვების საშუალება მისცა.

### ტურის გმირი: დირკ ნოვიცკი

„დალასის“ მთავარმა მწვრთნელმა **რიკ კარლაილმა** რამდენიმე თვეში მოახერხა ის, რასაც მისმა წინამორბედმა **ეივერი ჯონსონმა** ნახევარი სეზონის განმავლობაში ვერ მიაღწია. კერძოდ, „კოვბოების“ დამრიგებელმა „მავერიქსის“ ყველაზე სახიფათო იარაღი – **ჯეისონ კიდისა** და **დირკ ნოვიცკის** დუეტი აამოქმედა. სტატისტიკური მაჩვენებლების მხრივ, 30 წლის გერმანელი კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს. დირკის მიერ პირველ ნახევარში მოპოვებულმა 24-მა ქულამ ახალგაზრდა „პორტლენდს“ ბრძოლის ხალისი დაუკარგა. მასპინძლები წინააღმდეგობის გაწევას კი ცდილობდნენ, მაგრამ საერთო ჯამში, არგუმენტი ვერ მონახეს „დალასის“ მჭიდრო დაცვის წინააღმდეგ.

ნოვიცკის მეურვეობა **ლამარკუს ოლდრიჯს** ჰქონდა დავალებული, მაგრამ ახალგაზრდა ფორვარდმა მალე მიილო ხუთი პერსონალური და დირკიც, რასაც სურდა, იმას აკეთებდა მოედანზე - 18-დან 12 ზუსტი ტყორცნა ამის ყველაზე ნათელი დადასტურებაა.

### ტურის ანტიგმირი: კრის პოლი

გასულ თვეში ვერავინ მალავდა აღფრთოვანებას „ნიუ ორლეან ჰორნეტსის“ გამთამაშებლის მოქმედებით. ამბობდნენ, რომ ახალგაზრდა მცველი პროგრესს აგრძელებს და კარგად გამოიყურება დაცვაში. „ორლანდო მეჯიქის“ წინააღმდეგ **კრის პოლის** უსუსური მოქმედება შობის ზედმეტად აქტიურად აღნიშვნას უნდა დავაბრალოთ. ლიგის ერთ-ერთმა უპირველესმა ვარსკვლავმა მოკრძალებული 12 ქულა, 4 შედეგიანი პასი და ამდენივე მოხსნა დააგროვა, მისმა „ნიუ ორლეანმა“ კი უშანსოდ დათმო შეხვედრა „ორლანდოსთან“.

უკანასკნელად ერთ მატჩში უფრო ნაკლები შედეგიანი პასი პოლმა ერთი წლის წინ, „სან ანტონიოსთან“ მატჩში შეასრულა (3 გადაცემა). უნდა აღვნიშნოთ გასული ტურის კიდევ ერთი უსიამოვნო მომენტი, რომელიც “ჰორნეტსის” ლიდერს უკავშირდება: 108-ე მატჩში შეწყდა პოლის ფენომენალური სერია, როცა ის მინიმუმ ერთ ჩაჭრას აგროვებდა შეხვედრაში.

### ტურის რიცხვი: 1000

ახლა სწორედ ამდენი გამარჯვება აქვს აქტივში „ლეიკერსის“ დამრიგებელ **ფილ ჯექსონს**. „ბოსტონთან“ პრინციპული მოგების შემდეგ 63 წლის სპეციალისტი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მეექვსე მწვრთნელი გახდა, ვინც აღნიშნულ ზღვარს გადააბიჯა. 1000 გამარჯვების მისაღწევად ფილს 1423 მატჩის გამართვა დასჭირდა.

“გასაოცარი შედეგია. ფილ ჯექსონს NBA-ის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად მივიჩნევ. მე მაგალითად, ვერასოდეს შევძლებ 1000 მატჩის მოგებას, თუნდაც იმიტომ, რომ არ ვაპირებ ამდენი ხანი მწვრთნელობას. ეს რიცხვი, უბრალოდ, გაოგნებას იწვევს. როცა ამდენ შეხვედრას მოიგებ, ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს”.

### ტურის ფრაზა

*„ჩემმა მეგობარმა გოგონამ ღამის პერანგი და ზურგის საფხანი მაჩუქა. ყოველთვის მინდა, რომ ვილაცა ზურგს მფხანდეს, მაგრამ ის ყოველთვის უარს მეუბნება. ამიტომაც, დიდი ხანია მინდოდა ასეთი საჩუქარი“*, - განაცხადა თავისი საშობაო საჩუქრების შესახებ **ლებრონ ჯეიმსმა**.

**ორლანდო-ნიუ ორლეანი 88:68**

29:14, 32:17, 13:24, 14:13

**ო:** თურქოღლუ (20), ლუისი (18), ნელსონი (14), ჰოვარდი (12+15 მოხსნა+3 დაფარება), პიეტრუსი (11).

**ნ-ო:** დ. უესტი (13+7 მოხსნა), პოლი(12), დ. ბრაუნი (12).

**ლეიკერსი-ბოსტონი 92:83**

23:24, 28:21, 20:22, 21:16

**ლ:** ბრაიანტი (27+9 მოხსნა), პ. გასოლი (20+3 დაფარება), ოდომი (10+7 მოხსნა), ვუიაჩიჩი (10).

**ბ:** გარნეტი (22+9 მოხსნა), პირსი (20+10 მოხსნა), რ. ალენი (14), რონდო (6+12 პასი).

**კლივლენდი-ვაშინგტონი 93:89**

22:25, 27:22, 19:24, 25:18

**კ:** მ. უილიამსი (24+6 პასი), ლ. ჯეიმსი ([illegible]+6 პასი+3 ჩაჭრა), დ. უესტი (18+7 პასი+3 ჩაჭრა), ვარეჟაო (13+13 მოხსნა), ილგაუსკასი (5+9 მოხსნა).

**ვ:** ჯეიმისონი (28), მ. ჯეიმსი (26), ბლეტჩი (12), კ. ბატლერი (6+10 პასი), მაკგუაიერი (2+11 მოხსნა+7 პასი).

**ფინიქსი-სან ანტონიო 90:91**

27:18, 18:21, 31:32, 14:20

**ფ:** სტაუდმაიერი (25+13 მოხსნა), შ. ო'ნილი (23+12 მოხსნა+4 დაფარება), ჰილი (16), ნეში (13+8 პასი), ჯ. რიჩარდსონი (11+8 მოხსნა).

**ს-ა:** ტ. პარკერი (27+8 პასი+4 ჩაჭრა), დანკანი (25+17 მოხსნა), ფინლი (12), ჯინობილი (11).

**პორტლენდი-დალასი 94:102**

29:33, 26:26, 23:18, 16:25

**პ:** როი (22), ბლეიკი (14+7 პასი), აუთლო (13+4 ჩაჭრა), ფერნანდესი (13), ოლდრიჯი (12).

**დ:** ნოვიცკი (30), ტერი (19), ჰოვარდი (15), კიდი (6+12 მოხსნა+10 პასი).

---

ოლ სტარი 2009

## ჰოვარდი აბსოლუტური ლიდერია

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ “ყველა ვარსკვლავის მატჩის” შემადგენლობათა გამოსავლენად მიმდინარე გამოკითხვის საშუალედო შედეგები გამოაქვეყნა. ხმების რაოდენობით აბსოლუტური ლიდერია “ორლანდო მეჯიქის” ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი** – მას 1 421 882 გულშემატკივარმა დაუჭირა მხარი. შემდეგ მოდიან “ლოს ანჯელეს ლეიკერსის” მცველი **კობი ბრაიანტი** (1 280 912 ხმა) და “კლივლენდ კავალიერზის” ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** (1 259 764 ხმა).

“ოლ სტარი” ფინიქსში 15 თებერვალს ჩატარდება, მაგრამ ეს შეხვედრა დღეს რომ იმართებოდეს, გუნდების სასტარტო ხუთეულები ასეთ სახეს მიიღებდა:

**აღმოსავლეთი:** მცველები - დუეინ უეიდი (“მაიამი”), ალენ აივერსონი (“დეტროიტი”); ფორვარდები - ლებრონ ჯეიმსი (”კლივლენდი”), კევინ გარნეტი (“ბოსტონი”); ცენტრი – დუაიტ ჰოვარდი (“ორლანდო”).

**დასავლეთი:** მცველები – კობი ბრაიანტი (“ლეიკერსი”), ტრეისი მაკგრეიდი (“ჰიუსტონი”); ფორვარდები – ტიმ დანკანი (”სან ანტონიო”), ამარე სტაუდმაიერი (“ფინიქსი”); ცენტრი – იაო მინი (“ჰიუსტონი”).

■ ■ ■

ამასობაში გაირკვა “ყველა ვარსკვლავის უიქ ენდზე” ჩატენვების კონკურსის მონაწილენი. შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვას შეეცდება დუაიტ ჰოვარდი, ხოლო მისი კონკურენტები იქნებიან “მემფისის” ფორვარდი **რუდი გეი** და “ნიუ იორკის” მცველი **ნეიტ რობინსონი**.

კონკურსის მეოთხე მონაწილე ონლაინ რეჟიმში ხმის მიცემით სამ კალათბურთელს შორის გაირკვევა. ესენი არიან: **რუდი ფერნანდესი** (“პორტლენდი”), **ჯო ალექსანდერი** (“მილუოკი”) და **რასელ უესტბრუკი** (“ოკლაჰომა სიტი”).



### სონდერსი მწვრთნელობას უბრუნდება

ამა წლის ზაფხულში "დეტროიტ პისტონზის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დათხოვნილი **ფლიპ სონდერსი**, სავარაუდოდ, მალე დაუბრუნდება სამწვრთნელო მოღვაწეობას.

The Detroit News-ის ცნობით, 53 წლის სპეციალისტი “მინესოტას”, “ფილადელფიას” ან “საკრამენტოს” ჩაუდგება სათავეში.

### კარი შარლოტში გადადის

“ნიუ იორკ ნიქსის” ცენტრი **ედი კარი**, შესაძლოა, უახლოეს პერიოდში გაცვლის შედეგად "შარლოტ ბობკეტსის" რიგებში აღმოჩნდეს.

ცოტა ხნის წინ “შარლოტმა” "ფინიქსიდან" **ბორის დიაო** და **რაჯა ბელი** მიიღო. ახლა კლუბის ხელმძღვანელობა ამ ორი კალათბურთელიდან ერთ-ერთის ტრეიდში ჩაბმასა და ამ გზით “ნიქსის” ცენტრის გადაბირებას აპირებს. “ნიუ იორკის” ხელმძღვანელობამ ამ გარიგების მიმართ დაინტერესება გამოთქვა.

ამ სეზონის წინ 26 წლის კარიმ სერიოზული ტრავმა მიიღო და წლევანდელ რეგულარულში ჯერ არც ერთ შეხვედრაში არ მიუღია მონაწილეობა.

### ფინიქსმა ბრაუნი აირჩია

“ფინიქს სანზის” ხელმძღვანელობამ, რომელიც შემადგენლობაში ერთი ვაკანტური ადგილის შესავსებად გამთამაშებელს ეძებდა, არჩევანი **დი ბრაუნზე** გააკეთა.

ილინოისის უნივერსიტეტის გუნდში წარმატებული კარიერის შემდეგ, ეს მცველი “იუტა ჯაზმა” 2006 წლის დრაფტის მეორე რაუნდში აირჩია. მას შემდეგ ბრაუნმა რეგულარულ ჩემპიონატში 49 მატჩი ჩაატარა.

2008-09 წლების სეზონს ბრაუნი "ვაშინგტონში" იწყებდა. ის 17-ჯერ გავიდა მოედანზე, აქედან 11 შემთხვევაში სასტარტო ხუთეულის წევრი იყო.

სავარაუდოდ, "ფინიქსის" მთავარი მწვრთნელი **ტერი პორტერი** ბრაუნს დიდ სათამაშო დროს არ გამოუყოფს. “სანზში” ძირითადი გამთამაშებლის **სტივ ნეშის** შემცვლელი **ლეანდრო ბარბოზაა**. ამავე პოზიციაზე შეუძლია თამაშში დებიუტანტ **გორან დრაგიჩს**.

---

რაგბი

## ისტვუდი რაგბიზე ფილმს გადაიღებს

სახელგანთქმული მსახიობი და რეჟისორი **კლინტ ისტვუდი** 1995 წლის მსოფლიოს თასზე სამხრეთ აფრიკის ნაკრების გამარჯვების შესახებ ფილმს გადაიღებს. სცენარი დაფუძნებული იქნება **ჯონ კერლინის** წიგნზე, რომლის სათაურია – “ადამიანური ფაქტორი: ნელსონ მანდელა და თამაში, რომელმაც სამყარო შეცვალა”.

ფილმში ჰოლივუდელი ვარსკვლავები იქნებიან დაკავებულნი. ცნობილია, რომ **ნელსონ მანდელას** როლს შეასრულებს **მორგან ფრიმანი**, ხოლო სამხრეთ აფრიკის ნაკრების მოთამაშეს **ფრანსუა პიენაარს მეტ დეიმონი** განასახიერებს.

■ ■ ■

რაგბის საერთაშორისო კავშირი (IRB) ფრანგული “პერპინიანის” რუმინელი ლეგიონერის **მარიუშ ტინცუს** საქმესთან დაკავშირებით გამოძიებას ჩაატარებს. ჰაინეკენის თასის მეორე ტურის მატჩში, ტინცუ სახიფათო თამაშისთვის 18-თვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს და 2009 წლის 9 მარტამდე აუკრძალეს მოედანზე გასვლა. თუმცა გასულ შაბათს, ტინცუმ საფრანგეთის ჩემპიონატში “კასტრის” წინააღმდეგ ითამაშა.

IRB-იმ ამასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება მოსთხოვა საფრანგეთის რაგბის ფედერაციას და პასუხის



მიღების შემდეგ გაახმოვანებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

შეგახსენებთ, რომ “პერპინიანმა” რუმინელის დისკვალიფიკაციის გამო IRB-ში პროტესტი შეიტანა, რომელიც არ დააკმაყოფილეს. ფრანგული კლუბი ამის გამო ჰაინეკენის თასის დატოვებით იმუქრებოდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა

# ფელპსი ბრუნდება

14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი **მაიკლ ფელპსი**, რომელსაც პეკინის ოლიმპიადის შემდეგ არც ერთ ტურნირში არ მიუღია მონაწილეობა, კარიერას მომავალი წლის ივლისში განაახლებს. თავიდან ამერიკელი მოცურავე აშშ-ის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას, შემდეგ კი რომში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატში გამოვა.

ფელპსის მწვრთნელის **ბობ ბოუმენის** სიტყვებით, მისი შეგირდი საწვრთნელ პროცესს თებერვალში დაიწყებს. ბოუმენი თვლის, რომ მაიკლმა, შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ვერ მოასწროს ოპტიმალური ფორმის აკრეფა, მაგრამ 2009 წლის შემოდგომაზე ის სრულად გამოავლენს თავის შესაძლებლობებს.

თავად მოცურავის გამოთვლებით, სავსებით ეყოფა დრო თებერვლიდან ივლისამდე იმისთვის, რომ წარმატებით გამოვიდეს ამერიკის ჩემპიონატში და იქ მსოფლიოს პირველობაზე გასასვლელი საგზური მოიპოვოს.

ფელპსს სურს ძალები მოსინჯოს უფრო მოკლე დისტანციებზე, თუმცა ზოგიერთ ექსპერტს მიაჩნია, რომ მაიკლმა პირიქით, 400-მეტრიან დისტანციაზე უნდა გააკეთოს აქცენტი. მათი აზრით, ამ დისციპლინაში ამერიკელს 2012 წელს, ლონდონის ოლიმპიადაზეც შეეძლება ოქროს მედლის მოპოვება.

შეგახსენებთ, 23 წლის ფელპსმა პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს რვა მედალი მოიპოვა, რითაც დაამხო თანამემამულე **მარკ სპიტცის** "მუდმივი რეკორდი" – ერთ თამაშებზე მოპოვებული შვიდი ოქრო (1972 წლის ოლიმპიადა). საერთო ჯამში ფელპსს ოქროს 14 მედალი დაუგროვდა და ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი გახდა. მაიკლმა უკან ჩამოიტოვა ფინელი მძლეოსანი **პაავო ნურმი**, საბჭოთა ტანმოვარჯიშე **ლარისა ლატინინა** და ამერიკელი მძლეოსანი **კარლ ლუისი**.

თუმცა ფელპსი მედლების საერთო რაოდენობით (16) ჩამორჩება ლარისა ლატინინას. რომელსაც 18 მედალი აქვს აქტივში.

პეკინის თამაშების დასრულების შემდეგ, ფელპსმა გამოაცხადა, რომ უარს იტყვის თავის რამდენიმე საყვარელ დისციპლინაზე და ძალებს სხვა სტილში, უპირველეს ყოვლისა გულაღმა ცურვაში მოსინჯავს. ამერიკელს მედლების ძირითადი ნაწილი ბატერფლაისა და კომპლექსურ ცურვაში საშუალო დისტანციებზე აქვს მოპოვებული.

საინტერესოა, რომ ბავშვობაში მაიკლი ცურვის სექციაში ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით შეიყვანეს. ექიმებმა პატარა ფელპსს შემდეგი დიაგნოზი დაუსვეს: ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობა. მოკლედ, მაშინ მისი მშობლები არანაირ სპორტულ მიზნებს არ ისახავდნენ. მაგრამ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მაიკლმა არა მარტო გაიუმჯობესა ჯანმრთელობა, არამედ სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი სპორტსმენი გახდა.

ზოგიერთი წყაროს ცნობით, მაიკლ ფელპსი აუტიზმის იოლი ფორმით არის დაავადებული.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ფორმულა 1



# 2009 წლის პრემიერა: აბუ დაბის გრანპრი

2009 წლის სეზონში ფინალური რბოლა ახალ ტრასაზე გაიმართება, რომელსაც ყველა შანსი აქვს იმისთვის, რომ ფორმულა 1-ის უახლოეს ისტორიაში საუკეთესო ავტოდრომად იქცეს. სინგაპურული ტრასის წარმატებული დებიუტის შემდეგ ყველას ეგონა, რომ უფრო დიდი სპორტული და ესთეტიკური ეფექტის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ Yas Maina-ს კომპლექსი – ეს არის თანამედროვე ფორმულა 1-ის ყველაზე მასშტაბური პროექტი.

ტერიტორია 2550 ჰექტარია. ეს არის პირველი ავტოდრომი, რომლის ტრიბუნები მთლიანად გადახურული იქნება და მაყურებელს წვიმისგან დაიცავს. აქვე იქნება გოლფისა და პოლოს სათამაშო მოედნები, 60-მეტრიანი "მზის კოშკი", პარკინგი 150 იახტისა და 12 ათასი მანქანისთვის.

მშენებლობის ბიუჯეტმა 100 მილიონი ფუნტი შეადგინა. პროექტს აფინანსებენ არაბეთის გაერთიანებული საემიროების მთავრობა და კომპანია Aldar Property, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ მაყურებლისთვის მაქსიმალური კომფორტის შესაქმნელად. მაგალითად, ტრასიდან უახლოესი აეროპორტი 5 კილომეტრში მდებარეობს და მათ ერთმანეთთან 10-ზოლიანი ტრასა აკავშირებთ.

აბუ დაბიში გუნდებიც კომფორტულად იგრძნობენ თავს. 40 ძირითადი ბოქსის კომპლექსი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში, კიდევ 30 ბოქსი სხვა ზონაშია განლაგებული და ის გუნდის სხვა მიზნებს მოემსახურება.

აბუ-დაბისთან გრანპრის გამართვაზე შვიდწლიანი კონტრაქტია გაფორმებული. პირველი რბოლა აქ 2009 წლის 1 ნოემბერს გაიმართება და ის სეზონს დახურავს. ჩემპიონატის ფინალი ამ მხრივადაც გამორჩეული იქნება.

TV სპორტი

## 27 დეკემბერი. შაბათი

### იმედი

11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.
14:00 იმედის ფსონი.

### HTB-პლიუსი (ფეხბურთი)

08:25 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
09:25 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ბოლტონი.
11:15 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-მანჩესტერ იუნაიტედი.
15:05 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ფულჰემი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:10 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-არსენალი.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:00 საფეხბურთო კლუბი.
20:50 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
21:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:40 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ტვენტე (LIVE).
23:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:00 საფეხბურთო კლუბი.
01:55 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ტვენტე.
03:45 ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-მანჩესტერ იუნაიტედი.
05:35 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ბოლტონი.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:10 ფეხბურთი. ევრო 2008. ჩეხეთი-პორტუგალია.
09:55 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
10:00 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. III ეტაპი.
10:55 სპორტკლუბი.
12:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ბოლტონი.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
16:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-არსენალი.
18:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. პორტუ-არსენალი.
20:05 ფეხბურთი. ევრო 2008. პორტუგალია-გერმანია.
02:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-მანჩესტერ იუნ.
03:55 მინი-ფეხბურთი.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-მონრეალი (LIVE).
06:45 ნყლის სამყარო. ტელეჟურნალი.
07:10 სპორტული ტანვარჯიში. ოლიმპია გალა. გენტი. ბელგია.

### EUROSPORT

11:30 მულტისპორტი.
12:00 ბილიარდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბელგია.
13:00 მულტისპორტი.
14:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი. HS140. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
14:45 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. 5 კმ. ქალები. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
16:00 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. 5 კმ. კაცები. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
17:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი. HS140. ობერჰოფი. გერმანია.
17:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. 15 კმ. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
18:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS137. ენგელბერგი. შვეიცარია.
20:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. მანჩესტერ იუნაიტედი. 1998-1999.
21:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. დევიდ ბექჰემი.
22:00 მულტისპორტი.
23:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 ფიგურული სრიალი. საჩვენებელი გამოსვლები. ინგოლშტადტი. გერმანია.
03:30 სპორტული ცეკვები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ინსბრუკი. ავსტრია.
04:30 მულტისპორტი.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
14:00 ჰოკეი. შპენგლერის თასი. ჯგუფური ტურნირი. დინამო (რუსეთი)-დავოსი (შვეიცარია). შვეიცარია.
15:00 ახალი ამბები.
15:30 ჰოკეი. შპენგლერის თასი. ჯგუფური ტურნირი. კანადის ნაკრები-კარლოვი ვარი (ჩეხეთი). შვეიცარია.
17:00 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. XII ტური.
18:00 ჰოკეი. შპენგლერის თასი. ჯგუფური ტურნირი. ინგოლშტადტი (გერმანია)-კარლოვი ვარი (ჩეხეთი). შვეიცარია (LIVE).
20:15 ახალი ამბები.
20:30 მულტისპორტი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 კიბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. დალასი-სან ფრანცისკო.
22:45 ახალი ამბები.
23:15 ჰოკეი. შპენგლერის თასი. ჯგუფური ტურნირი. დავოსი (შვეიცარია)-კანადის ნაკრები-კარლოვი ვარი (ჩეხეთი). შვეიცარია (LIVE).
01:30 ჰოკეი. შპენგლერის თასი. ჯგუფური ტურნირი. კანადის ნაკრები-კარლოვი ვარი (ჩეხეთი). შვეიცარია.
02:30 მულტისპორტი.
03:00 ახალი ამბები.

## 28 დეკემბერი. კვირა

### იმედი

14:00 იმედის ფსონი.

### HTB-პლიუსი (ფეხბურთი)

07:25 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი.
09:15 საფეხბურთო კლუბი.
10:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ფულჰემი.
12:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ტვენტე.
15:05 საფეხბურთო კლუბი.
15:55 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ლივერპული (LIVE).
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ჩელსი (LIVE).
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
22:15 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი.
00:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:20 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-პორტსმუტი.
02:10 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ლივერპული.
04:00 ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ჩელსი.
05:45 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მანჩესტერ სიტი.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-არსენალი.
10:30 სპორტის სამყარო.
10:55 ფეხბურთი. ევრო 2008. ხორვატია-თურქეთი.
13:35 ფეხბურთი. ევრო 2008. ჰოლანდია-რუსეთი.
15:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ლივერპული (LIVE).
17:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ჩელსი (LIVE).
20:00 მინი-ფეხბურთი.
20:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
22:10 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ცსკა-რეალი.
22:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-მონრეალი.
00:35 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. III ეტაპი.
03:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ლივერპული.
04:55 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ცსკა-რეალი.
06:35 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
07:00 სინქრონული ცურვა. მსოფლიოს ტროფი. II დღე. მადრიდი. ესპანეთი.

### EUROSPORT

11:30 მულტისპორტი.
12:00 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. 5 კმ. ქალები. ობერჰოფი. გერმანია.
12:45 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. 5 კმ. კაცები. ობერჰოფი. გერმანია.
13:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. I ცდა. ქალები. სემერინგი. ავსტრია (LIVE).
14:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი. HS140. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
14:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სწრაფდაშვება. კაცები. ბორმიო. იტალია (LIVE).
16:00 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. 10 კმ. ქალები. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
16:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. II ცდა. ქალები. სემერინგი. ავსტრია (LIVE).
17:15 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. 15 კმ. კაცები. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
18:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი. HS140. ობერჰოფი. გერმანია.
18:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. 15 კმ. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
19:00 მულტისპორტი.
20:00 ფეხბურთი. უეფას თასის კლასიკა. ფეიენოორდი-დორტმუნდი. 2001-2002.
21:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. ჩელსი.
22:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS213. კვალიფიკაცია. ობერტსდორფი. გერმანია.
23:30 ფიგურული სრიალი. საჩვენებელი გამოსვლები. გიოტებორგი. შვედეთი.
01:00 სპორტული ცეკვები. მსოფლიოს ჩემპიონატი.
02:00 მულტისპორტი.
03:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS213. კვალიფიკაცია. ობერტსდორფი. გერმანია.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
14:00 ჰოკეი. შპენგლერის თასი. ჯგუფური ტურნირი. ინგოლშტადტი (გერმანია)-კარლოვი ვარი (ჩეხეთი). შვეიცარია.
15:00 ახალი ამბები.
15:30 ჰოკეი. შპენგლერის თასი. ჯგუფური ტურნირი. დავოსი (შვეიცარია)-კარლოვი ვარი (ჩეხეთი). შვეიცარია (LIVE).
16:30 მულტისპორტი.
17:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. მიმოხილვა.
18:00 ჰოკეი. შპენგლერის თასი. ჯგუფური ტურნირი. დავოსი (შვეიცარია)-კარლოვი ვარი (ჩეხეთი). შვეიცარია (LIVE).
20:15 ახალი ამბები.
20:30 მულტისპორტი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 კიბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. მეხიკო-ბირმინგემი.
22:45 ახალი ამბები.
23:15 ჰოკეი. შპენგლერის თასი. ჯგუფური ტურნირი. ინგოლშტადტი (გერმანია)-დინამო (რუსეთი). შვეიცარია (LIVE).
01:30 ჰოკეი. შპენგლერის თასი. ჯგუფური ტურნირი. კანადა-ყაზახეთი. შვეიცარია.
02:45 მულტისპორტი.
03:00 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ჰოლანდია** | |
| ფეიენოორდი-ბრედა | 3:1 |
| **უელსი** | |
| ლანელი-კარმარტენი | 5:2 |
| ძერნარფონი-ბანგორი | 0:2 |
| ნითი-პორტ ტელბოტი | 2:3 |
| ნიუთაუნი-ძერსოუსი | 0:0 |
| ტნს-უელშპული | 3:1 |
| **ჰოკეი** | |
| **შპენგლერის თასი** | |
| დინამო-დავოსი | 4:1 |
| კანადა-კარლოვი ვარი | 3:1 |
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | |
| ლატვია-რუსეთი | 1:4 |
| აშშ-გერმანია | გვ. დასრ. |
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (ნ)-ამური | 1:2 |
| სიბირი-ლადა | 1:2 |
| ატლანტი-ს. იულიაევი | 2:5 |
| ვიტიაზი-ბარისი | 2:2 |
| სევერსტალი-ლოკომოტივი | 4:3 |
| სკა-მეტალურგი (მ) | 2:2 |
| ტორპედო-ნეფტეხიმიკი | 4:1 |
| მვდ-ტრაქტორი | 4:2 |
| დინამო (მნ)-ავანგარდი | 3:7 |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-ზალცბურგი | 4:2 |
| ვენა-ლინცი | 2:0 |
| ვილახი-კლაგენფიურტი | 4:3 |
| ინსბრუკი-ალბა | 2:3 |
| ოლიმპია-გრაცი | 2:2 |
| **გერმანია** | |
| ჰამბურგი-აისბარენი | 6:1 |
| ჰანოვერი-კრეფელდი | 5:0 |
| აუგსბურგი-ნიურნბერგი | 4:3 |
| ვოლფსბურგი-ფრანკფურტი | 5:1 |
| დიუსელდორფი-დუისბურგი | 5:0 |
| იზერლონი-კიოლნი | 2:2 |
| მანჰაიმი-კასელი | 4:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ლიტვინოვი | 2:5 |
| ქლინი-კლადნო | 4:6 |
| პლზენი-სლავია | 4:4 |
| ბუდეიოვიცე-ტრშინეცი | 0:4 |
| სპარტა-პარდუბიცე | 5:1 |
| **შვედეთი** | |
| [illegible] | 1:3 |
| ლულეო-მოდო | 4:2 |
| ფრიოლუნდა-ფერიესტადი | 2:2 |
| ჰვ71-სიოდერტალე | 3:2 |
| იურგორდენი-როგლე | 3:1 |
| ლინჩოპინგი-ბრიუნესი | 5:3 |

# კვირის ობიექტივი



ამერიკელი მოკრივე შეინ მოზლი (მარცხნივ) ძლიერი ჯებით სახეს უბრტყელებს ნიკარაგუელ რიკარდო მაიორგას. მოზლიმ ნოკაუტით მოუგო მაიორგას



ამერიკელი ტანმოვარჯიშე ალისია საკრამონე პეკინის ოლიმპიადაზე დვირზე ასპარეზობის დროს



პეკინის ოლიმპიადა. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. უკრაინელი არმენ ვარდანიანი (ზემოდან) ამერიკელი ჯეიკ დეიტჩლერის წინაალმდეგ



ჩინეთის ნაკრების ლიდერი იაო მინი ზემოდან დასცქერის არბიტრ რეინალდო მერსედესს გერმანიასთან მატჩის დროს



არგენტინის „რივერ პლეიტის" ჩილელი ფორვარდი ალექსის სანჩესი პოლიციელების დახმარების ტოვებს მინდორს. ახალგაზრდა ფორვარდს აგრესიულად შეხვდნენ ლიბერტადორესის თასის მატჩში „უნივერსიდად კატოლიკას" გულშემატკივრები



კრივში იაპონიის ჩემპიონი იუკატა ნიიდა მალაყს აკეთებს ვენესუელელი ხოსე ლუის ვარელას დამარცხების შემდეგ



ჩეხმა ხუთჭიდელმა მიხალ მიხალიკმა ცხენ იანიანით ვერ შეძლო ბარიერის გადალახვა და ცხოველის ქვეშ მოექცა



ძალოსანთა სახეები პეკინის ოლიმპიადაზე შტანგის აწევის წინ


